ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 4 დეკემბერი 1999 №233 (1006) — ფასი 50 თეთრი


# ხმა მიეცით ვარსკვლავებს!

*2[illegible] დეკემბერს „ფრანს ფუტბოლი“ 1999 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებს. ფრანგული ჟურნალის ტრადიციულ რეფერენდუმში მონაწილეობს „სარბიელიც“. წლეულს რჩეულთა ჩვენეული ხუთეული ასეთია:*



1 რივალდო
ბარსელონა, ბრაზილია



2 ლუიშ ფიგუ
ბარსელონა, პორტუგალია



3 გაბრიელ ბატისტუტა
ფიორენტინა, არგენტინა



4 როი კინი
მანჩესტერი, ირლანდია



5 დევიდ ბექემი
მანჩესტერი, ინგლისი

# ბათუმში საჭიდაოთო სვლები კეთდება



ბადრი კეთილაძის ფოტო



გუშინ საქართველოს ქალთა პირველმა გუნდმა რუსეთს 1,5:0,5 მოუგო, 7 ქულაც დააგროვა, მაგრამ ლიდერ იუგოსლავიას მაინც ვერ დაეწია, ეგ კი არა, მეორედან მესამე ადგილზე ჩაინაცვლა. ამაში კი „დამნაშავე“ სლოვაკი ქალები არიან, რომლებმაც 2:0 დაამარცხეს ქართველთა მეორე გუნდი და ახლა 7,5 ქულით მეორეზე არიან. ბათუმში მიმდინარე მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეხუთე ტურის მერე სატურნირო ცხრილის სათავეში 8 ქულით კვლავ იუგოსლავიაა. ჩვენმა მესამე გუნდმა ხორვატიას 2:0 კი მოუგო, მაგრამ ლიდერთა სამეულს ვერცკი მიუახლოვდა.

მეხუთე ტური მეტად უიღბლო გამოდგა ქართველი კაცებისთვის, პირველმა ნაკრებმა 1,5:2,5 წააგო ბოსნიასთან, მეორემ კი ამავე ანგარიშით სლოვენიასთან. კაცთა ტურნირს 14 ქულით სომხები ლიდერობენ.

რეპორტაჟი ბათუმიდან იხილეთ მეცხრე გვერდზე

# სარბიელი: საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

# რევაზ ძოძუაშვილი: აუცილებლად!



*როგორც გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რევაზ ძოძუაშვილი საუდის არაბეთიდან დაბრუნდა.*

*დაბრუნდა, არაბებთან კონტრაქტი გააუქმა და ახლა საბურთალოზე, შინ ისვენებს. მინდა, არაბული კოშმარი დავივიწყოო, ამბობს.*

*ცდილობს დასვენებას, მაგრამ ვინ აცდის, მეგობრებ-ნათესავები, გუნდების წარმომადგენლები, ჟურნალისტები... ყველას თავის საქმე აქვს ოთხი თვის უნახავ მწვრთნელთან. ძოძუაშვილების ოჯახის კარიც ყველასთვის ღიაა, ჰყვება საუდურ ამბებს და არის. ამდენი ხანი იქ როგორ გაძელი, ახლაც არ ვიციო, დააყოლებს. აკი ჩვენც გუშინვე გვითხრა, კოსმოსიდან ჩამოსულივით ვარო.*

*ალაგ-ალაგ ლაპარაკს ტელეფონის ზარი აწყვეტინებს. ხან რიგიდან ურეკავენ, ხან — რუსეთიდან, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტიდანაც... თავიანთ გუნდში მუშაობას სთავაზობენ, იციან, მისი კარგი მწვრთნელობის ამბავი და იმიტომ. საკვირველი ისაა, რევაზ ძოძუაშვილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან რომ არავინ შეხმიანებია და ეროვნული გუნდის მწვრთნელობაზე სიტყვაც კაციშვილს არ დასცდენია. არადა, თავად...*

*საუდეთიდან დაბრუნებულთან საუბრის მთავარი თემა სწორედ საქართველოს უმწვრთნელო ნაკრები გახლდათ, ფედერაციამ გუნდის ახალი თავკაცის ვინაობა ხომ უახლოეს მომავალში, რამდენიმე დღეში უნდა გამოაცხადოს.*

*თავიდან კი რევაზ ძოძუაშვილს საუდის არაბეთში წასვლისა და ოთხ თვეში იქიდან გამობრუნების მიზეზებზე ვკითხეთ.*



[illegible] ფოტოები

— მწვრთნელი ვარ და საფეხბურთო ყველაფერი მაინტერესებს — არაბეთის გახსენებაზე სიგარეტს მოუკიდა — დამაინტერესა აზიურმა ფეხბურთმა, ვიფიქრე, ჩავალ, ეგებ ისეთი რამ ვისწავლო, სამომავლოდ რომ გამომადგება-მეთქი. გაწბილებული დავრჩი, ფეხბურთის დონეზე არაფერს ვამბობ, ცხოვრების წესი გახლდათ ჩემთვის მიუღებელი. დაწვრილებით მოყოლას აზრი არა აქვს, ხომ გესმით, ქრისტიანი კაცისთვის მკაცრი ისლამური კანონებით ცხოვრება რას ნიშნავს. ვერაფრით შევეგუე იქაურობას. საუდის არაბეთში ჩასული მწვრთნელები თურმე ყოველ ოთხ-ხუთ თვეში იცვლებიან, ვერც თავად უძლებენ არაბებს და მასპინძლებიც კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს ბოლომდე არ ასრულებენ.

შეგპირდებიან, საბუთებს ოფიციალურად გააფორმებენ, მერე კი... მათ კარგად იციან, რომ ევროპელ კაცს საუდეთში ცხოვრება გაუჭირდება და რამდენიმე თვეში იქიდან წასვლას ეცდება.

და მიუხედავად ასეთი პირობებისა, ჩემი მაინც გავაკეთე. „ალ იტიჰადს“ ჩემი ხელმძღვანელობით თამაში არ წაუგია, გუნდის 12 ფეხბურთელს ძალიან ხშირად ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებებში იწვევდნენ და ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით არავისთან დავმარცხებულვართ. აღარ მახსოვს, ფრედ ორჯერ თუ სამჯერ ვითამაშეთ.

**— აზიის თასის ფინალური მატჩებისას „ალ იტიჰადს“ რატომ აღარ თავკაცობდით?**

— ჩემს საქმეში კლუბის პრეზიდენტი უხეშად ერეოდა. თასის ფინალის პირველი მატჩის წინ, იაპონიაში გამგზავრებამდე მითხრა, გინდა თუ არა, ეს ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ათამაშეო. ავუხსენი, რომ მას ერთი სრულიად ახალგაზრდა ბიჭი მერჩივნა. დაიჩემა და თავისი ველარ გადავათქმევინე. მეც კატეგორიულად განვუცხადე, რომ იაპონიაში გუნდს არ გავყვებოდი, „ალ იტიჰადს“ არც საპასუხო მატჩისთვის მოვამზადებდი და კონტრაქტსაც გავაუქმებდი. ერთ-ერთი პირობა ხომ ჩემს საქმეებში ჩაურევლობა იყო. საბოლოოდ „ალ იტიჰადმა“ აზიის თასი წააგო. იმ ახალგაზრდამ კი, რომელიც ჩემმა თანაშემწემ საპასუხო მატჩში ათამაშა, გოლი გაიტანა და იმის მერე ქვეყნის ნაკრებში მიიწვიეს. არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ბიჭი გამიმართლებდა და აზიის თასიც „ალ იტიჰადს“ დარჩებოდა.

თუმც ეს ახლა ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარი ის არის, საუდის არაბეთიდან წამოვედი, თბილისში ვარ და მსიამოვნებს. კარგა ხანია, ასე გახარებული არ ვყოფილვარ...

**— ჩამოხვედით. ახლა რას აპირებთ?**

— უნდა დავისვენო. მერე კი ძველებურად გავაგრძელებ. სათვალავი ამერია, იმდენი კლუბი მეპატიჟება.

**— საქართველოდანაც?**

— ახლა, რამდენიმე საათში, „ლოკომოტივის“ პრეზიდენტს უნდა შევხვდე.

**— კიდევ რომელი გუნდები გიწვევენ?**

— ჯერ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ყველაზე რეალური ვარიანტი ლიტვაში მაქვს. მითხრეს, „რიგა“ ჩაიბარეო. მათთან პირობებზე ლაპარაკი ზედმეტიც კი არის, მეხვეწებიან, ოღონდ ჩამოდიო.

**— საქართველოს ნაკრების გაწვრთნა არავის შემოუთავაზებია?**

— არა, არავის.

**— რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— ...

**— მოკლედ და კონკრეტულად თქვით — ჰო თუ არა?**

— აუცილებლად. დარწმუნებული იყავით, უარს არ ვიტყვი.

**— მერედა, არ გეშინიათ? ვერ ხედავთ, რა დღეშია ქართული ფეხბურთი?**

— სხვა სამყაროში, საუდეთში ვიყავი და ეროვნული გუნდის მწვრთნელობის რატომ უნდა შემეშინდეს?

**— თქვენს ავტორიტეტზე არ ფიქრობთ?**

— იცით, ავტორიტეტზე ოჯახს გარეთ, ქუჩაში ფიქრობენ, ოჯახში არა. ძალიან მინდა, ნაკრებს გამოვადგე, ქართულ ფეხბურთს ძველი სახელი დავუბრუნო. ავტორიტეტზე პირველ ყოვლისა, ფეხბურთის ფედერაციამ იფიქროს, ახლა ისინი არ უნდა შეცდნენ, სწორი ნაბიჯის გადადგმა მართებთ. ვფიქრობ, გამოცდილება უკვე საკმაო აქვთ.

**— თქვენ „დინამო“ მაშინ დატოვეთ, როცა კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო, ახლა კი ის ფედერაციის ხელმძღვანელია. მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— კარგა ხანია, კონტაქტი არ მქონია, არ მინახავს. ურთიერთობა კი ნორმალური გვაქვს. სხვათა შორის, „დინამოს“ პრეზიდენტის არჩევნების დრო რომ იყო, მე ჟორდანიას ვემხრობოდი.

**— დავუშვათ, ნაკრების მწვრთნელმა თანაშემწეობა გთხოვათ. დათანხმდებით?**

— სავალდებულოა, ნაკრებში მუშაობით დავეხმარო? განა ლატვიაში რომ ვიყავი, მაშინ არ ვეხმარებოდი ეროვნულ გუნდს? აბა, დათვალეთ, რამდენი ფეხბურთელი გაიზარდა „სკონტოში“. როგორ გამოიყენეს, ეს სხვა საქმეა.

**— თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთი საშუალო ევროპულს ძალიან ჩამორჩება? ბოლო ხანს ბევრისთვის მიკითხავს ეს და უთქვამთ, არც ისეო. ძოძუაშვილი როგორ ფიქრობს?**

— ჩამოვრჩებით რომელია. სლოვენიას, ლატვიას, ალბანეთს და მათნაირ გუნდებს მარტო ქინქლაძემ და არველაძემ უნდა მოუგოს.

დღეს კი რა ხდება, თავად ვერ ხედავთ? სირცხვილი არაა? როცა „დინამო“ ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ეთამაშებოდა, მათთვის ხუთ გოლზე ნაკლები არ გაჰქონდა. ლატვიელებზე და ალბანელებზე საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— გამოსავალი რა არის?**

— უკრაინული მოდელი. სახელმწიფომ უნდა მიხედოს ფეხბურთს.

**— კი მაგრამ, უკრაინის მთავრობა მხოლოდ ერთ გუნდს ეხმარება.**

— მერედა საქართველოში მთლად იგივეს ნუ გააკეთებენ. რამდენიმეს დაეხმარონ, ხელი შეუწყონ.

**— მწვრთნელად მუშაობის რამდენი წლის სტაჟი გაქვთ?**

— 1976 წლიდან მწვრთნელი ვარ, 23 წელია. ამ დროის მანძილზე ბევრი ვისწავლე და ახლაც ყოველდღიურად ვსწავლობ. ღამღამობით არ მძინავს, სულ რაღაცაზე ვფიქრობ. სიზმარშიც ფეხბურთს ვხედავ.

**— ამბობენ, ლატვიიდან საუდეთში იმიტომ წავიდა, არ უნდოდა ლატვიის ნაკრებს თბილისში მისი ხელმძღვანელობით ეთამაშაო...**

— ადრე არ მითქვამს, ახლა გეტყვით. როცა არაბებისთვის საბოლოო სიტყვა უნდა მეთქვა და ვფიქრობდი, გამახსენდა, რომ ჩემს გუნდს სექტემბერში თბილისში უნდა ეთამაშა და ყველაფერი უმალ გადავწყვიტე. მე თბილისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ლატვიელების მომზადება გამიჭირდებოდა. თქვენ არ იცით, ლატვიაში მოგების შემდეგ...

*საუბარში რევაზ ძოძუაშვილის მეუღლე ჩაერთო.*

— რამდენიმე დღე კაცი ჭკუაზე არ იყო. ატირებულიც კი ვნახე. რიგაში თამაშის მერე პოლიციამ ხელკავი გაუყარა და მანქანაში ჩასვა. ვიფიქრე, სად მიჰყავთ-მეთქი. სად არ ვეძებეთ მე და შვილმა, ბოლოს „სკონტოს“ ბაზაზე ვნახე. თურმე თავად უთხოვია წაყვანა. რეზოს თავი ჩაერგო და პოლიციელი ამშვიდებდა, პროფესიონალი ხარო, ეუბნებოდა — *თქვა ქალბატონმა ნონამ.*

*მერე ისევ მწვრთნელმა განაგრძო. თქვა* — რიგაში ქართველების დამარცხებით ათი წლის სიცოცხლე დავკარგეო და იქვე დაამატა — დიდი მადლობა ქართველ გულშემატკივრებს, მე მათ სიყვარულს ვგრძნობ. რამდენჯერ ყოფილა, ჩემთვის შინ დაურეკავთ და ისეთი სიტყვები უთქვამთ, ძალიან გამხარებია, დარდი გამქარვებია. ვეცდები, ქართველ ფეხბურთის ქომაგებს სამაგიერო საქმით გადავუხადო.

**კობა ინასარიძე**

# სიჩუმე ქარიშხლის წინ

ეს სათაური ისე, ხატოვნებისთვის უფრო დავარქვით ამ ინფორმაციას, თორემ რა ქარიშხალი უნდა ატყდეს ისეთი ქართულ ფეხბურთში, რომ ვისიმე ყურადღება მიიქციოს.

„ლოკომოტივი“ მშვიდადაა — გვითხრა რკინიგზელთა ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ლეაბერიძემ სატელეფონო საუბარში...

და მაინც, ბოლოდროინდელი ქართული საფეხბურთო მოვლენების მთავარი ფიგურის, თბილისის „ლოკომოტივის“ სიმშვიდე სწორედ ქარიშხლისწინა სიჩუმე გვგონია. ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდი კია, მაგრამ არც ისეა საქმე, ამდენმა მოვლენამ უხმაუროდ ჩაიაროს და რკინიგზელთა ხელმძღვანელობაც უთუოდ იტყვის თავის სათქმელს (ალბათ).

ჯერჯერობით კი, „ლოკომოტივში“ არაფერი გადაწყვეტილა. ხელმძღვანელობის სამოქმედო სტრატეგიაც უცნობია და რას იზამს „ლოკომოტივი“, ამის გარკვევაც მომავლის საქმეა.

სავარაუდოა ისიც, რომ რკინიგზულ კლუბთან მალე დაუმთავრდებათ კონტრაქტი რიგ ფეხბურთელებს და მათ უმეტესობასთან (წლევანდელი შედეგიდან გამომდინარე) გუნდი ურთიერთობასაც გაწყვეტს. რა ბედი ეწევა „ლოკომოტივის“ მწვრთნელ თემურ მახარაძეს, ეს ჩვენთვის ასევე უცნობია. ერთი სიტყვით, ისევ სათაურში ნათქვამ სიტყვებს ვუბრუნდებით — „ლოკომოტივი“ მშვიდადაა... ქარიშხლის მოლოდინში.

**ლუკა თალაკვაძე**



ქართველი მსაჯები ალექს პონეს ლექციაზე



ალექს პონე და ანატოლი მილჩენკო



ალექს პონე

ნუგზარ კვიცარიძის ფოტოები

# სამი მტრედი სამტრედიიდან

## რკინიგზის გავლით მოსკოვში

კარგა ხანია, ქართველ ფეხბურთელთა მასობრივი ტრანსფერის შესახებ არ სმენია „სარბიელის“ მკითხველს, იაფფასიანი იჯარა-განათხოვრებები კი ყველას გვარიანად ამოუვიდა ყელში. ქართული სატრანსფერო ბაზარი ისევ გიორგი ქინქლაძის „აიაქსიდან“ „დერბიში“ განათხოვრებამ (ისევ განათხოვრებამ!) გამოაცოცხლა. და აი, ახალი შესაძლო გარიგებაც — მოსკოვის „ლოკომოტივში“ ერთბაშად სამი ქართველი ფეხბურთელი გაისინჯება. სათაურიდან გამომდინარე, დიდი ალია-ბალია არაფერს სჭირდება — სამივე ფეხბურთელი სამტრედიული „იბერიის“ საკუთრებაა და წარსულში ლოკომოტივყოფილი „იბერია“ რომ ძველ ტრადიციებს და გზას (სარკინიგზოს) არ ღალატობს, ესეც აღსანიშნავი ამბავია.

დიდი ალლო და საფეხბურთო ერუდიცია არც იმას სჭირდება, რომ ზემოხსენებული ფეხბურთელები თბილისის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი შოთა ჩომახიძე და დინამოელი ტყუპები — ვასო და სოსო გიგიაძეები არიან.

ტყუპების ისტორიის მსგავსება რა გასაკვირია და, გიგიაძეების საფეხბურთო ბედს ჩომახიძის აღმავალი კარიერაც ძალიან ჰგავს — პროვინციული „იბერია“, შედარებით მაღალამბიციური თბილისური კლუბი და შესაძლო გადასვლა მოსკოვის „ლოკომოტივში“, სადაც ასევე ექსსამტრედიელი ზაზა ჯანაშიას წყალობით მწვრთნელ სიომინსა და რუსული რკინიგზის შეფებს ქართველ ფეხბურთელებზე აბოდებთ.

სწორედ ზაზა ჯანაშიას დამსახურებაა, რომ შოთა ჩომახიძე აქამდეც იყო ჩასული მოსკოვში. „ლოკომოტივის“ მესვეურებს გასინჯვისთანავე დაუდგამთ თვალი მისთვის და ჩომახიძე რომ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი გახდებოდა, ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო.

ის, რომ ჩომახიძის მოსკოვში შესაძლო გადასვლის შესახებ მხოლოდ მოარული ხმები დადიოდა საქართველოში და მასმედიის საშუალებებში რამდენადმე ამომწურავ და კომპეტენტურ ინფორმაციას არ გაუჟღერებია, თავად ფეხბურთელის სურვილი იყო და ახლა, როცა თითქმის ყველაფერი ნათელია და ფეხბურთელის მოსკოვში გადასვლას არაფერი უშლის ხელს, მკითხველსაც ხელი მიუწვდა ხსენებულ ინფორმაციაზე.

რაც შეეხება ჩომახიძე-თბილისის „ლოკომოტივის“ დამოკიდებულებას, შოთას ქართულ კლუბთან დეკემბრის ბოლოსთვის უმთავრდება კონტრაქტი და ამდენად, მოსკოვამდე გზა ხსნილი აქვს.

„ლოკომოტივთან“ ჩომახიძის კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ჩვენ მასზე უფლებები აღარ გვაქვს. მისი მფლობელი „იბერიაა“ და ალბათ, სამტრედიული კლუბი თავად გადაწყვეტს, როგორ მოექცეს ფეხბურთელს — განუცხადა „სარბიელს“ „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ.

სამტრედიის „იბერიიდან“ თბილისის „დინამოში“ იჯარით გადასული ტყუპი გიგიაძეების შესახებ „სარბიელი“ „იბერიის“ პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლეიშვილს დაეკითხა და მანაც შემდეგი გვითხრა: „2000 წლის იანვარში გიგიაძეები ჩომახიძესთან ერთად მოსკოვს გაემგზავრებიან და იქაურ „ლოკომოტივში“ გაისინჯებიან. რუსული გუნდის მესვეურები საქმის კურსში არიან, იციან ამ ფეხბურთელების შესახებ, ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას მათზე და როგორ წარიმართება სოსოსა და ვასოს შემდგომი საფეხბურთო ცხოვრება, სწორედ მოსკოვური სინჯების შემდეგ გახდება ცნობილი. მე არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ თუკი რუსული სარკინიგზო კლუბის მწვრთნელი სიომინი ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესდა, მასთან მხოლოდ მოთამაშეთა იჯარით განათხოვრებაზე მოვაწერ ხელს. არც ჩომახიძე, არც გიგიაძეები „იბერიის“ მფლობელობიდან არ განთავისუფლდებიან— ასეთი კატეგორიული განცხადებით დაამთავრა ჩვენთან საუბარი ნუგზარ ნიკოლეიშვილმა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ვასილ გიგიაძე



სოსო გიგიაძე

# გინდ მეძინოს...

## ალექს პონე ქართველ მსაჯებს: ლოგინში, ქალთანაც ფეხბურთზე იფიქრეთ

— როდესაც ღამე, ძილის წინ საწოლში დაწვებით, სადაც თქვენს გვერდით მომხიბლავი ქალი წევს, დახუჭავთ თვალებს და მაინც აუცილებლად გაგახსენდებათ იმდღევანდელი მატჩის დეტალები. ყოველთვის გამოიყენეთ ეს მომენტი. კიდევ ერთხელ გააანალიზეთ ყოველივე, დააფიქსირეთ და აღიარეთ, რომ იმ თამაშში სადღაც, რაღაც მომენტში შეცდომა დაუშვით. გულწრფელნი იყავით! — ასე მოძღვრავდა გუშინ სასტუმრო „შერატონის“ ერთ-ერთ დარბაზში ფიფას და უეფას ინსტრუქტორი ალექს პონე ქართველ შავოსნებს...

როგორც იცით, ამას წინათ ბელგიაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი გია ფირცხალავა. ბელგიის ქალაქი შარლერუა ევროპის ქვეყნების მსაჯ-ინსპექტორთა თავკაცების სემინარებს მასპინძლობდა. დასასრულს ანატოლი მილჩენკოს სემინარის ორგანიზატორებისთვის უთხოვია, რომ საქართველოში მსაჯობის დონის ამაღლების მიზნით უეფას თბილისში თავისი მსაჯ-ინსტრუქტორი მოევლინა. უეფამ სიტყვა შეასრულა და ერთი თვის შემდეგ თბილისს ალექს პონე ეწვია. პონე, ბელგიის, ბულგარეთის და ამიერკავკასიის ქვეყნების მსაჯთა კომიტეტებს კურირებს, იქ მსაჯობის დონის განვითარება-დახვეწაზეც ზრუნავს, რაც ძირითადად ლექცია-სემინარებით და უეფასთვის ამ რეგიონებში მსაჯობის და მსაჯების პრობლემების გაცნობით გამოიხატება. ალექს პონე ორი წლის წინათაც სტუმრობდა საქართველოს.

ფიფა-უეფას ინსტრუქტორი გუშინწინ დილით ეწვია თბილისს. დრო უქმად არ დაუკარგავს და იმ დღესვე შეუდგა საქმიანობას. ანატოლი მილჩენკომ მოკლედ გააცნო მსაჯებს ორდღიანი მუშაობის გრაფიკი და სიტყვა სტუმარს დაუთმო. პონემ თეორიული ცოდნა შეუმოწმა ქართველ მსაჯებს, გარკვეული ტესტირება ჩაუტარა მათ და შემდეგ ისაუბრა თანამედროვე ფეხბურთში არბიტრის და ასისტენტების როლზე.

გუშინ დილით სტუმარ-მასპინძლები უკვე ეროვნულ სტადიონს ეწვივნენ და ქართველ მსაჯებს ფიზიკური გამოცდის დროც დაუდგათ. ფიზიკურ ტესტირებაში მალაღურაძეს, გუნთაძეს და შილაკაძეს არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი შეუძლოდ ყოფილან. სამაგიეროდ, დანარჩენები ერთობ მონდომებით გაისარჯნენ. განსაკუთრებით კვარაცხელიამ, ლაცაბიძემ და კახიანმა მოაწონეს თავი პონეს. სტუმარი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ძველი გვარდიის ქართველი არბიტრების მიერ ნაჩვენები შედეგებით. გუშინვე, დღის სამ საათზე სემინარის ლექტორ-მსმენელებმა ისევ „შერატონში“ გადაინაცვლეს და ორდღიანი მუშაობის შეჯამებას შეუდგნენ. მსმენელები ერთობ აქტიურობდნენ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს და ბევრ შემთხვევაში უშეცდომოდ აანალიზებდნენ ამა თუ იმ კრიტიკულ მომენტს. პონესაც კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე, რაც მოგვიანებით ჩვენთან საუბარშიც არ დაუფარავს:

— საოცარი პროგრესი იგრძნობა. აქ ორი წლის წინაც ვიყავი და, როგორც ჩანს, იმის შემდეგ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთებულა თქვენში მსაჯობის განვითარებისთვის. არა, ნამდვილად ერთობ პოზიტიური სიტუაციაა. მართალია, არის წვრილ-წვრილი პრობლემები, მაგრამ არა ისეთი, რომ მათი მოგვარება დიდ ძალისხმევას საჭიროებდეს.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ძირითადად დირექციის პრობლემები. ვთვლი, რომ ბატონმა მილჩენკომ, რომელიც მართლაც რომ თავისი საქმის პროფესიონალია, გვერდით საქმის მცოდნე ხალხი უნდა შემოიკრიბოს და ფართო ასპარეზი მისცეს მსაჯთა კორპუსის განვითარებას. ვუთხარი კიდეც თქვენს არბიტრებს, რომ თუკი მაღალ საფეხურებზე ასვლა სურთ, თვითონ უნდა ეცადონ, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეძლონ ხარვეზების აღმოფხვრა.

**— იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ მსაჯთა კოპუსი დამოუკიდებელი და იზოლირებული უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციისგან?**

— იცით, საქმისთვის ასე სჯობს და ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს კარგ შედეგს მოიტანს. მსაჯთა ინსტიტუტი დამოუკიდებელი უნდა იყოს, ფედერაცია კი უბრალოდ გარკვეულ დახმარებას უწევდეს.

**— როგორ თვლით, რამდენად სასარგებლოა მსგავსი სემინარების ორდღიან ციკლში მოქცევა?**

— ორი დღე, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა სრულყოფილი პროგრამის გასავლელად, მაგრამ... ისე, რომ იცოდეთ, დიდი სურვილი მაქვს, ექვსი თვის შემდეგ კვლავ გეწვიოთ და ალბათ ასეც მოხდება. მინდა, საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებს დავესწრო და უშუალოდ საქმეში ვნახო თქვენი მსაჯები და დღევანდელი სემინარების გარკვეულ შედეგებსაც გავეცნო. ერთი რამ მჯერა, თუ ჩვენი სისტემატური და უფრო ხანგრძლივვადიანი შეხვედრები შედგება, შედეგი შთამბეჭდავი იქნება.

**პაატა კვანტალიანი**

გმადლობთ

ყველას, ვინც მეათასე „სარბიელის“ გამოსვლა მოგვილოცა!

# გინდ დაიჯერეთ, გინდ არა...

**გასარკვევი** გაირკვა, გასარჩევიც თითქმის გაირჩა. მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ქართულ ფეხბურთს მაინც შეუძლია საუკუნე მშვიდად გააცილოს.

არაერთი სირცხვილი, რამდენიმე სკანდალი და მაინც ყველაფერი მშვიდობით (თუ ამას მშვიდობა ეთქმის) დასრულდა.

ნეტავ, რა მოელის ქართულ ფეხბურთს გაზაფხულზე? უარესობა თუ უკეთესობა?!

აბა, არსებულზე უარესი რაღა იქნება და ვიყოთ ოპტიმისტები, მით უმეტეს, როცა ფეხბურთის ფედერაცია გამოსწორებას და პროგრესს გვპირდება.

ძილის წინ სიზმრის მნახველი არავინ შემხვედრია, მაგრამ ეროვნული პირველობის შემხედვარეს მომავლის განჭვრეტა არ უნდა გაუჭირდეს. ამისთვის სულაც არ არის საჭირო ცნობილი და ცხონებული ბულგარელი ნათელმხილველის, ვანგას დარი ნიჭი.

მაშ ასე, რა მოხდება გაზაფხულზე?!

ფეხბურთის ფედერაციით დავიწყოთ. საფეხბურთო ჩემპიონატის განახლებას ეს ორგანიზაცია სახე და ნირშეცვლილი უნდა შეხვდეს. სახეცვლილებას წყალი არ გაუვა, ეს ფედერაციის ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებსაც მალე მოიყვანენ სისრულეში.

ახალი წლიდან ფედერაციაში წმენდა იწყება. უზომოდ გაბერილი შტატები დაიფუშება და საქმის კეთებას ოცდაათიოდე კაცი შეეცდება, მანამდე სამჯერ მეტი ვერ აუდიოდა.

რაც შეეხება ნირის ცვლას, ეს მსოფლიოს ფეხბურთის მამებზე, უფრო სწორად, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წილისყრაზე უფროა დამოკიდებული. თუ ფედერაციისთვის სასურველი გუნდები გვარგუნა წილისყრამ, ხომ კარგი და დიდებული. ფედერაცია ვალებს გადაიხდის, მის საბანკო ანგარიშს ყადაღა აეხსნება და იქნებ ეშველოთ კიდეც, არადა, ისევ წუწუნი, გაჭირვება და უპერსპექტივობაა მოსალოდნელი.

ჩვენს გაჭირვებულ კლუბებს თუ გაუჩნდებათ საშველი? თუ ფედერაციას ეშველა კი, არადა, ადრინდელზე უარეს დღეში იქნებიან. ფეხბურთში ფულის დამბანდებელი ხალხი თითოოროლა თუ მოიძებნება საქართველოში და, თუ ასე სკანდალებითა და დავიდარაბით იარა ქართულმა ფეხბურთმა, ესენიც გაიქცევიან.

მოდით, ახლა იმაზე ვიმარჩიელოთ, ვის უჭირს და ვის ულხინს. ვის როგორი მომავალი ელოდება და რისი მიღწევა შეუძლია.

თბილისის „დინამო“, საქართველოს ათგზის ჩემპიონი, ლეგენდა თუ რეკორდსმენი ისეთ დღეშია მტერს არ უსურვებს კაცი — გაუსტუმრებელი ვალი და დავალიანება ყველგან და ყველაფერში. ერთი დიღმის საწვრთნელი ბაზა, მერე ფეხბურთელები და ავტობუსი შერჩენია თავისი, თორემ ყველა რაღაცას ითხოვს ჩემპიონისგან. ისე, საკითხავია, ჩამოთვლილთაგან სამივე ეკუთვნის „დინამოს“?

დიღმის საწვრთნელი ბაზა TBC ბანკშია დაგირავებული. „დინამომ“ რომ იარსებოს და სხვადასხვა დავალიანებები დაფაროს, ამიტომ ფეხბურთელები უნდა გაყიდოს. როგორც ირკვევა, უკვე გამზადებული ყოფილა ახალი ქარავანი. აშვეთია, ალექსიძე, ვასო გიგიაძე (კიკნაძე და გურჩუა უფრო ადრე) ჩათვალეთ, სხვა ქვეყნის გუნდებში ითამაშებენ.

დარჩა ერთი ავტობუსი. კლუბის ხელმძღვანელობა აუცილებლად იპოვის მოთამაშეებს, რომლებიც მასში ჩასხდებიან. ამისთვის თადარიგიც დაჭერილია, მაგრამ ის ვერ იქნება ადრინდელივით მობილური „დინამო“, საჩემპიონო ბრძოლაში ძალიან გაუჭირდებათ.

„ტორპედო“ — ამბიციებმოჭარბებული გუნდი მარადიული საფეხბურთო ქალაქიდან. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ყოფითი და სათამაშო პირობები, ერთგული გულშემატკივარი, ბაზა და სტადიონი საკუთარი (არავინაა მეწილე და ხელისშემშლელი).

ქუთაისელებმა მთლიანად შეინარჩუნეს საბრძოლო შემადგენლობა. ის კი არა, კიდევ უფრო გაძლიერებაზე ფიქრობენ და დღითი დღე „ტორპედოს“ საჩემპიონო ამბიცია რეალობას უახლოვდება.

თქმა არ უნდა, ქუთაისელებს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთ, თამაშობენ ლაღად, აღმაფრენით, მაგრამ რაღაც აკლიათ. თავად არ ვიცი რა, თუმცა მაინც გრჩება მათ შემხედვარეს დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება.

რამ შეიძლება შეაფერხოს „ტორპედოს“ წინსვლა? ცვლილებამ მწვრთნელთა კორპუსში. ბოლო დროს ბოროტი ენები ძალიან ხშირად წინასწარმეტყველებენ დავით ყიფიანის თბილისში გადმობარგებაზე. ჭორებს (თუ სიმართლეს) შემდეგი არგუმენტით ამყარებენ — ნაკრების მწვრთნელის სკამი ჯერაც თავისუფალია და დავით ყიფიანი კანდიდატებს შორის უპირველესიაო.

ასეა თუ სხვაგვარად, „ტორპედო“ საჩემპიონო ბრძოლაში ერთ-ერთი პირველი ფავორიტია.

უფრთხილდით „ბათუმს“. ჯანი კარნევალეს გუნდი საოცარ პროგრესს განიცდის. ასეთი სოლიდური გუნდი აჭარას რამდენიმე წელია, არ ჰყოლია.

ჩემპიონობა?! რატომაც არა, თქვა კარნევალემ და მის ნათქვამში ბევრი ქვეტექსტიც იკითხება. ენობრივი ბარიერი მაინც ბევრს ნიშნავს, მალხაზ მახარაძემ და კომპანიამ ახლა აული ალლო უცხოელ მწვრთნელს.

„ახლა მიმიხვდნენ ბიჭები, მათგან რასაც მოვითხოვ — აღიარა კარნევალემ — ჩვენ უფრო დავიხვეწებით, კიდევ გავძლიერდებით და...“ — მუქარაც შეიმჩნევა იტალიელის სიტყვებში.

„ბათუმი“ ის გუნდია, რომელიც არაერთ თავსატეხს გაუჩენს კონკურენტებს. საძირკველი ჩაყრილია, შენება დაწყებული. ვნახოთ, კიდევ რა შეუძლია კარნევალეს.

მეთერთმეტე ეროვნულის მეოთხე გუნდად „ვიტ ჯორჯიას“ დავასახელებდით. ფინანსური უზრუნველყოფა სხვებზე უკეთესი თუ არა, არც ნაკლები. სტადიონი საკუთარი, მალე ბაზის მშენებლობაც დაიწყება. ფეხბურთელები სულ ახალგაზრდა, ტალიკ-ტალიკი ბიჭები. ძალას და მონდომებას ბევრი შეუძლია.

რამ შეიძლება დააღალატოს ვეტერინარები?! გამოცდილებამ და სხვამაც არაფერმა გამოცდილების გარდა. ჩემპიონატი დიდი მარათონია, ენერგიისა და ნერვების უდიდეს მარაგს მოითხოვს და ფინიშის სწორზე შეიძლება გაუჭირდეთ ახალგაზრდა ვიტელებს.

პრიზიორთა მარაქაში მოხვედრას შეეცდება დღემდე ოთხეულის „მარადმწვანე“ წარმომადგენელი ფოთის „კოლხეთი“. გაუჭირდებათ გაზაფხულზე „ფაზისის“ ბინადრებს. წლეულს, ადრინდელთან შედარებით, უსუსტესია „კოლხეთი“. შეუთამაშებელი, დაქსაქსული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ კოლხები და ეს მთელ რიგ მატჩებშიც დამტკიცდა. „ბ“ ზონაში მეორე ადგილზე გამოცდილების ხარჯზე გავიდნენ, თანაც „ბ“ ზონა „ა“-სთან შედარებით რომ სუსტი იყო, მგონი, საკამათო არ უნდა იყოს.

ნათქვამია, აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე არ აწიოსო. „კოლხეთი“ გაძლიერებას აპირებს, განათხოვრებული მოთამაშეებიც ბრუნდებიანო და თუ ასეა, მაშინ ფოთელები ანგარიშგასაწევ ძალად იქცევიან, თუმცა წინა წლების მიღწევათა გამეორება გაუჭირდებათ.

არ დაგავიწყდეთ, სად თამაშობს „სიონი“. ბოლნისელთა სიჩაუქემ და თავდადებამ ბევრს აურია თავგზა, კიდევ ბევრი წამოვა ქვემო ქართლიდან გაწბილებული, მაგრამ რაც შეეხება საპრიზო ადგილს, იქ „სიონი“, ალბათ, ვერ მოხვდება.

კლუბებმა დაიწყეს ბოლნისელ ფეხბურთელებზე ნადირობა. დათუაძე უკვე გადაიბირა „დინამომ“, დანარჩენებიც რიგში დგანან. მეტად გაუჭირდება სპარტაკ არჩვაძეს დანაკლისის შევსება, თუმც უკეთეს რვა გუნდში მოხვედრა განგაშის საბაბს არც იძლევა.

გირჩევდით, [illegible] „დილას“. გორის „ცენტრალური“ ის ადგილია, სადაც ბევრი წაქცეულა, ბევრიც ისე დაზარბაცებულა, რომ წელში გასწორება გვარიანად გასჭირვებია. „დილასთან“ ქედმაღლობა არავის გაუვა, ამიტომ ისევ ტკბილი სიტყვა გერჩივნოთ.

გორელებმა პროგრამა-მაქსიმუმი (გაითვალისწინეთ სიტყვა მაქსიმუმი) შეასრულეს, არც ტრადიციას ეღალატება და მერვე ადგილი ჯანმრთელობასთან ერთად ჩვეულია „დილასთვის“.

არ ვიცი, რისი იმედი უნდა ჰქონდეს სამტრედიულ „იბერიას“, თუმც საშიშარიც რომ არაფერი დარჩენია?! სოსო ფრუიძის შეგირდებმა შაკიკი და თავის ტკივილი „გორდას“, თსუ-ს, „ხობსა“ და დანარჩენებს გადაულოცეს და არიან ახლა კენჭივით.

ზედგამოჭრილი იქნება, რომ ვთქვათ, „იბერიას“ არც უჭირს და არც ულხინსო. იქნებიან თავისთვის, არც თავს შეიწუხებენ და არც სხვებს შეაწუხებენ. ჩემპიონ-პრიზიორობა არ სურთ (უფრო სწორად, არ ძალუძთ) და ჯგუფში ხომ დარჩენილები არიან. ამიტომ „იბერიასაც“ მოეფერეთ, იქნებ სახეიროს რამეს გამოჰკრათ ხელი. ისიც იცოდეთ, სამტრედიელები ვალს დროულად რომ ისტუმრებენ და კუთვნილსაც არავის შეარჩენენ.

დროა, ცოტა ქვემოთაც ჩამოვიხედოთ, დაჩაგრულ და გასავარდნად განწირულ კლუბებზეც ვთქვათ. მხოლოდ ღვთის ანაბარა ხომ არ დავტოვებთ.

გადასარჩენად მებრძოლთა შორისაც გამოიძებნებიან მთლად დაბეჩავებულები და ვერ გეტყვით, რა ეშველებათ „არსენალს“, „ხობს“ და „მერანს“.

თბილისურ „არსენალს“ პატრონი და მარჩენალი გაექცა. იგივე დღეშია „მერანიც“. მათ ზამთრამდე როგორღაც კი მიიტანეს სული, მაგრამ ახლა გამოზამთრება არ გინდა? ფეხბურთელებიც სხვადასხვა კლუბებში დაიქსაქსებიან და... დღევანდელი გადასახედიდან მათი გადარჩენა წარმოუდგენელიც კია.

„ხობი“ თუ ფეხბურთის ფედერაციას გადაურჩა, მერე არა უშავს, მაგრამ ქართული ფეხბურთის გენმდივანმა, ვალერი ჩოლარიამ, სულ ახლახან ისე დაიმუქრა, „ხობი“ სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ, რომ მათ თავზე რაღაც ავი ღრუბელი მოგროვილა.

მსაჯის ორჯერ ცემას აბა, ვინ შეარჩენს ხობელებს, ამბობენ, სადისციპლინო კომიტეტი ჩვეულებრივზე მკაცრი და შეუვალი იქნებაო. ვერაფრით ვეხმარებით ხობელებს, მათ თავიანთი ხელით მოჭრეს ის ტოტი, რომელზეც ბინადრობდნენ.

გაურკვეველია „ლოკომოტივის“ ბედი. რკინიგზელთა უფროსობას ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, აგრძელებს თუ არა ჩემპიონატში ბურთაობას. ისე, პასუხს მალე გვპირდებიან.

ბოლომდე სიტუაციას ვერც „თბილისი“ ფლობს. ამბობენ, გუნდის ხელხემალი „დინამოს“ მიჰყავსო (აბა, უფროს ძმა როგორ ეღალატება). დარჩენილი კონტინგენტით კი ჯგუფში ადგილის შენარჩუნება წარმოუდგენელია.

წყალტუბომ აწყობილი გუნდი დაშალა და ახლა არ გამიკვირდება, შარშანდელი თასის ფინალისტი ჯგუფიდანაც რომ გავარდეს. იმერელთა საუკეთესო ახალგაზრდების გადაბირებას სხვა გუნდები ცდილობენ და არა მგონია, ჯგუფში ადგილი მხოლოდ გამოცდილი სუხიაშვილის ძალისხმევამ შეუნარჩუნოს.

ყველაზე უკეთ კიდევ „გორდა“ და თსუ გამოიყურებიან. რუსთაველებს ვარლამ კილასონია ჰყავთ, სტუდენტებს კი სოლიდური პატრონი. შემართება არც ერთს აკლია. თსუ-ს და „გორდას“ ჯგუფში დარჩენა არ უნდა გაუჭირდეთ.

ერთი რამ ნათელია, რვაში ოთხი გუნდი განწირულია. ისიც არ გაგიკვირდეთ, საჩემპიონო ორთაბრძოლას, ჯგუფში ადგილის შემნარჩუნებელთა თავდადებამ რომ აჯობოს. უარეს რვა გუნდში უფრო თანაბარძალოვანნი არიან თავშეყრილნი. ესეც დამატებითი ინტრიგა და სტიმულია.

ძილის წინ, მგონია, კარგი სიზმარი გამოგვივიდა. თქვენი ნებაა, გინდ დაიჯერეთ ნათქვამი, გინდ არა. გაზაფხულზე თეთრი და შავი მაინც გაირჩევა.

**მამუკა ქვანტალიანი**



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

„ლოკომოტივი“ — „სიონი“ 0:1. „ა“ ზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა



მამუკა დარჩიას ფოტო

„ტორპედო“ — „გორდა“ 1:0. მეორე წრე ტორპედოელებმა გიორგი მეგრელაძის (№10) ამ გოლით დაიწყეს

# უპასუხო კითხვები სამშაბათის წინ

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

როგორ იყრიან კენჭს, სამშაბათს, ტოკიოს ფუტურისტულ საერთაშორისო ფორუმის დარბაზში, კალათებში ჩაყრილი ქვეყნები? ვინ რომელ კალათაში იქნება? რა მოხდება პროგრამით გათვალისწინებული 90 წუთის განმავლობაში? რა როლი მიენიჭებათ შოუს მონაწილეებს: სუმისტ კონიშიკის, ჩოგბურთელ კიმიკო დატეს, ფეხბურთელ შინჯი ონოს, რომელიც აზიაში წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს, კორეელ ფორვარდს ან იუნგ-ჰვანს, პელეს, რომელსაც წარდგენა არ სჭირდება, მიშელ პლატინის, უგო სანჩესსა და ალბათ ემე ჟაკესაც, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, საფრანგეთის მწვრთნელს?

ამ კითხვებიდან ამომწურავ პასუხს, დღეს, ერთზეც ვერ გაგცემთ. ჩვენ კი არა, ფიფას ერთ-ერთი მოხელე სააგენტო „როიტერს" გამოუტყდა: „განთესვა საბოლოოდ ჯერ არ გვაქვს მოფიქრებული, მაგრამ, ვგონებთ, ევროპული გუნდებისთვის იგი მნიშვნელოვანწილად ევრო 2000-ის შესარჩევში ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. მოსალოდნელია, რომ ბელგია და ჰოლანდია, როგორც ევროპის პირველობის მასპინძლები, ერთმანეთს ვერ შეხვდებიან".

ჩვენთვის გაუგებარია, რა კავშირშია ერთმანეთთან ევროპის პირველობის მასპინძლობა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფთან, მაგრამ ორგანიზატორები, როგორც ჩანს, ბელგიისა და ჰოლანდიის დასაშორიშორებლად რაღაც საბაბს პოულობენ. ზემოხსენებულმა მოხელემ დასძინა: „მოკლედ, ზოგიერთი ცვლილება ჯერ კიდევ მოსალოდნელია, მაგრამ ძირითადად, ევრო 2000-ის შესარჩევი ჯგუფების გამარჯვებულები, ალბათ, პირველ ნომრებად განითესებიან".

როგორც ჩანს, გერმანია, ესპანეთი, ჰოლანდია, ბელგია და სხვანი პირველი ნომრები იქნებიან, ხოლო ინგლისი და იტალია, მეორენი. აქ, ინგლისელი რეპორტიორები საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას მათი ქვეყნისა და გერმანიის ერთ ჯგუფში შესაძლო მოხვედრაზე. ისინი იხსენებენ, რომ ამ ქვეყნებს შორის საფეხბურთო შუღლს 1966 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო დღეს მათი მტრობის მიზეზი 2006 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძლობისათვის ბრძოლაა.

ახლა გავიხსენოთ, რა პრინციპით გათამაშდება ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ევროპული შესარჩევი შეჯიბრება. მოგეხსენებათ, უეფას წევრი ქვეყნებისთვის 32 ადგილიდან გამოყოფილია 14. აქ არ ვგულისხმობთ „ბებერი კონტინენტის" კიდევ ერთ წარმომადგენელს, საფრანგეთს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის რანგშია და, შესაბამისად, ავტომატურად, ფინალური ეტაპის მონაწილე გახლავთ.

უეფას წევრები ანუ ევროპელები შექმნიან ცხრა ჯგუფს, რომელთა გამარჯვებულებს იაპონია-კორეის საგზურს უბოძებენ. მეორე ადგილებზე გასულ ცხრა გუნდს კი დაემატება ერთი აზიური ქვეყანა და ისინი ჩვეულებრივი კენჭისყრით დაწყვილდებიან. შესაბამისად, გაიმართება ხუთი პლეი-ოფი და გამოვლინდება კიდევ ხუთი გუნდი, რომელთა შორის ოთხი უეჭველად ევროპული იქნება, ხოლო ერთი შეიძლება აზიური იყოს. თუ ხუთივე პლეი-ოფურ საგზურს უეფას ნაკრებები მოიპოვებენ, მაშინ ევროპა მსოფლიოს პირველობაზე (საფრანგეთის ჩათვლით) 15 წარმომადგენლით წარსდგება.

იასუჰიკო ენდო, მსოფლიოს საორგანიზაციო კომიტეტის ორგანიზატორი იაპონიის მხრიდან: „კენჭისყრა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ოფიციალური ღონისძიებაა და ჩვენ მისთვის საგანგებოდ ვემზადებით. სამშაბათისთვის 4 500 სტუმარს ველით და ვთვლით, რომ ამის შემდეგ პროცესი დაწყებულია".

ზოგადად კი, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში ქვეყანათა არნახული რაოდენობა, 197 მონაწილეობს. მათგან 194 შესარჩევ შეჯიბრებაში ჩაერთვება. მასპინძლები, იაპონია და კორეა, ჩემპიონ საფრანგეთთან ერთად პირდაპირ ფინალურ ეტაპზე გამოვლენ. ფინალური ეტაპი 2002 წლის 1-30 ივნისს გაიმართება და მის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად უცხოეთში ბილეთების განაწილება რჩება.

უკვე დღეს, ფიფამ, ორგანიზატორებს 3 მილიონი ბილეთი შეუკვეთა. როგორც ზემოხსენებულმა ენდომ განმარტა ადრე უფრო ნაკლებზე იყო ლაპარაკი.

გეხსომებათ, რამხელა აურზაური გამოიწვია 1998 წლის ჩემპიონატის წინ ბილეთების განაწილებამ. მაშინ ბრიტანეთს, ჰოლანდიას, გერმანიასა და ბელგიას იმაზე გაცილებით ნაკლები, ხვდათ, ვიდრე ითხოვდნენ და ეკუთვნოდათ კიდეც. მასპინძელს, საფრანგეთს ყველგან აკრიტიკებდნენ, ვინაიდან მათ ბილეთთა საერთო რაოდენობის 65 პროცენტი შიდა ბაზარზე გაყიდეს.

**მიხეილ სურგულაძე**

# არჩევის არჩევის ამბავი

ორშაბათს, ტოკიოში, ფიფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის 24-მა წევრმა უნდა გადაწყვიტოს, რა მეთოდით ჩატარდება გაისად, 6 ივლისს, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის არჩევა. შეგახსენებთ, რომ კანდიდატი ხუთია: ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა.

როგორც აღმასკომის ერთ-ერთი წევრისგან გახდა ცნობილი, არჩევანი ორ სისტემას შორისაა. პირველი გახლავთ პირდაპირი გამორიცხავა ანუ ჯერ ხმათა უმრავლესობით ერთ ქვეყანას გამორიცხავენ, მერე მეორეს და ასე შემდეგ, სანამ გამარჯვებული არ დარჩება. მეორე სისტემა ეტაპობრივია. აქ, ხმათა მიხედვით დატოვებენ ორს, ხოლო შემდეგ მათ შორის ყრიან წილს.

პროგნოზები ასეთია: თუ ორშაბათს აღმასკომი პირველ მეთოდს დაამტკიცებს, მაშინ აშკარა ფავორიტად ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის სასურველი სამხრეთ აფრიკა რჩება, მაგრამ ინგლისსა და გერმანიას აშკარად მეორე მეთოდი უჯობთ.

საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კენჭისყრის მნიშვნელოვან დეტალებს საიდუმლოდ შეინახავენ.

საყოველთაო აზრით, გამარჯვების ყველაზე რეალური კანდიდატები სამხრეთ აფრიკა, გერმანია და ინგლისი გახლავან.

თუკი ბოლო პერიოდის ამბებს მნიშვნელობა მიენიჭება, მაშინ ინგლისს, სამხრეთ აფრიკასა და ბრაზილიას სანერვიულო ჰქონიათ. ინგლისში მთავრობამ „უემბლის" რეკონსტრუქციის გეგმა შეაჩერა. მიზეზი: განახლებული „უემბლის" შეთავაზებული პროექტის თანახმად, მისი ტევადობა მცირეა. ასეთი სტადიონი ფეხბურთელთა და მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატებს პლუს ოლიმპიადას ვერ დააკმაყოფილებს.

სამხრეთ აფრიკას ბოლო ხანს მომხდარი ტერორისტული აქტი უშლის ხელს, ხოლო ბრაზილიას — 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაზრდილნი ჰყოლია წაყვანილი და საერთაშორისო ფეხბურთიდან ორწლიანი მოკვეთითაც კი ემუქრებიან.

# საბო ნაკრებს გამოეთხოვა

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ საბომ ხუთშაბათს ოფიციალურად დატოვა თანამდებობა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში სლოვენიელებთან მარცხის შემდეგ საბო კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა და გადაწყვიტა, ნაკრებიდან წასულიყო. „ვგრძნობდი, რომ უნდა გადავმდგარიყავი, ახლა მეტს ვერაფერს ვიტყვი. მომავალ თავკაცს წარმატებებს ვუსურვებ, დაე, მან განახორციელოს ის, რაც მე ვერ შევძელი" — განაცხადა საბომ პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში. მანამდე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა და ამავდროულად ფეხბურთის პირველმა პირმა ვალერი პუსტოვოიტენკომ განაცხადა, რომ ნაკრებს ახალი თავკაცი მალე გამოუჩნდება. საბოს შემცვლელს უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო შეხვედრაზე დაასახელებს, რომელიც 20 დეკემბერს გაიმართება. კანდიდატებად საბოს თანაშემწეებს — ლეონიდ ბურიაკს და ალექსეი მიხაილიჩენკოს ასახელებენ. კულუარებს მიღმა კი კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ახლო წარსულში ცნობილი ფორვარდის — ოლეგ ბლოხინის გვარიც ფიგურირებს. ეს უკანასკნელი დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ საბერძნეთში მოღვაწეობდა, სადაც სხვადასხვა დროს „ოლიმპიაკოსს", პაოკ-სა და აეკ-ს თავკაცობდა. 1998 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა.



იოჟეფ საბო სლოვენიელებს შეეწირა

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
1 წრე. 2 ოქტომბერი

UEFA CUP

**სპარტაკი (რუსეთი) 2:1 ლიდსი (ინგლისი)**

0:1 კიუელი (14), 1:1 შირკო (38), 2:1 რობსონი (65)
სპარტაკი: ფილიმონოვი, ბუშმანოვი, კოვტუნი, ხლესტოვი, ბარანოვი, ტიტოვი, ბულატოვი, პარფიონოვი, შირკო, რობსონი, ბეზროდნი
ლიდსი: მარტინი, კელი, დაბერი, ვუდგეიტი, ჰარტი, ჰაალანდი, ბოუერი, ბაკე, მაკფაილი, კიუელი, ბრიჯესი (ჰაკერბი 55)
გაფრთხილება: კოვტუნი, ჰარტი
მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)



REUTERS სოფიიდან

მოსკოველი ეგორ ტიტოვი (№9) ლიდსელების მაიკლ დაბერის (№12) და იან ჰარტის შლაგბაუმს გადაეყარა

მატჩის გადადების და მისი ბულგარეთის დედაქალაქში ჩატარების შესახებ არაფერს ვიტყვით. ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. გუნდები თამაშს განსხვავებული განწყობით შეხვდნენ. რუსეთის ჩემპიონატი კარგა ხნის დასრულებულია და შესაბამისად, „სპარტაკს" სათამაშო პრაქტიკა აკლდა. ამასთანავე მიმდინარე სეზონში მოსკოველებს შინ არც ერთი საერთაშორისო შეხვედრა არ მოუგიათ. საპირისპიროდ, „ლიდსი" კარგ ფორმაშია და პრემიერლიგასაც ლიდერობს. ინგლისელებს მცირე ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჰქონდათ, მატჩი ნეიტრალურ მინდორზე ჩატარდა.

„ლიდსმა" (მას პირობითად სტუმარი ვუწოდოთ) უპირატესობა თავიდანვე მოიპოვა. ჰარი კიუელს უკვე მეხუთე წუთზე შეეძლო ანგარიშის გახსნა. ლიდსელთა კარგი სტარტი მით უფრო აღსანიშნავია, რომ მათ ორი წამყვანი ფეხბურთელი, დევიდ ბეტი და კაპიტანი ლუკას რადებე აკლდათ.

პირველი გოლი კურიოზული, თუმც ლამაზი გამოდგა. დმიტრი ხლესტოვი საკუთარ საჯარიმოში უხეშად შეცდა. მან ბურთი მეტად უხერხულად მოიგერია და პირდაპირ კიუელს ჩააბარა. ავსტრალიელს ასეთ საჩუქარზე უარი არ უთქვამს. მცველებს გასცდა, ფილიმონოვიც მოატყუა და ახლო მანძილიდან შეაგდო.

მიღებული გოლის შემდეგ რუსები გამოფხიზლდნენ. ბურთი ძირითადად სტუმართა ნახევარზე ტრიალებდა. საკუთარი კარის გადასარჩენად ნაიჯელ მარტინს ბევრი ოფლის ღვრა მოუხდა. ტაიმის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე სპარტაკელთა მცდელობამ შედეგი გამოიღო. კუთხურის ჩაწოდების შემდეგ ლიდსელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა. ამით ალექსანდრ შირკომ იხეირა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად წარიმართა. თავიდან სტუმრებმა შეუტიეს. იგივე კიუელი ორჯერ იყო მიზანთან ახლოს. 55-ე წუთზე თავდამსხმელი მაიკლ ბრიჯესი ფილიმონოვთან შეჯახებისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქმნა. მის ნაცვლად მინდორზე დარენ ჰაკერბი გამოვიდა. „სპარტაკმა" „ლიდსის" შეტევებს გაუძლო და თანდათან შეტევაზეც გადავიდა. გამარჯვების გოლი 65-ე წუთზე რუსთა ბრაზილიელმა ფორვარდმა ლუის რობსონმა შეაგდო. ამას სტუმრები არ ელოდნენ. მათი დაცვა ბევრს სცოდავდა და შირკოს და ბეზროდნის შეტევების ჩაშლა ლიდსელ მეკარეს უხდებოდა. „ლიდსის" შეტევებს ქაოსური ხასიათი ჰქონდა. ნახევარმცველები თამაშის ჰაკერბიზე აწყობას ცდილობდნენ. ამ უკანასკნელმა კი სახეირო ვერაფერი გააკეთა.

მატჩის არბიტრმა ანდრეს ფრისკმა ორი ფეხბურთელი — იური კოვტუნი და იან ჰარტი გააფრთხილა. კოვტუნისთვის ეს მეორე ყვითელი ბარათია, ამიტომ საპასუხო მატჩში „ელანდ როუდზე" ვერ ითამაშებს.

პრესკონფერენციაზე „ლიდსის" მწვრთნელი დევიდ ოლირიმ თქვა: „თამაშით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, უკმაყოფილო ვარ. თუმცა გასამართლებელი მიზეზებიც გვაქვს — უძლიერესი შემადგენლობა არ გვყავდა.

საპასუხო შეხვედრაში, შინ, უკეთ ვითამაშებთ. დღეს დაფიქსირებული ანგარიშის გათვალისწინებით, შემდეგ ეტაპზე გასვლის ძალიან კარგი შანსი გვაქვს".

# სპარტაკი შიშვლდება?

ოთხშაბათის „სარბიელში" ავსტრალიელ ფეხბურთელ გოგონათა შესახებ გაუწყებდით, რომლებმაც კედლის კალენდრისთვის გუნდური ფოტოები შიშვლებმა გადაიღეს. თურმე მსგავსი წინადადება მოსკოვის „სპარტაკის" კაცი მოთამაშეებისთვისაც შეუთავაზებიათ. კლუბის პრესატაშის, ალექსანდრ ლვოვის ინფორმაციით, ოფისში ჟურნალ *Cosmopolitan*-ის რედაქციიდან გოგონას დაურეკავს და უთქვამს, ძალიან გვინდა, გუნდის შიშველი ფოტო გადავიღოთო. კითხვაზე, რისთვისაა ეს საჭირო, უცნობს უპასუხია: ვფიქრობთ, ჟურნალის პოსტერზე შიშველი სპარტაკელების ხილვა ერთობ მომხიბლავი იქნებაო...

„სპარტაკის" პრესატაშესაც საქმიან წინადადებაზე საქმიანადვე მიუგია: მაშინ თითოეულ ფეხბურთელს 50 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოთ. ისიც, იმ შემთხვევაში, თუ დათანხმდებიანო. ჟურნალის რედაქცია დაფიქრებულა.

## ესპანეთი

თასის II ეტაპის წილისყრა: სპორტინგი (II) — სელტა; ალმერია (III) — ბარსელონა; ეპორტივო — მალაგა; ორენსე (II) — მალიორკა; ლას პალმასი (II) — ატლეტიკო; ოსასუნა (II) — ვალენსია; სარაგოსა — რასინგი; ბილბაო — რაიო ვალეკანო; ლოგრონიესი (II) — ოვიედო; ალბასეტე (II) — ესპანიოლი; მერიდა (II) — ბეტისი; რეალ უნიონი (III) — ალავესი; ლეიდა (II) — ეიბარი (II); ბარაკალდო (III) — ვილიარეალი (II); ტენერიფე (II) — კომპოსტელა (II)

პირველი მატჩები გაიმართება 15 დეკემბერს, საპასუხოები კი — 2000 წლის 12 იანვარს.

მადრიდის „რეალი" სამეფო თასის გათამაშებაში ჩაერთვება III ეტაპიდან

## იტალია

თასის მერვედფინალი. 1 წრე

**ატალანტა 3:2 მილანი**

0:1 შევჩენკო (14), 0:2 ლეონარდო (67), 1:2 კაჩა (70), 2:2, 3:2 ნაპი (87, 90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შტრუნცი აუტანელსაც აიტანს



თომას შტრუნცი

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი თომას შტრუნცი მინიმუმ ხუთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. ექიმები არ გამორიცხავენ, რომ მან შეიძლება საერთოდ ველარ შეძლოს თამაში.

31 წლის ჟვითელთმიანი გერმანელი გასულ სეზონში გერმანიის თასის ფინალური მატჩისთვის მზადებისას დაშავდა. ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე იგი ცუდად დაეცა და მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო. შტრუნცმა იმკურნალა კიდეც, თუმცა გამოჯანმრთელებას არ დაელოდა და ახალი სეზონისთვის მზადებას გულმოდგინედ შეუდგა. წლეულს ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა ლიგაში რამდენიმე მატჩიც გამართა. ყოველივე ამის შედეგს კი ახლა იმკის — მუხლის მდგომარეობა ისე გაურთულდა, ეგებ ბუცები კედელზე სამუდამოდაც კი ჩამოკიდოს, თუმცა...

„დარწმუნებული ვარ, 3-4 თვეში ბოლომდე გამოვჯანმრთელდები და 24 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში, „ბაიერნის“ მაისურით გადამწყვეტ პენალტს გავიტან“ — იმედს არ კარგავს შტრუნცი.

„ბაიერნის“ ექიმის, დოქტორ მიულერ-ვოლფარტის გადაწყვეტილებით, კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში გადააფრინა, სადაც ოპერაციას გაუკეთებენ. ამის შემდეგ კი ხანგრძლივი აღდგენითი პროცესი დაიწყება, რომელიც შესაძლოა, წარუმატებლად დასრულდეს. ეს თავად შტრუნცს ორგანიზმზეა დამოკიდებული.

„მჯერა, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება და იმაზე ადრე დავუბრუნდები მინდორს, ვიდრე მედიკოსები ვარაუდობენ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ ზაფხულს გასამართი ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მომიწევს. ეს თუ მოხდა, გული ძალიან დამწყდება“ — თქვა შტრუნცმა ამერიკაში გამგზავრებამდე და თან დაამატა, ოღონდ გამოვკეთდე და ამ ტკივილებსაც გავუძლებო.

31 წლის თომას შტრუნცს გერმანიის ეროვნული ნაკრების ღირსება 41-ჯერ დაუცავს.

ვანო ოქროპირიძე

# ვისია რუსეთის ჩემპიონატი?

რუსეთში პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის არჩევნები მოეწყო. კანდიდატები მრავლად იყვნენ, მაგრამ შედეგი საბჭოურ-კომუნისტური აღმოჩნდა. უშუალოდ კენჭისყრის წინ ერთის გარდა ყველა პრეტენდენტმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. ის ერთი ამჟამინდელი პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი გახლდათ, რომელიც ყრილობამ ერთხმად აირჩია.

მოგეხსენებათ, რუსეთში საფეხბურთო მეურნეობას ორი ორგანიზაცია კურირებს. ერთი მათგანი ზემოთ ნახსენები პროფესიული ლიგაა, მეორე — საფეხბურთო კავშირი, რომელსაც მარადიული პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი უდგას სათავეში. რატომ არის საჭირო ორი უწყება? ალბათ იმიტომ, რომ ფუნქციები გადაინაწილონ. ჰოდა, მეორე ვადით არჩეულ ტოლსტიხს საფეხბურთო კავშირისთვის შეუთვლია, ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩვენ გადმოგვეციო. ცხადია, კოლოსკოვი გემრიელ ლუკმას არ დათმობდა და ასეც მოხდა. მას ამის უფლება აქვს. უეფა და ფიფა მხოლოდ საფეხბურთო კავშირს ცნობენ, მაშასადამე სიმართლეც კავშირის მხარესაა.

კოლოსკოვის განცხადებით, გაისად ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა განაცხადები მას 15 დეკემბრამდე უნდა წარუდგინონ. იკითხავთ, მაშ, პროფესიულ ლიგას რაღაო? პროფესიული ლიგა გათამაშების კალენდარს და რეგლამენტს მოამზადებს. მასვე დაევალება კლუბების მიერ საწევრო შენატანების ოდენობისა და სამოყვარულო გუნდებისთვის სავალდებულო პირობების განსაზღვრა.

კოლოსკოვმა ასევე თქვა, რომ შეიქმნება ათკაციანი შემათანხმებელი კომისია. ამ ჯგუფს საფეხბურთო კავშირსა და პროფესიულ ფეხბურთის ლიგას შორის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპების დადგენა დაევალება.

# კონკაკაფს სახელი უშნოდ შეუცვალეს

ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის, ასევე კარიბის ზღვის საფეხბურთო კონფედერაცია 38 წევრ ქვეყანას აერთიანებს. მთელს მსოფლიოში ეს გაერთიანება კონკაკაფის სახელითაა ცნობილი, იქაურ ბოსებს კი დიდი ხანია გადაუწყვეტიათ, უმრავლესობისთვის გაუგებარი ეს აბრევიატურა ახლით შეეცვალათ.

1990 წელს გაერთიანების პრეზიდენტი ვინმე ჯეკ უორნერი გახდა და პირველი, რაზეც ილაპარაკა, მოძველებული აბრევიატურის სახეცვლა გახლდათ. მას შემდეგ ცხრა წელიწადი გავიდა და აი, ახლახან გაირკვა, რომ ორგანიზაციას „ფეხბურთის კონფედერაცია“ უწოდეს. „ჩვენი წევრი ქვეყნები ბოლო დროს ერთობ მოღონიერდნენ, ამიტომ სახელის შეცვლაც მართებულად მიგვაჩნია“ — თქვა უორნერმა, ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჩაკ ბლეიზერმა დაამატა: „თავდაპირველი დასახელებიდან მხოლოდ ორი უმთავრესი სიტყვა დავტოვეთ. ახალი სახელი იოლად გამოსათქმელი და გასაგებია.“

ამერიკული მედია კი უნდობლად შეხვდა სიახლეს. მათ მიაჩნიათ, რომ დასახელების შემცირებით აბრევიატურამ თავისი სპეციფიკა დაკარგა. „ფეხბურთი“ და „კონფედერაცია“ ნებისმიერი რეგიონალური ორგანიზაციის დასახელებაში მთავარი სიტყვებია, ამიტომ ჯერჯერობით ყველა საინფორმაციო საშუალება ორგანიზაციას ისევ ძველებურად მოიხსენიებს.



რობერტო კარლოსი

# რეალი მაინც პირველია

მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების მცველმა რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიმდინარე სეზონში ყველა ტიტული მოიგო, რომელშიც იგი ასპარეზობდა — ინგლისის ჩემპიონობა, ქვეყნის თასი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და ყოველივე ბოლოს საკონტინენტთაშორისო თასით დააგვირგვინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც სჯერა, რომ თავად მსოფლიოს პირველ გუნდში თამაშობს და მადრიდის „რეალს“ ამ ტიტულს კარგა ხანი ვერავინ შეეცილება. „ნამდვილად ვულოცავ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამ დიდ და ბრწყინვალე გამარჯვებას, თუმც ვთვლი, რომ „რეალამდე“ და მის მიღწევებამდე ჯერჯერობით ნებისმიერ გუნდს ბევრი უკლია. მე ვგრძნობ, რომ მსოფლიოს ჩემპიონ გუნდში ვთამაშობ“. ეს ინტერვიუ კარლოსმა ესპანურ გაზეთ MARCA-ს მისცა. მისი თქმით, მადრიდული კლუბი ამჟამად კრიზისს განიცდის, მაგრამ ახალი თავკაცი, ვისენტე დელ ბოსკე გუნდს უთუოდ ფეხზე დააყენებს, რითაც ძველ სახელსა და დიდებას შეუნარჩუნებს. „ვიმედოვნებ, რომ „რეალის“ ბრწყინვალე დღეები შორს არაა. დიდი კლუბი დიდ თამაშს აუცილებლად უჩვენებს. თუმც ეს არ მოხდება გულშემატკივრის თანადგომის გარეშე. ყოველთვის ვგრძნობდი „სანტიაგო ბერნაბეუს“ ძალას“ — აღნიშნა კარლოსმა.

ვაჟა ლომიძე

## ფეხბურთის რუკასთან

არგენტინის ნაკრების ყოფილ ფორვარდ კლაუდიო კანიჯას სასამართლომ ფოტორეპორტიორის შეურაცხყოფისათვის პატიმრობა მიუსაჯა. ამჟამად კანიჯა იტალიის მეორე დივიზიონელი ბერგამოს „ატალანტას“ ღირსებას იცავს. მისდამი დამსჯელ ღონისძიებას პოლიცია მაშინ გაატარებს, როდესაც ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდება. თურმე კანიჯას ფოტორეპორტიორი იმ მომენტში უცემია, როდესაც ეს უკანასკნელი არგენტინაში, ერთ-ერთ გამოფენაზე ფეხბურთელის ცოლს, მარიანა ნანისს აბეზრებდა თავს. „იმ კორესპონდენტთან მხოლოდ წალაპარაკება მომივიდა, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე არც მიფიქრია. არ ვიცი, პოლიციამ ეს საიდან გაიგო“ — განაცხადა თავად კანიჯამ ერთ-ერთი იტალიური რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

**რუმინეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ვიქტორ პიცურკა, რომელმაც პოსტი გასულ თვეში მიატოვა, ბუქარესტის „სტიაუას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მან სამი კვირის წინ გადამდგარი ემერიხ ენეი შეცვალა, ამ უკანასკნელმა კი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაიბარა. „ამით გუნდის ყოფილი ფეხბურთელების თავკაცად დანიშვნის ტრადიცია გავაგრძელეთ“ — განაცხადა „სტიაუას“ პრესატაშემ, დან დუმიტრესკუმ, თუმც ახალი, ორწლინახევრიანი კონტრაქტის ფინანსური მხარე არ გაუმხელია.**

ესპანეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ვალიადოლიდის“ პრეზიდენტი მარკუს ფერნანდესი გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო ხუთშაბათს თანამდებობიდან გადადგა. კლუბი ამჟამად სასტიკ კრიზისს განიცდის, პრიმერადივიზიონში ბოლოსწინა, მე-19 ადგილზეა, ხოლო ესპანეთის თასის გათამაშებიდან ოთხშაბათს გავარდა, მესამედივიზიონელ „რეალ იუნიონთან“ შეხვედრის შემდეგ.

**ინგლისური „ლივერპულის“ ნახევარმცველმა ჯეიმი რედნაპმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და თავის გუნდს მომავალი წლის მარტამდე ვერ დაეხმარება. მას ტრავმა ადრეც აწუხებდა, რის გამოც ბევრჯერ თვეობით ვერ თამაშობდა. „რედნაპის არყოფნაში გუნდს ძალიან გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ ნახევარდაცვაში ისედაც სერიოზული პრობლემები გვაქვს. ჩეხები ვლადიმერ შმიცერი და პატრიკ ბერგერი დაშავებულნი არიან და თამაშს ალბათ, მხოლოდ მომავალი კვირიდან შეძლებენ“ — განაცხადა „ლივერპულის“ თავკაცმა ჟერარ ულიემ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში. აქვე იმედი გამოთქვა, რომ რედნაპი მაქსიმალურად სწრაფად გაივლის სარეაბილიტაციო პერიოდს და გუნდს დაუბრუნდება. „ჯეიმი არა მარტო „ლივერპულისთვის“, არამედ ინგლისის ნაკრებისთვისაც საჭირო ფეხბურთელია, ევრო 2000-ში იგი ნაკრებს აუცილებლად უნდა დაეხმაროს“ — დაამატა ულიემ.**

გერმანულმა „შტუტგარტმა“ მცველ ტორსტენ ლეგატთან გააუქმა კონტრაქტი. მიზეზი მისი რასისტული საქციელია. 31 წლის ლეგატმა, რომელსაც გუნდთან 2001 წლამდე აკავშირებდა კონტრაქტი, თავის თანაგუნდელ განელ პაბლო ტიამზე უხეში რასისტული სიტყვები დაწერა, რაზეც სწრაფი რეაგირება გააკეთა „შტუტგარტმა“ და მცველთან 1995 წელს დადებული კონრაქტი შეწყვიტა. ამ პერიოდიდან ლეგატი გუნდში ირიცხებოდა, მაგრამ მიმდინარე სეზონში ტრავმის გამო არ უასპარეზია.

**ინგლისური „ლივერპული“ ავსტრიული „ტიროლის“ 23 წლის მეკარე ჰანს ვებერით დაინტერესდა და 10 დღით შესამოწმებლად ინგლისში მიიწვია. „ლივერპულის“ თავკაცმა ჟერარ ულიემ შესაძლოა ვებერი პრემიერლიგის მომავალ მატჩში, „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ სათადარიგოთა შორისაც გაამწესოს. ახალგაზრდა მეკარის გადაბირებით კიდევ ერთი ინგლისური გრანდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო მოწადინებული, თუმცა ჩემპიონებს ალბათ ჯერჯერობით ცდა მოუწევთ, ვიდრე ვებერი „ლივერპულთან“ გაარკვევს ურთიერთობას.**

ინგლისური „ნიუკასლისა“ და „ტოტენჰემის“ ყოფილი თავკაცი ოსვალდო არდილესი იაპონიის J-ლიგის გუნდის „იოკოჰამა მარინოსის“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. ფეხბურთის 48 წლის სპეციალისტი გასულ თვეში ხორვატული „კროაციას“ თავკაცის პოსტიდან გაათავისუფლეს. არდილესი თავისი მოვალეობის შესრულებას 1 იანვრიდან შეუდგება.

**ჰოლანდიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის — იოჰან კრუიფის ვაჟმა ხორდი კრუიფმა უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს გაისად ზაფხულში თავისი კლუბის — „მანჩესტერ იუნაიტედის“ დატოვებას და სხვა გუნდში გადასვლას აპირებდეს. „არც კი ვიცი, ასეთი ჭორები საიდან ვრცელდება, არავისთან ამის შესახებ არ მილაპარაკია, რადგან ჯერჯერობით თავად არ ვიცი ჩემი მომავალი კარიერის ამბავი“ — განაცხადა მან.**

ჩეხურ „სპარტას“, გერმანული „შალკე 04“-დან თავისი ყოფილი ფეხბურთელის, 33 წლის ირჟი ნემეცის დაბრუნება სურს. ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველსა და კაპიტანს გერმანულ გუნდთან კონტრაქტი 2001 წლამდე აკავშირებს. იგი „სპარტას“ რიგებს 1990-დან 1993 წლამდე იცავდა.

**გერმანულმა „ლევერკუზენმა“ 16 წლის ავსტრიელი ფორვარდი ფილიპ ვაისენბერგერი გადაიბირა. ეს ფეხბურთელი მანამდე ავსტრიის რეგიონალურ ლიგაში მოასპარეზე „ვორარლბერგის“ ღირსებას იცავდა. მან „ლევერკუზენთან“ 2002 წლის ივნისამდე გააფორმა კონტრაქტი, თუმცა გათვალისწინებულია, რომ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მომდევნო ოთხი წელიც შეუძლია დარჩეს გუნდში. უკვე გაუწყეთ, რომ „ლევერკუზენმა“ ამ დღეებში კიდევ ორი ახალგაზრდა ხორვატი ფეხბურთელი შეიძინა — 18 წლის მარკო ბაბიჩი და 19 წლის იურიცა ვრანიეში.**

# ბასკებს საკუთარი ნაკრები სურთ

ორი ბასკური კლუბი — ბილბაოს „ატლეტიკი“ და სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი“ ამ უქმეებზე ერთმანეთს ხვდებიან. უპრინციპულესი რეგიონარული დერბი ერთი სულისკვეთებით ჩატარდება — მატჩის შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელები ტრანსპარანტს აღმართავენ, რომელზეც ეწერება: „მოვითხოვთ ბასკეთის ნაკრების აღიარებას“.

მსოფლიოში ერთადერთი გამონაკლისი არსებობს, როდესაც ერთ სახელმწიფოს რამდენიმე ნაკრები გუნდი ჰყავს. ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია ერთიან, ბრიტანულ სახელმწიფოს წარმოადგენენ. ბრიტანული ფეხბურთის ასეთ დაყოფას თავისი დიდი ხნის ისტორია აქვს და არაერთხელ თქმულა, მსგავსი პრეცედენტი აღარ გამეორდებაო. მიუხედავად ამისა, ბასკები თავისას ითხოვენ.

1998 წელს ორი უდიდესი ბასკური კლუბის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც ნაკრები შეიქმნა. ადგილობრივმა მთავრობამ ის დოკუმენტი მოიწონა და დაამოწმა. ჩრდილოეთ ესპანეთში, საფრანგეთის საზღვართან მდებარე ეს პატარა მხარე ახლა საერთაშორისო აღიარებისთვის იბრძვის. გასული წლის დეკემბერში ბასკთა ნაკრებმა პირველი არაოფიციალური მატჩის გამართვა უკვე მოახერხა. მან 5:1 მოუგო ურუგვაის.

და მაინც, ბასკთა დამოუკიდებელი გუნდის შექმნას სიმბოლური ხასიათი აქვს. საეჭვოა, ფიფამ და უეფამ ეს ახალი სუბიექტი ოდესმე ცნოს.

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

**— *მამილოცნია საპენსიო თასის მოგება...***

— მადლობთ, მადლობთ...

**— *ისე, ამხელა გზაზე, იმ ქვაბის დასადგმელი სამფეხის წამოსაღებად წასვლა ღირდა?***

— არცა გრცხვენია, საკონტინენტთაშორისო...

**— *თუმცა, საჭირო იყო, მერე ხომ უნდა თქვან, გადავიღალეთო, ამდენს ვთამაშობთო...***

— რა უნდა გელაპარაკო?

**— *სხვა რამითაც იყო აღსანიშნავი და საჭირო. გიგზი საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადდა, ასეთ რამეს კი აბა სად შეხვდები კიდევ?***

— შენ შენს საუკეთესოებს მიხედე.

**— *ჩემი საუკეთესოები შენს საუკეთესოებზე უკეთესები არიან.***

— წაგებაში მართლაც საუკეთესონი არიან. აჰ, რამდენი „ნუმანსია", აჰ, რამდენი „ალავესი". სად არის ეგ ქალაქები? სტადიონები აქვთ, თუ ქუჩაში თამაშობენ?

**— *ეგრე იყო საჭირო.***

— „ბარსა" რომ აგებს ეგრეა საჭირო და „მანჩესტერი" რომ აგებს, თამაში არ იცის, ხომ?

**— *მეასედ მეკითხები მაგას.***

— ათასმეერთედ გკითხავ. გკითხავ კი არა შემოგთავაზებ — ფული, დრო და ოფლი რომ არ დაიხარჯოს, ამოიღეთ ესპანეთის პირველობიდან „ბარსელონა" — „ვალენსიას" შეხვედრები, დაუწერეთ „ვალენსიას" ექვსი ქულა და დაასვენეთ ეგ ჰესპები და ვილაცეები.

**— *ეგ გამონაკლისია. კლაუდიო ლოპესი...***

— გამონაკლისი მხოლოდ წესს ადასტურებს, მეტი არაფერი.

**— *კლაუდიო ლოპესი...***

— ესე იგი, რივალდო, ფიგუ, კლუივერტი, ძმები და ის, რა ქვია, სიცოცხლეშივე ლეგენდა როა? სულ ტყუილად იკლავენ თავს...

**— *ლეგენდები და ბობი ჩარლტონები შენსკენ მოიკითხე.***

— პირში წყალი გამოივლე ბობი ჩარლტონზე რომ ლაპარაკობ, შენ ბობი ჩარლტონი მარადონა ხომ არ გგონია?

**— *უსმინეთ, ხალხო, უსმინეთ...***

— მისმინეთ, მისმინეთ. მსოფლიოში მთავარია კლაუდიო ლოპესი. თუ არის კლაუდიო ლოპესი, თამაში მოგებულია.

**— *ეგრეა.***

— თუ ეგრეა, მარადონა ვინღაა? ლოპესი ყოფილა...

**— *დემაგოგია, მეტი არაფერი.***

— რა გვარია ის შავ-შავი, გაუპარსავი, ლეგანდარული? რაღაც სამხედრო გვარი აქვს...

**— *გვარდიოლა. ჰმ... ამის სალაპარაკოა გვარდიოლა.***

— ჩემი სალაპარაკოა... ცოტა მაცადე იმდენს ვილაპარაკებ...

**— *და გაზა?***

— რა გაზა?

**— *გაზას პატრონი ხმას იღებ?***

— ო, დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი აღმოსავლეთი. ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდებიან...

**— *ბექჰემის ცოლი მომიკითხე.***

— რივალდოს ცოლი როზა გინახავს?

**— *არა.***

— მერე ბექჰემის ცოლს იმიტომ ლანძღავ, რომ რივალდოს ცოლი ტელევიზორში არ ჩანს?

**— *ოთხშაბათს მოვა თქვენსა.***

— ვინ?

**— *კლაუდიო ლოპესი.***

— მერე ფიანდაზები დავუგო?

**— *თვითონ დაიგებს, თქვენ ბერგი მომიმზადეთ კარგად...***

— შენ მთავარი არ იცი. იორკს სუპერბენზინი ჩავუსხი. წესით უნდა აფრინდეს...

საქართველოს მსგავსად, ესპანეთიც მხარეებისგან შედგება. საფეხბურთო შედეგების მიხედვით უპირატესობა კასტილიას და კატალონიას აქვთ. მათ პრიმერა დივიზიონში რამდენიმე კლუბი წარმოადგენს, უძლიერესნი კი „რეალი" და „ბარსელონა" არიან. ამ დავაში ხანდახან ბასკები „ბილბაო" და „რეალ სოსიედადი" ერევიან. დღეს საფეხბურთო გეოგრაფები სულ უფრო ხშირად ახსენებენ კიდევ ერთ მხარეს გალისიას. მიზეზი ნათელია, „დეპორტივო" და „სელტა" სატურნირო ცხრილში პირველ და მეორე ადგილებზე არიან.

# გალისიელები მაღაზე მოვიდნენ

საინტერესოა, რომ არც ერთი მათგანი ესპანეთის ჩემპიონი არასდროს ყოფილა. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ ქვეყანაში ჩემპიონატების გამართვის 68-წლიანი პერიოდის მანძილზე პირველობა სულ ცხრა გუნდს აქვს მოპოვებული. „რეალის", „ბარსას" და ორი ბასკური კლუბის გარდა, ჩემპიონი „ვალენსია", „ბეტისი", „სევილია", „ატლეტიკო" და მადრიდის „ავიასიონი" ყოფილა. ეს უკანასკნელი ამჟამად აღარ არსებობს, თუმც შორეულ 30-იან წლებში ორჯერ გაუმარჯვია.

„დეპორტივოს" და „სელტას" შესანიშნავი სტარტის შემდეგ გალისიაში საფეხბურთო ბუმია. გულშემატკივრები ტრიბუნებს ავსებენ. ამ ფაქტს მწვრთნელებიც ადასტურებენ. ვიგოელთა მენეჯერი ვიქტორ ფერნანდესი ამბობს: „დღეს ესპანეთში „რეალსა" და „ბარსელონაზე" ხშირად ჩვენს სახელს ახსენებენ. მთლიანად ესპანური ფეხბურთის განვითარებისთის ეს ძალიან კარგია". ხავიერ ირურეტა „დეპორტივოს" მწვრთნელი: „გამარჯვებას არამარტო კლუბისთვის, მთლიანად რეგიონისთვისაც უდიდესი სიხარული მოაქვს."

მას შემდეგ, რაც ლაკორუნიელებმა მადრიდის „ატლეტიკოს" სტუმრად 3:1 მოუგეს, ქალაქში ასეთი პლაკატები გაჩნდა: „მადლობა ღმერთს! ჩვენი შემაჩერებელი არავინაა." რამდენად საფუძვლიანია ამ განცხადების შინაარსი, გაზაფხულზე გამოჩნდება. ამჟამად ჩემპიონატის მხოლოდ მესამედია გასრულებული. გალისიელები „ბარსას" შვიდი ქულით უსწრებენ, „რეალს" — თერთმეტით.

მაგრამ საერთო ეიფორიაში ისეთებიც არიან, ზემოთ ნახსენებ ლოზუნგს ფრთხილად რომ უყურებენ. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ხავიერ ირურეტაა. „დეპორტივოს" მენეჯერს კარგად ახსოვს ხუთი წლის წინანდელი ამბავი. მაშინ კლუბი ჩემპიონატს 24 ტურის განმავლობაში ლიდერობდა, ჩემპიონის ვინაობა კი ბოლო ტურმა გამოავლინა. გალისიელთათვის იმ ავბედით დღეს „დეპორტივომ" წააგო, „ბარსამ" — არა. ჩემპიონიც ეს უკანასკნელი გახდა. „ის სეზონი მუდმივად უნდა გვახსოვდეს" — ამბობს ირურეტა.

„დეპორტივოს" და „სელტას" წარმატებული თამაში სწრაფ და ზუსტ პასებზეა აგებული. ლაკორუნიელებმა თავდასხმაში ჰოლანდიელი როი მაკაი გააძლიერეს. მათ ეს ფეხბურთელი „ტენერიფედან" გადმოიყვანეს და არც შემცდარან. მაკაიმ წლეულს ცამეტ შეხვედრაში რვა გოლი შეაგდო. ჰოლანდიელის პასებით მომარაგება ნახევარმცველთა ბრაზილიურ დუეტს, ჯალმინიას და მაურო სილვას ევალება. „დეპორტივოს" საგოლე მომენტების გამოყენების საუკეთესო მაჩვენებელიც აქვს. კლუბის ყოველი მეხუთე შეტევა გოლით მთავრდება.

მეორე გალისიური კლუბი „სელტა", არამარტო ვიგოელთა, არამედ რუსთა საყვარელი უცხოური გუნდია. საგოლე სიტუაციებს აქ უმეტესად, „HTB-ფუტბოლის" თქმით, „მსოფლიოს საუკეთესო მეპასე", გუნდის კაპიტანი ალექსანდრ მოსტოვოი ქმნის. ბურთები კი ასევე ინტერნაციონალურ წყვილს, სამხრეთაფრიკელ ბენი მაკარტის და არგენტინელ მარიო ტურდოს გააქვთ. „სელტაში" კიდევ ერთი რუსი, ვალერი კარპინიც თამაშობს. გალისიელების თავდამსხმელთა გარდა საიმედო მცველებიც ჰყავთ, ხოლო უკანასკნელ პოზიციაზე შესანიშნავად თამაშობენ მათი მეკარეები — ჟაკ სონგო და რიშარ დუტრუელი.

მწვრთნელებზეც ვთქვათ. არც ერთი მათგანი გალისიელი არ არის. ირურეტა ბასკია, ფერნანდესი — სარაგოსელი. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ირურეტა „სელტაში" მუშაობდა და „დეპორტივოში" შემდეგ გადავიდა. ეს ნაბიჯი ვიგოელებმა ირურეტას ღალატად ჩაუთვალეს, თუმცა მერე მისი მადლიერებიც დარჩნენ. ფერნანდესის მოსვლის შემდეგ გუნდი უკეთესად ათამაშდა.

გასული სეზონის შედეგებმა ორივე კლუბს ევროტურნირებზე თამაშის საშუალება მისცა. პორტუგალიის ჩემპიონატის ლიდერი, ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი ლისაბონის „ბენფიკა" დღეს ის გუნდი აღარაა, რაც მაგალითად ეუსებიოს დროს იყო. მიუხედავად ამისა, „ბენფიკას" ადვილად ხელწამოსაკრავსაც ვერ უწოდებ. ამიტომ „სელტას" მიერ ლისაბონელთა 7:0 ძლევა უეფას თასზე, ბევრისთვის სენსაციურ ანგარიშად იქცა. ისე, გალისია ესპანეთის და პორტუგალიის საზღვარზე მდებარეობს და მეზობელთა დერბის ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. „ბენფიკას" ძლევის შემდეგ ვიქტორ ფერნანდესმა თქვა: „ევროთასის მოპოვება უდიდესი პატივია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ლამაზი ფურცელია კლუბის ისტორიაში. ჩემპიონატის მოგება უფრო საპატიო საქმეა და ჩემს მთავარ მიზანს ეს წარმოადგენს." ძნელია, თქვა, რამდენად გულწრფელია ვიგოელთა მენეჯერი. იქნებ მას უეფას თასის მოგების იმედი არ აქვს და ასე იმიტომ ამბობს. თუმცა ესპანეთში ნამდვილად ასეა. „რეალის" მაგალითი მოვიყვანოთ. 1997 წელს „სამეფო გუნდი" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა, ქვეყნის ჩემპიონობა კი „ბარსელონას" დაუთმო. კლუბის პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა გერმანელი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ამის შემდეგ გაათავისუფლა (ჰაინკესი ახლა „ბენფიკას" მწვრთნელია).

„დეპორტივოს" და „სელტას" წინ უეფას თასის საპასუხო შეხვედრები აქვთ. გალისიელები კი განსაკუთრებული ინტერესით 19 დეკემბრის დადგომას ელიან. ამ დღეს ეს ორი კლუბი ვიგოში ხვდება ერთმანეთს.

**გიორგი დარჯანია**

# ონილი და ჰიიპია

ინგლისში ყოველთვიურად ასახელებენ საუკეთესო მწვრთნელს და ფეხბურთელს. ნოემბრის ლაურეატები „ლესტერის" მენეჯერი მარტინ ონილი და ლივერპულელი ფეხბურთელი სემი ჰიიპია გახდნენ.

ონილისთვის მსგავსი ჯილდო მესამეა. „ლესტერის" პრეზიდენტმა ჯონ ელსომმა გამარჯვებულს მიულოცა და თქვა: „ონილმა ჯილდო მართლაც დაიმსახურა. მან ბრწყინვალე გუნდი შექმნა და დღევანდელი აღიარება შემდგომი წარმატებისთვის სტიმულს მისცემს." ჟიურის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: „ონილმა თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მწვრთნელმა, რომლის გუნდიც მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. მას ასევე ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენის ნიჭი აქვს."

მართლაც, თუ „მანჩესტერი" და „არსენალი" მუდამ ლიდერთა შორის არიან, ნაკლებადამბიციური გუნდისთვის გათამაშების ცხრილში მეხუთე პოზიცია ძალიან კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

თვის საუკეთესო ფეხბურთელი, ფინელი მცველი ჰიიპია „ლივერპულში" სეზონის დაწყების წინ „ტილბურგიდან" გადავიდა. მასზე ჟიურიმ თქვა: „ლივერპულელთა გუნდი კარგი მცველებით გამოირჩევა. ახალწვეულმა ფეხბურთელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა და ბოლო ოთხ ტურში შესანიშნავად ითამაშა."



ნოემბრის რჩეული მარტინ ონილი

გიო ახვლედიანის

## მეი

ხუთშაბათს „სარბიელის" მერვე გვერდზე დაჭედილმა ფოტომ გამახსენა ეს ამბავი.

ფოტოზე აღბეჭდილია ჩემპიონთა თასით მოზეიმე „მანჩესტერ იუნაიტედი". ფეხბურთელთა პირამიდას აგვირგვინებს „იუნაიტედის" მცველი დევიდ მეი, რომელსაც ხელები აღუმართავს და საერთოდაც გამოირჩევა — აშკარად ყველაზე ეფექტურია იმ ფოტოზე. მეის ყველაზე უფრო უხარია და ასეც ჩანს სურათზე, თითქოს ეს ის კაცია, ვინაც პირველმა და მთავარმა მოიპოვა ეს გამარჯვებაო.

იმ საღამოს გუნდური ფოტოების უმრავლესობაზე ასეა, პირველს დევიდ მეის დაინახავ, ისაა მთავარი.

ღმერთმა არ ქნას და მოხდეს ისე, როგორც ბევრ ფანტასტიკურ ფილმში — დედამიწას რაღაც დაემართოს და გადარჩეს მხოლოდ რამდენიმე ნივთი, ამათ შორის კი თასის მომგები „მანჩესტერის" ეს ფოტო. შორეული მომავლის მეისტორიენი არ იფიქრებენ, ეს დევიდ მეი ყოფილა ვინც ყოფილაო? ნამდვილად ასე იქნება.

ამის გამო კასეტაც კი მოვქექე სახლში — კიდევ ერთხელ ვუყურე იმ საღამოს ზეიმს კადრებს. ვერავინ შემედავება, მატჩის შემდგომ, მინდორზე მთავარი კაცი დევიდ მეი იყო. ძალიან გაეხარდა, ძალიან თავისად მიიჩნია ეს გამარჯვება და ამაში ცუდი არაფერია. როდის როდის გამოაღწიეს მოედანზე როი კინმა და სქოულზმა. კოსტუმებში იყვნენ. შერი სადღაც ტრიბუნასთან იდგა და ფანობას უყვიროდა. გიგზი კი იცინოდა, მაგრამ ცივი ბიჭი ჩანს მაინც. ბექჰემიც, როგორც უნდა იყოს, ისე. ამ მეიმ შემოიხია ყველაფერი. ყველაზე ღონივრად და ეფექტურად ხომ იქნია თასი. მერე კიდევ გუნდური ფოტოს გადაღებისას, პირველი წაეპოტინა. ყველა ფერგიუსონს ელოდებოდა, ის კი მიადგა და წაეპოტინა ჩემპიონთა თასს.

თქვენი არ ვიცი და მე ცოტათი მაინც დავირცხვენდი. ძალიან გამეხარდებოდა, მაგრამ ასე ვთქვათ და, ფოტოებზე მთავარი არ ვიქნებოდი.

ასეთი ხასიათის ბიჭიაო, იტყვით თქვენ.

მე კი დავუმატებ, რომ ლამის მეორე წელიწადი სრულდება, რაც მეი „მანჩესტერის" ძირითადიდან ამოვარდა (წელს სულ თხუთმეტი წუთი თუ ითამაშა). კანტონას დროებაში ძირითადის ჯიგარი იყო, მაგრამ მერე და მერე თანდათან დაკარგა (ერთ-ერთი იყო იმათგან ფერგიმ რომ ბიჭობიდან ზარდა. ასეც ამბობდნენ ნევილები-ბექჰემი-გიგზი-ბათი-მეი). ევროსარბიელზე მგონი „დორტმუნდთან" გამოჩნდა. ბოლოს (წლინახევრის წინათ). შეჭირვებულ დაცვით რიგში ბერგს (!) ამჯობინებენ. შარშან ზამთარში ფერგიუსონი გააკრიტიკა, მზად ვარ და მაინც არ მაყენებსო. გაუტანია მშვენიერი გოლებიც. ახლა კლასიკური სათადარიგოა, თუმცა, კლასიკური არ არის იმიტომ, რომ ოციდან ცხრამეტ შემთხვევაში არ გამოჰყავთ. რატომ — თვითონ უკეთ იციან.

ვიცი, რომ გაეხარდა. ოღონდ აღარ ვიცი, ეს სათამაშო შიმშილის ბრალია, თუ ხასიათისა. ეგებ ყველაფერი მომეჩვენა და იმ საღამოს ერთი კაი ბიჭის ყველა პრობლემამ სიხარულში გამოხეთქა. ეგებ გვახსენებდა, დევიდ მეი ვარ, ის დევიდ მეიო.

მეი იქ მთავრი იყო.

თამაშის შემდეგ, რა თქმა უნდა.

ვერავინ გადამარწმუნებს.

საინტერესოა ხასიათებზე ფიქრი.

საქართველოს ჩემპიონატი
10 ტური

## ანონსი

4 დეკემბერი. ვერის ბაღი. 13.00
სტუ — გორი

4 დეკემბერი. ვერის ბაღი. 14.45
დინამო — ასკ

4 დეკემბერი. ვერის ბაღი. 16.30
ვითა — აზოტი

5 დეკემბერი. ვერის ბაღი. 13.00
თსუ — ბასკო

5 დეკემბერი. ვერის ბაღი. 14.45
სდასუ — შევარდენი

5 დეკემბერი. ვერის ბაღი. 16.30
მაკაბი — სსუ

კალათბურთის ქომაგებო! ერთი კარგი ამბავი გვაქვს თქვენთვის: თუ აქამდე ვერის ბაღის გაყინული კედლები და იქ გამეფებული სიცივე გაფრთხობდათ, ნუღარ ინერვიულებთ. ჩიტმა ამბავი მოიტანა, დათბებაო ვერის ბაღში და იქნებ ამან ყინვით დამზრალი ჩვენი კალათბურთიც გამოახედოს თვალში.

თუ არა და, დასაკარგიც რა არის, როგორც აქამდე, ახლაც ჩავაჭრიჭინებთ ჟანგმოდებულ ქართული კალათბურთის ურიკას და ეს მეათე ტურიც ისე ჩაგრიხინდება, თვალს არ დაახამხამებს.

რაო, რაო?.. „ვითა“ — „აზოტიო“? მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით...

მომკალით და ახლაღა გამახსენდა, ყველა ყველა და პირველი წრის ბოლოსწინა ტურში „ვითა“ და „აზოტი“ უნდა გაეჩხირონ ყელში ერთმანეთს. ეს აღარ არის მხოლოდ თამაში და აზარტი, მთელი ისტორიაა და შესაბამისად, ისტორიული დაპირისპირებაც.

იქნებ დღევანდელი „ვითა“ — „აზოტი“ ჩამოუვარდება კიდეც წინამორბედებს თავისი მნიშვნელობითა და ინტრიგით, მაგრამ... თავს ნუ მოვიტყუებთ, რა დრო და ვითარებაც უნდა იყოს, მაინც „ვითა“ — „აზოტია“, ბოლო ორი შინაური პირველობის გვირგვინის დამდგმელი ჯახი, ვნებათაღელვისა და ენით აუწერელი ემოციების საბაბი...

გაალმასებულია „აზოტი“. როგორია, ზედიზედ ორჯერ ფინალში დამამარცხებელ გუნდთან იჭერს საქმეს. ველარ იტევს რუსთაველთა გული იმ ბოღმას, რაც ამ ხნის მანძილზე დაგროვებულა. მტრად (რა თქმა უნდა, სპორტულ) მოჰკიდებია ჩემპიონს „აზოტი“ და ერთი სული აქვს, როდის გადაყლაპავს.

„ვითას“ დაბეჩავებაც ვინა თქვა. წლეულს ორჯერ ტკბილად რომ ჩათვლიმა („გორთან“ და „მაკაბისთან“ წაგებებს ვგულისხმობთ), არც ამით დაქცეულა ქვეყანა, ბოლო-ბოლო, შვიდგზის ჩემპიონია და თავს განცხრომის უფლება მისცა. ასე ერჩივნა და იმიტომ.

კი ბატონო, აღარ არის ეს გუნდი ძველებურად მრისხანე, შემადგენლობაც გაუნახევრდა და აქედან გამომდინარე, იქნებ ამბიციაც გაუნელდა, მაგრამ, აბა, გახედეთ, დღემდე „ვითამ“ ყველა პრინციპული თამაში მოიგო, ჩემპიონის დაჩოქების მოსურნეებსაც კუდით ქვა ასროლინა.

როგორც ყოველთვის, ამ მატჩშიც „ვითას“ მთავარი კოზირი უკანა ხაზი იქნება. სწორედ ამ ამპლუის მოთამაშეებზე იქნება დამოკიდებული განუზომლად ბევრი რამ. „ვითას“ წარმატება-წარუმატებლობის საწინდრად ბოლო ხანს უსტიაშვილ-ტურაშვილის დუეტის ქმედება ქცეულა და თუ ამათ მოინდომეს და თამაშიც, როგორც სჩვევიათ, ისე წაუვიდათ, ვეჭვობთ, ფავორიტად მიჩნეულმა „აზოტმა“ დაგეგმილი ორი ქულა მშვიდად მიითვალოს. დაცვითი თამაშით გამორჩეულ ირაკლი ბაქრაძეს, ალბათ, რუსთაველთა გამთამაშებელ არჩილ ჭლენტს ანაც „აზოტის“ ლიდერ რამაზ გოგობერიშვილს მიუჩენენ მწვრთნელები. „ვითას“ დამრიგებელთა ამ სავარაუდო ნაბიჯს საფუძვლად ის უდევს, რომ შარშანდელ ფინალებზე ამ მეთოდმა გაამართლა. ამის საწინააღმდეგო იარაღი, ვფიქრობთ, ჭლენტისა და გოგობერიშვილის ოსტატობა და ეშმაკური ხრიკებია. რუსთაველები ამის ხარჯზე შეეცდებიან ბაქრაძის ნაადრევად ჩამოცილებას.

„აზოტი“ ასევე გულმოდგინედ უნდა მოეკიდოს ნუგზარ კოკოლიშვილის წინააღმდეგ თამაშს. კოკოლიშვილი ფრთაზე მოქმედებს და ძალიან ხშირად გადამწყვეტ სროლებსაც ახორციელებს.

„ვითას“ ერთი გამოკვეთილი ცენტრი ჰყავს, გულივერ ახალკაცი. ჯაფარიძის პორტუგალიაში წასვლის შემდეგ აზოტელებსაც ერთადერთი მიხეილ ბერუაშვილი შემორჩათ ამ ამპლუის მოთამაშე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფარზე ბატონობა მაინც ვიცე-ჩემპიონებს უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, რადგან ბერუაშვილს საჰაერო ბრძოლებისას ზვიად ბაბიაშვილი და ლევან წიკლაურიც ეხიდებიან, ჩემპიონთა რიგებში კი ნამდვილად არ მოიძებნებიან მსგავსი გაქანების თავდამსხმელები.

ახლა ყველაფერს ის გადაწყვეტს, თუ როგორ გამოიყენებს ჩვენგან ჩამოთვლილ „აზოტის“ ძლიერ მხარეებს ოთარ ხმელიძე. თუ რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა მის ხელთ არსებული რეზერვები ბოლომდე აამოქმედა და შეგირდებიც თავიდანვე საბრძოლველად შემართა, ვეჭვობთ, ჩემპიონთა ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდეს. თავის მხრივ, ვითელთა მწვრთნელ გელა წულაძესაც გათვითცნობიერებული ექნება, რომ წარმატების მისაღწევად პირველ რიგში უმტკიცესი დაცვა უნდა აღმართოს, მხოლოდ ამით თუ მიაღწევს საწადელს.

დაბოლოს, კიდევ ერთი ინტრიგა. თუ „ვითამ“ „აზოტის“ დამარცხება შეძლო, სატურნირო ცხრილში ადგილსაც გაუცვლის მეტოქეს და მეორეზეც თავად მოკალათდება.

ამ ტურში ნამატით ეწვევა დედაქალაქს უმაღლესი ლიგის დებიუტანტი და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი — ბათუმის „ბასკო“. აჭარლებმა, წლეულს ჯერ რომ არ დამარცხებულან, ყველა გუნდისთვის სასურველი მოთამაშე, ლევან ქარაბაკი გადაიბირეს და საჩემპიონო ზმანებაც რეალობას მიუახლოვეს. თითქოს ბედის ირონიააო, ქარაბაკის მკლავის ძალას პირველი თსუ გამოსცდის, ნოდარ ქორქიას საუნივერსიტეტო გუნდი, რომელსაც ერთი შეხედვით ამ კალათბურთელის დაპატრონების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა (ქარაბაკი უნივერსიტეტის სტუდენტია და გასული სეზონი ამ კლუბში ჩაამთავრა).

ვარჯიშისას ფეხი იღრძო ზღვისპირელთა თავდამსხმელმა ვლადიმერ ბეჟანიშვილმა და ხვალინდელ მატჩში მისი თამაში ერთობ სათუოა. მიუხედავად ამისა, „ბასკო“ მაინც მოგებისთვის იბრძოლებს და წარმატებული სერიის გახანგრძლივებას შეეცდება. ამ გუნდს საამისოდ ყველანაირი წინაპირობა აქვს, უფრო ნაცადი და შეკრულ-შეთამაშებულია, ვიდრე მისი მეტოქე. თუმცა არც ის დავაგიწყდეთ, რომ უნივერსიტეტელებსაც სჩვევიათ თავის გამოდება და იქნებ სწორედ „ბასკოს“ დაუგონ ხაფანგი.

ამ უქმეებზე ოთხი სხვა შეხვედრაც შედგება. ორ წყვილში გამარჯვებულის დასახელება წინასწარვე შეიძლება. რიხით ათამაშებული და სანუკვარ ოთხეულში შეღწეული სტუ „გორს“ დაუხვდება და რა ძნელი გამოსაცნობია, რომ არ ახეირებს. „მაკაბიც“ ერთი თავით მაღლა დგას სსუ-ზე, რომელსაც ერთი თამაში რაა, ჯერ ისიც არ მოუგია.

ზედიზედ ორჯერ, „აზოტთან“ და სტუ-სთან უბრძოლველად და უემოციოდ დამარცხებული სდასუ — აკოლაშვილითა და ნუცუბიძით გაძლიერებულ „შევარდენს“ დაუპირისპირდება. ლევან მოსეშვილის გუნდს ცუდი დრო უდგას, თამაშს თამაშზე აგებს და გულშემატკივარსაც მხოლოდ გამარჯვებით თუ მოუბრუნებს თავისკენ გულს. აშკარაა, სდასუელებმა ცენტრის პრობლემა რომ გადაჭრან, მათი საქმე გაცილებით უკეთ აეწყობა. მაგრამ რაკი ეს ასე არ არის და ამ პოზიციაზე კვლავაც ძველი მოთამაშეები ირჯებიან, „შევარდენს“ კარგი შანსი ეძლევა, თავისი არსებობის მანძილზე პირველად დაამარცხოს ალმაშენებლის საუნივერსიტეტო გუნდი.

გადახალისებული „დინამო“ დღეს არმიულ კლუბს შეეჭიდება. ორივე ძალიან ახალგაზრდული გუნდია და სწრაფ, პირველ შეტევებზე აგებულ თამაშს უნდა ველოდოთ. აი, შესრულების ხარისხსა და გამარჯვებულის ვინაობაზე კი წინდაწინ ვერაფერს გეტყვით.

**გიორგი ბიჭაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ტეხასელთა დღე

2 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 108:117 სიეტლი**

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (15), ლეგლერი (6), ფარმერი (8), ჯემისონი (18), ფოილი (7); ვ. კამინგსი (19), კეფი (15), კარი (14), ტ. კამინგსი (6)

სიეტლი: პეიტონი (27), ბერი (12), პატერსონი (28), ბეიკერი (25 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (4); დევისი (16), ლუისი (10), მაკკოი (5), ვინსონი (2)

ასეა, „სიეტლი“ იგებს ყველა მოსაგებ თამაშს და როგორც მისი წლევანდელი გამოსვლიდან ჩანს, „გოლდენ სტეიტის“ მსგავს გუნდებთან ძნელად თუ წაუცდება ფეხი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ სტეფანიას გუნდი დივიზიონის მაჩანჩალას ეთამაშებოდა, ქართველი არც ამჯერად გამოჩენილა მოედანზე. იძულებულები ვართ, თანდათან შევეგუოთ იმას, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრილი ჩვენი პირველი თანამემამულე, მიუხედავად უამრავი ღირსებისა, ვერ აღმოჩნდა იმ დონის კალათბურთელი, მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში აღიარებაზე იფიქროს. სტეფანია კარგი სათადარიგოა (როგორც მისი დამრიგებელი პოლ ვესტფოლი ამბობს) და, ალბათ, ასევე სათადარიგოდ დარჩება. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში მაინც. ჩვენ მაინც ვიტოვებთ იმედს და ველით ქართველის გაბრწყინებას.

დღეს ნბა-ში ბევრი ევროპელი ცენტრი თამაშობს — საბონისი, დივაცი, პოტაპენკო... მაგრამ ესენი მაინც სხვა დონის მოთამაშეები არიან. დივაცი და საბონისი ლიგის უძლიერეს ცენტრთა ათეულში არიან. უკრაინელი ახალგაზრდა ვიტალი პოტაპენკო სტეფანიაზე მაღალი და ბევრად ჯანიანია. ფიზიკური მონაცემები უკრაინელს საშუალებას აძლევს „ბოსტონ სელტიქსის“ სასტარტო ხუთეულში ითამაშოს. რას იზამ, ოკეანის გაღმა ძალა მეტად ფასობს და ცოდნა და ჭკუა მეორეხარისხოვანია. ასე რომ, ზის ჩვენებური ბიჭი სათადარიგოთა სკამზე და უყურებს, როგორ აწიოკებენ მისი თანაგუნდელები „გოლდენ სტეიტებს“, „ვანკუვერებს“ და „დალასებს“. სტეფანიამ ითამაშა რამდენიმე მატჩში, თუ შეიძლება ოთხი-ხუთი წუთით მოედანზე ყოფნას თამაში ეწოდოს, მაგრამ უფრო ხშირად იგი მთელ დროს სკამზე ატარებს.

ცხადია, პოლ ვესტფოლს ნაკლებად აღელვებს, რამდენ წუთს ითამაშებს ქართველი — ოთხს, თუ რვას. მისი ძირითადი ამოცანა სულ სხვაა. „სიეტლი“ წლეულს უკეთ ირჯება, ვიდრე შარშან და ჯერჯერობით უფრო სტაბილურ თამაშსაც უჩვენებს. თუ გუნდი პლეი ოფში ვერ მოხვდება, ვესტფოლს კარგი დღე ნამდვილად არ დაადგება. ასე რომ, ცხადია, მას სტეფანია დიდად არ აღელვებს. მთავარი ისაა, რომ „სიეტლმა“ კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში.

„ზებგერითები“ სან ფრანცისკოს გამეხებულნი ეწვივნენ, რადგან ორი დღით ადრე „ლეიკერსთან“ წლეულს ყველაზე დიდი სხვაობით დამარცხდნენ და ჯავრი გოლდენსტეიტელ „მეომრებზე“ იყარეს. მშობლიურ ქალაქში ღარიბთა მიერ მოწყობილ აყალმაყალს გამორიდებული „სუპერსონიქსი“ თავიდანვე ეკვეთა სუსტ მეტოქეს და სანამ მასპინძელი გონს მოვიდოდა, სოლიდურ უპირატესობას მიაღწია. სტუმრებმა, რომლებიც იმ დღეს მძლავრი უკანახაზელი, ვერნონ მაქსველი მოისაკლისეს, პირველი ნახევარი 13 ქულის სხვაობით მოიგებს და მეორეში ოდნავ მოეშვნენ. თუმცა მეტოქემ, რომელსაც ასევე აკლდა წამყვანი მოთამაშეები — სტარქსი, მილზი და მარშალი, ანგარიში ხუთ ქულაზე მეტით ვერ შეამცირა. ძველებურად გაიბრწყინა გერი პეიტონმა და მისმა თანაგუნდელმა აშშ-ის საოლიმპიადო ნაკრებში ვინ ბეიკერმა. მასპინძელთაგან კი გამოირჩა ახალბედა უკანახაზელი ვონთიგო კამინგსი, ვისაც თავისი კერპის — გერი პეიტონის წინააღმდეგ ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია.

**კლიპერსი 96:109 ჰიუსტონი**

კლიპერსი: ანდერსონი (23), ოდომი (22)
ჰიუსტონი: ანდერსონი (27)

**ჩიკაგო 95:101 დალასი**

ჩიკაგო: არტესტი (20)
დალასი: ფინლი (30)

**მინესოტა 93:103 ორლანდო**

მინესოტა: სმიტი (18 ქულა, 13 მოხსნა)
ორლანდო: გეტლინგი (22)

**მილუოკი 80:84 ნიუ იორკი**

მილუოკი: ალენი (25)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (25), სპრიუელი (23)

**ნიუ ჯერსი 94:96 სან ანტონიო**

ნიუ ჯერსი: მარბერი (20 ქულა, 13 მოხსნა), ვან ჰორნი (20)
სან ანტონიო: რობინსონი (27 ქულა, 13 მოხსნა), დანკანი (26)

**ატლანტა 110:100 საკრამენტო**

ატლანტა: რაიდერი (32), ჯეკსონი (26), მუტომბო (19 ქულა, 18 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (26 ქულა, 10 მოხსნა)

დაჟაბუნებულმა „ჰიუსტონ როკიტსმა“ ზედიზედ სამი მატჩი ითამაშა ოვერტაიმებით, მაგრამ სახეირო არაფერი გამოუვიდა. ახლა „რაკეტები“ სუსტ „კლიპერსს“ ხვდებოდნენ, რომელიც წლეულს ცოტა მოღონიერდა, მაგრამ ჯერ მაინც არაა თუნდაც საშუალო დონის გუნდი და უფრო ხშირად აგებს, ვიდრე იგებს. ოვერტაიმებით გადაღლილ „ჰიუსტონს“ ამჯერად გამარჯვება არ გასჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ მოისაკლისებდა ბებერ ცენტრ ჰაკიმ ოლაჯუონს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თიაქარის ოპერაცია გაიკეთა. მას საზარდულიც აწუხებს და ყოველივე ამის გამო სულ ცოტა ოთხი კვირა ვერ ითამაშებს. გარდა ამისა, დაშავებულია „როკიტსის“ კიდევ ერთი ლიდერი, ახალბედა სტივ ფრენსისი. „კლიპერსმაც“ იფიქრა, კაცნაკლულ „ჰიუსტონს“ თავიდანვე დავაჩოქებ და წინ გასულს მერე ვეღარც დამეწევაო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ტეხასელებს მხსნელი იქიდან მოევლინათ, საიდანაც ნაკლებად ელოდნენ. მოულოდნელად მსროლელმა შენდონ ანდერსონმა გამოიდო თავი, არადა, წინა შეხვედრებში მას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია. იმ დღეს მოედანზე მყოფთაგან ანდერსონი საუკეთესო იყო, მან კარიერაში სარეკორდოდ ბევრი — 27 ქულა ჩააგდო და მატჩის პირველ ნახევარში „კლიპერსს“ თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა. ტაიმი 58:48 დამთავრდა „ჰიუსტონის“ სასარგებლოდ და გამარჯვებისთვის ამან სავსებით იკმარა.

ერთ დროს „ჰიუსტონის“ დაუძინებელ მტერსა და ღირსეულ მეტოქეს, ახლა კი მასზე ათი თავით მაღლა მდგომ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ ძალიან გაუჭირდა აღმოსავლელი მაჩანჩალა „ნიუ ჯერსის“ ძლევა. „დეზების“ ლიდერ ტიმ დანკანთან ერთად ახალგაზრდობა გაიხსენა და გაიბრწყინა დევიდ რობინსონმა. „ადმირალმა“ წლეულს ყველაზე მეტი, 27 ქულა მიითვალა, მაგრამ მისმა გუნდმა მოგებისთვის მაინც გვარიანი ოფლი ღვარა. დანკანმა, ჩემპიონთა მთავარმა ფიგურამ, ბოლო 33 წამში სამი შეცდომა დაუშვა და თავისიანები უსუსურ „ნიუ ჯერსისთან“ ლამის წასაგებად გაწირა, მაგრამ წაზდენილ საქმეს თვითონ უშველა — სირენამდე ორი წამით ადრე მასპინძელთა გამთამაშებელ სტივენ მარბერის დაუფარა და თავისიანები სირცხვილს გადაარჩინა.

ის დღე ნამდვილად ტეხასელებისა იყო. „სან ანტონიოსა“ და „ჰიუსტონის“ არ იყოს, „დალასმაც“ არ შეირცხვინა თავი. მან ადვილად დაამარცხა დაბეჩავებული „ჩიკაგო“, რომელიც თამაშს თამაშზე აგებს და ერთადერთი გუნდია, ვისაც ანგარიშზე მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს.

**ირაკლი ფირაშვილი**

### ნოემბრის საუკეთესო

### შაკილ ონილი
### • ლეიკერსი •

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრი შაკილ ონილი ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და სავსებით სამართლიანადაც. სეზონი არ გავა, იგი რომელიმე თვის რჩეულად არ დაასახელონ. ახლაც, პირველივე გამოკითხვაში იმარჯვა. ნოემბერი მართლაც ონილისა იყო. შაკმა 14 თამაშიდან შვიდში არანაკლებ 30 ქულა მოაგროვა, ყველაზე მეტი კი, რაც ჩააგდო, 41 ქულაა. საერთოდ, ამ 14 შეხვედრაში საშუალოდ 28,7 ქულა მიითვალა და ალენ აივერსონის შემდეგ მეორეა ბომბარდირთა დავაში.

216-სანტიმეტრიან ონილს, ცხადია, არა მარტო ქულების კეთება ეხერხება. იგი ფარქვეშაც მშვენივრად ირჯება და, როგორც წესი, ლიგის წამყვან მომხსნელთა და დამფასებელთა შორისაა. წლეულსაც საშუალოდ 13,4 ბურთს ხსნის ფარიდან, რაც მესამე შედეგია და 3,36-ს აფარებს, ამ მხრივ მხოლოდ ატლანტელ დიკემბე მუტომბოს ჩამორჩება. შაკი ასევე მეორეა თამაშიდან ჩაგდებული ბურთების პროცენტით — 59,5. ონილს საუკეთესო მატჩად კი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფინიქსთან 91:82



მოგებული შეხვედრა, რომელშიც მან 34 ქულასა და 18 მოხსნასთან ერთად, რვა დაფარებაც გააზერხა.

ონილის აღიარებას მისი გუნდის, „ლეიკერსის“ წარმატებულმა გამოსვლამაც შეუწყო ხელი. ლოსანჯელესელებმა 16 შეხვედრიდან 12 მოიგეს და სადღეისოდ ლიგაში მხოლოდ ოთხ გუნდს ჩამორჩებიან.

ნოემბრის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს შაკილ ონილს ეცილებოდნენ რეი ალენი (მილუოკი), დარელ არმსტრონგი (ორლანდო), ვინს კარტერი (ტორონტო), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), ედი ჯონსი (შარლოტი), ჯეისონ კიდი (ფინიქსი), ალონზო მურნინგი (მაიამი), დიკემბე მუტომბო (ატლანტა), გერი პეიტონი (სიეტლი), რაშიდ ვოლესი (პორტლენდი) და კრის ვებერი (საკრამენტო).

თვის ბოლოს საუკეთესო მოთამაშესთან ერთად ტრადიციულად საუკეთესო მწვრთნელსა და საუკეთესო ახალბედასაც ასახელებენ. მწვრთნელთაგან პორტლენდელთა დამრიგებელმა მაიკ დანლივიმ სიეტლელ ვესტფოლს და კიდევ ექვს კოლეგას აჯობა. დანლივი შარშან არა მარტო თვის, არამედ სეზონის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და მიმდინარე სეზონის ბოლოსაც ტიტულის მთავარ მაძიებელთა შორის იქნება. მაგრამ ზედიზედ ორჯერ ჯერ არავინ გამოურჩევიათ და დანლივის ხელმეორე პირველობაც სათუოა.

რაც შეეხება ახალბედებს, მათგან საუკეთესოდ ერთბაშად ორი მოთამაშე დაასახელეს. თუ კლიპერსელი ლამარ ოდომის აღიარებას ბევრი ელოდა, ბოსტონელი ადრიან გრიფინის დაფასება ერთგვარი სიურპრიზი გახლდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბორის კუტინი და ნორჩი ბათუმელები



იუდით პოლგარი



ნანა იოსელიანი




ნინო ხურციძე



უნგრეთის დელეგაციის ლამაზმან წევრს ყურადღება არ აკლდა

# ჭადრაკი პლაჟზე




ბათუმის ჭადრაკის სასახლეში დილიდანვე სიჩუმე სუფევდა. ტურები 3 საათზე იწყება და ჯერ არც ერთი მოჭადრაკე არ ჩანდა. ეტყობა, წინადღით გამართული საჭადრაკო ბატალიების შემდეგ სრულიად იყენებდნენ დასვენებისთვის გამოყოფილ დროს.

თვითონ ჭადრაკის სასახლე ოთხსართულიანია. ქალთა და ვაჟთა გუნდების შეხვედრები ერთდროულად მიმდინარეობს. ჩემპიონატის დაწყებამდე ითქვა, ქალთა ტურნირი ქობულეთში გადავიტანოთო, მაგრამ ორგანიზატორებმა მასპინძლების თხოვნას ანგარიში გაუწიეს და ევროპის ჭადრაკის მშვენიერი ნახევარი ბათუმში დარჩა. შენობა კი მართლაც საუცხოოა. ადგილიც ულამაზესი შეურჩევიათ — სულ ახლოს ზღვა ელამუნება ქვიშიან ნაპირს. ასე რომ, მოჭადრაკეს დაღლილ-დაქანცულ გონებას უთუოდ დაუმშვიდებს უკიდეგანო სილურჯის ცქერა.

ალაგ-ალაგ ფორმიანი პოლიციელებიც გვხვდებიან. მართალია, ცდილობენ, თავიანთი იქ ყოფნა არავის შეამჩნევინონ, მაგრამ ჟურნალისტის მახვილ მზერას რას გამოაპარებ. თქვენმა მონა-მორჩილმა იქვე, ასიოდე მეტრში განლაგებული რუსეთის სასაზღვრო ნაწილის საგუშაგო აღმოაჩინა და მისკენ გაისეირნა. დაახლოებით 2-3 წუთი სწავლობდნენ ჩემს პერსონას ბინოკლ-ფორმიანი ახალგაზრდები, მაგრამ, ეტყობა, დივერსანტობისა ვერაფერი შემატყვეს და ზურგი მაქციეს. არც მე მწყენია რაიმე და სამაგიეროო იგივეთი გადავუხადე.

ეს ტურნირი ყველაზე წარმომადგენლობითია ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში. მან სამასამდე მოჭადრაკე შეკრიბა. ვაჟებისთვის ეს მე-12 პირველობაა და 35-მა ქვეყანამ 36 გუნდი წარადგინა. ქალებისთვის კი მე-3 ჩემპიონატია და 34 ქვეყნის 36 გუნდმა მოიყარა თავი. ჩემპიონების რანგში ქართველი ქალბატონები და ინგლისელი მამაკაცები თამაშობენ. მათ ეს წოდება ორი წლის წინ ხორვატიაში გამართულ ბოლო ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვეს.

ბათუმში არ არის ქართული და საერთოდ, მსოფლიო ჭადრაკის მშვენება მაია ჩიბურდანიძე. ეს ახალი ამბავი არ გახლავთ, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებს მაინც ჰქონდათ იოტისოდენი იმედი, ეგებ დათმობაზე წავიდესო. მაგრამ არა, ქალბატონი მაია, რომელიც უდრეკი ხასიათითაც არის ცნობილი, სიტყვის ერთგული დარჩა. რა თქმა უნდა, მისი არყოფნა ჩემპიონატის მთავარი დანაკლისია, თუმცა ტურნირს გამოჩენილი მოჭადრაკეები ნამდვილად არ აკლია. ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს II ნაკრების კაპიტანია, ამ გუნდში ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და დიანა დარჩიაც თამაშობენ. ქეთევან არახამია მეუღლესთან, ჯონათან გრანტთან ერთად მონაწილეობს ჩემპიონატში, ქეთინო კახიანი-გერშინსკა გერმანიის გუნდში I დაფაზე თამაშობს, თეა ლანჩავა-ბოსბომი ჰოლანდიის პირველი ნომერია, კიდევ უნგრელი ილდიკო მადლი, იუგოსლავიელი ალისა მარიჩი და მრავალი სხვა.

დღესდღეობით ევროპაში რეიტინგით პირველი იუგოსლავიის გუნდია. ისინი ბათუმშიც მშვენივრად თამაშობენ და ჯერჯერობით პირველ ადგილზე არიან. მთლიანად კი ჩემპიონატში 103 სპორტსმენი ქალი ასპარეზობს. აი, ვაჟთა ტურნირი უფრო მრავალრიცხოვანია — 174 მამაკაცი და ერთი ქალი. ალბათ, მიხვდებით, რომელ ქალბატონზეც არის ლაპარაკი. იუდით პოლგარი ტრადიციულად უნგრეთის ვაჟთა ნაკრებში თამაშობს მეორე დაფაზე. როგორც ყოველთვის, აქაც ახლავს მამამისი ლასლო პოლგარი, რომელიც გამუდმებით თვალს ადევნებს დაფასთან მჯდომ ქალიშვილს. არც მაშინ სცილდება, როცა იგი მაგიდიდან დგება. ევროპის ჩემპიონის — ინგლისის პირველ დაფაზე ნაიჯელ შორტი იბრძვის. ჩემპიონატში მონაწილე ვაჟებიდან ყველაზე მაღალი რეიტინგი — 2734 აქვს ალექსეი შიროვს, რომელიც ესპანეთის სახელით ასპარეზობს. ალექსანდრე ბელიავსკი სლოვენიის, ხოლო იგორ ეფიმოვი იტალიის ღირსებას იცავენ. ჩეხეთის გუნდში თამაშობს სერგეი მოვსესიანი, რომელიც თბილისშია დაბადებულ-გაზრდილი. ტურნირის უხუცესი მონაწილეა ვიქტორ კორჩნოი. შვეიცარიელთა პირველი ნომერი მაგალითია გონების უბერებლობისა. უკრაინის გუნდს ლიდერობს ვასილი ივანჩუკი, რომელსაც ჭადრაკის მოყვარულები კარგად იცნობენ. თითქმის ყველა გუნდი თავისი უძლიერესი შემადგენლობითაა წარმოდგენილი და ევროპის ჩემპიონებს ნამდვილად მძიმე ბრძოლა მოუწევთ თავიანთი ტიტულების შესანარჩუნებლად.

ტურნირის მასპინძლებმა ყველანაირი პირობა შეუქმნეს სტუმრებს როგორც საშეჯიბროდ, ისე საცხოვრებლად. მათ განკარგულებაშია ჩაქვის ულამაზესი დასასვენებელი კომპლექსი „ოაზისი". მონაწილეთა უმრავლესობა აქ ცხოვრობს, დანარჩენები კი ბათუმის სხვადასხვა უმაღლესი კლასის სასტუმროებში დააბინავეს. საასპარეზო დარბაზები უმაღლეს დონეზეა მოწყობილი. დაფები და საათები ჰოლანდიაშია დამზადებული, ჩემპიონატის პრიზები — გერმანიაში. ელექტრონული დაფები პირდაპირ ინტერნეტშია ჩართული და ყველა მსურველს შეუძლია, დააკვირდეს და გარკვეულწილად მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონატის მსვლელობაში. აკრედიტებულ ჟურნალისტებს ჩემპიონატის პრესცენტრში ყოველგვარი სტატისტიკური ბიულეტენის მიღება შეუძლიათ. ერთი სიტყვით, მონაწილეებსა და მათ გულშემატკივრებს ხელი არაფერში ეშლებათ.

3 საათამდე სასახლისა და მისი შემოგარენის თვალიერებას მოვუნდი. მონაწილეებიც ნელ-ნელა მოგროვდნენ. თითოეულ გუნდს ცალკე მიჩენილი კომფორტული ავტობუსი ემსახურება. პირველად შოტლანდიელები მოვიდნენ, მათ გერმანელები მოჰყვნენ, შემდეგ შვედები, ფინელები და ცოტა ხანში სასახლის მოედანი მანქანებით გაიჭედა, ცარიელი ფოიეც მონაწილეებით აივსო და ხალხი სათამაშო დარბაზებისკენ დაიძრა. მოჭადრაკეები დაფებს მიუსხდნენ და ერთმანეთს მიესალმნენ. ჩემპიონატის მთავარმა არბიტრმა ჰიურტ ჰეისენმა მორიგი სათამაშო დღე მიულოცა მონაწილეებს და სამ საათზე საათებიც ჩაირთო.

თქმა არ უნდა, ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების ყურადღება მოჭადრაკე ქალბატონებისკენ არის მიმართული. თუმცა მასმედიის წარმომადგენლების სიმცირეს არც ვაჟთა დარბაზი უჩივის. განსაკუთრებით ერთ მაგიდას უთვალთვალებენ, რომელთანაც იუდით პოლგარი თამაშობს. ერთი სიტყვით, ყველგან ფრიად საინტერესო სიტუაციაა და ჩვენც დავრბივართ ზევითქვევით. არც ქალების დარბაზი გვეთმობა და არც კაცების. კარების ყოველ გაღებაზე კი წარბებს გვიჭმუხნიან არბიტრები და მეთვალყურეები, არ იხმაუროთ და ჩუმად იარეთო. ჩვენც მობოდიშებით გულზე ხელს ვიდებთ (ყველასათვის გასაგები ჟესტია) და თითის წვერებზე, ფეხაკრეფით დავდივართ დარბაზებში. როგორი საქმეა, მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს ამდენ ვარსკვლავს მოუყრია ერთად თავი. ფოტოკორესპონდენტებიც დაუღალავად მუშაობენ, ოღონდ უხმაურო აპარატებით და ბლიცების გარეშე, ვინაიდან სხვა კამერების გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

ჩვენს იქ ყოფნაში პარალელურად სხვა ტურნირიც გაიმართა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა, სლოვაკმა ბორის კუტინმა ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს ნორჩ მოჭადრაკეებთან, რომლებიც მრავლად არიან აქ. ისინი ტექნიკურ პერსონალს შორისაც არიან და დაუღალავად ირჯებიან. ამ სეანსების დროს კი მათი უმეტესობა დაფებს მიუჯდა და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეებს გაუმართა პაექრობა. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ევროპის ჩემპიონატი იყო და ამიტომ ამ ტურნირზე დიდი ხნით არც შევყოვნებულვართ.

პატარებს თავი მივანებეთ და ქალების დარბაზისკენ გავეშურეთ. მთელი ჩვენი გულისყური საქართველოს მეორე გუნდისკენაა მიმართული, ვინაიდან მაია ჩიბურდანიძის ბოიკოტის გამო წამყვანი პოზიცია მეორე გუნდმა დაიკავა და ნანა იოსელიანს საკმაოდ მძიმე, ლიდერის ტვირთი დააწვა მხრებზე. თუ მაია ითამაშებდა, ეს იძულებით ნაკისრი პასუხისმგებლობა გაცილებით შეუმსუბუქდებოდა. საქართველოს გუნდებს წარმატების მიღწევაში, ალბათ, მშობლიური კედლებიც დაეხმარება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ იუგოსლავიის, პოლონეთის, ბულგარეთის ძალიან ძლიერი გუნდები (ქალთა I გუნდმა პოლონეთთან I ტურში 0,5:1,5 წააგო). ასე რომ, სანერვიულო და საფიქრალი საკმაოდ აქვთ ქართველ ქალებს.

ქალთა დარბაზში მრავლადაა ახალგაზრდა და სიმპათიური მოჭადრაკე მანდილოსანი. ისინი მაყურებლებშიც საკმაოდ არიან და სპორტული დელეგაციების შემადგენლობაშიც. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ მამაკაცებმაც ბლომად მოიყარეს თავი.

ვაჟთა ასპარეზობას რაც შეეხება, აქ უდავო, გამოკვეთილი ფავორიტები არ ჩანან. ტრადიციულად ძლიერები არიან უნგრელები, ინგლისელები, უკრაინელები. ისრაელის გუნდი საკმაოდ შთამბეჭდავი შემადგენლობითაა წარმოდგენილი. საქართველოს გუნდები მათ, ალბათ, სერიოზულ მეტოქეობას ვერ გაუწევენ. ტრადიციულად, ქართველი ქალები უკეთეს შედეგებს აღწევენ ხოლმე, ვიდრე ქართველი ვაჟები. თუმცა არა გვგონია, იოლად ვინმეს რაიმე დაუთმონ. როგორც ქალებს, ალბათ, მათაც დაეხმარება მშობლიური კედლები და ყველასათვის უხერხული მეტოქეები იქნებიან.

მოჭადრაკეებმა ჯერ მხოლოდ ხუთი დღე ითამაშეს. შედეგები ყველასთვის ცნობილია და მათი ხელახალი ჩამოთვლით არც ჩვენ შეგაწყენთ თავს. ჩვენ მხოლოდ გვსურდა, ჩემპიონატის ატმოსფერო გადმოგვეცა. ევროპის პირველობა რომ საქართველოში ტარდება, ნამდვილად მნიშვნელოვანია. ქართველები არა ვართ ასეთი რანგის ტურნირებით განებივრებულნი.

საღამოს ბინდში გაჩირაღდნებული ჭადრაკის სასახლე კი ნამდვილად სასიამოვნო სანახავია...



საგანგებოდ, ხუთ თვეში აგებული ბათუმის ჭადრაკის სასახლე

**ზურა ბენიძე,**
**ბადრი ძეთილაძე (ფოტო)**
**ბათუმიდან**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 059 | ჰერტა — ულმი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 060 | შალკე — ფრაიბურგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 061 | ლევერკუზენი — ვერდერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 062 | შტუტგარტი — მიუნხენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 063 | ბაიერნი — დორტმუნდი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 064 | კაიზერსლაუტერნი — ვოლფსბურგი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 065 | უნტერჰახინგი — არმინია | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XIV ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 069 | ვალდჰოფი — კოტბუსი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 070 | ალემანია — ზანქტ პაული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 071 | ფორტუნა — ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 072 | ნიურნბერგი — კიკერსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 073 | მაინცი — ბოხუმი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

6 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 074 | კარლსრუე — კიოლნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 075 | ასტონ ვილა — ნიუკასლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 076 | ბრედფორდი — მიდლსბრო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 077 | ლესტერი — არსენალი (15$^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 078 | მანჩესტერი — ევერტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 079 | საუთჰემპტონი — ქოვენთრი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 080 | სანდერლენდი — ჩელსი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 081 | უიმბლდონი — უოტფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 082 | დერბი — ლიდსი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 083 | ლივერპული — უენსდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

6 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 084 | ტოტენჰემი — ვესტ ჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXII ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 086 | ბარნსლი — ჩარლტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 087 | ბოლტონი — ტრანმერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 088 | ქრიუ — კრისტალ პალასი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 089 | ფულემი — ბირმინგემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 090 | ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 091 | ნორვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 092 | პორტ ვეილი — ბლექბერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 093 | შეფილდი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 094 | სტოკპორტი — გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 095 | სუინდონი — უოლსოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 096 | ნოტინგემი — იფსვიჩი (17$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XX ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 098 | ბრენტფორდი — როვერსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 099 | ბრისტოლი — რედინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 100 | ბარნლი — უიკომბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 101 | კემბრიჯი — ბორნმუთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 102 | ჯილინგემი — ბერი (17$^{00}$) | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 103 | ლუტონი — ნოტსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 104 | მილუოლი — კარდიფი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 105 | ოქსფორდი — სტოკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 106 | პრესტონი — ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 107 | სკანთორპი — უიგანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 108 | რექსემი — ბლეკპული | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XX ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 109 | ბარნეტი — ჩესტერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 110 | დარლინგტონი — ჰალიფაქსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 111 | ჰარტლპული — პიტერბრო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 112 | ჰალი — ექსეტერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 113 | ლეიტონი — კარლაისლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 114 | მენსფილდი — ბრაიტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 115 | ნორთჰემპტონი — მაკლსფილდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 116 | პლიმუთი — საუთენდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 117 | როჩდეილი — ჩელტენემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 118 | როტერჰემი — ლინკოლნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 119 | სუონსი — იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 120 | ტორკი — შრიუსბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 127 | ოსერი — მეცი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 128 | მონაკო — ლანსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 129 | პსჟ — რენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXI ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 131 | კაენი — ნიორი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 132 | ამიენი — ნიმი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 133 | სოშო — აიაჩო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 134 | გენიონი — შატორუ | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 135 | ლორიანი — ლუანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 136 | ვალანსი — ტულუზი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 137 | კანი — ვასკეალი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 138 | ლე მანი — კრეტეი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### იტალია. სერია A. XII ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 139 | იუვენტუსი — ბოლონია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 140 | პერუჯა — ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 141 | ბარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 142 | ინტერი — უდინეზე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 143 | პარმა — ტორინო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 144 | რომა — ლეჩე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 145 | ვენეცია — რეჯინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 146 | ვერონა — კალიარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 147 | ფიორენტინა — მილანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია B. XIV ტური

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 149 | ატალანტა — კიევო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 150 | კოზენცა — სალერნიტანა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 151 | ჯენოა — ფერმანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 152 | მონცა — სავოია | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 153 | ნაპოლი — ემპოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 154 | პესკარა — რავენა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 155 | ტერნანა — პისტოიეზე | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 156 | ვიჩენცა — სამპდორია | 1,9 | 2,7 | 4,0 |

6 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 157 | ტრევიზო — ალძანო | 1,8 | 2,7 | 4,7 |

### იტალია. სერია C I/A. XIII ტური

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 158 | ბრეშელო — მონტევარკი (17$^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 159 | ჩიტადელა — კარარეზე (17$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 160 | კომო — ლივორნო (17$^{30}$) | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 161 | კრემონეზე — სანდონა (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 162 | ლუკეზე — რეჯანა (17$^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 163 | მოდენა — ლუმეცანე (17$^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 164 | პიზა — ალბინოლეფე (17$^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 165 | სიენა — ლეკო (17$^{30}$) | 1,4 | 3,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 166 | ვარეზე — სპალ (17$^{30}$) | 2,5 | 2,6 | 2,8 |

### იტალია. სერია C I/B. XIII ტური

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 167 | ანკონა — ასკოლი (17$^{30}$) | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 168 | ატლეტიკო — ბენევენტო (17$^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 169 | დი სანგრო — ჯულიანოვა (17$^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 170 | ფ. ანდრია — მარსალა (17$^{30}$) | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 171 | გუალდო — ლოდიჯანი (17$^{30}$) | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 172 | სტაბია — აველინო (17$^{30}$) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 173 | ნოჩერინა — კროტონე (17$^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 174 | პალერმო — კატანია (17$^{30}$) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 175 | ვიტერბეზე — არეცო (17$^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XIV ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 176 | რეალი — სარაგოსა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 177 | ვალენსია — სევილია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 178 | ბარსელონა — ოვიედო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 179 | ბილბაო — სოსიედადი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | ალავესი — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 181 | ბეტისი — ესპანიოლი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 182 | ვალიადოლიდი — რასინგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 183 | დეპორტივო — რაიო ვალეკანო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 184 | მალაგა — ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 185 | ნუმანსია — სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XVII ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 186 | ტენერიფე — ატლეტიკო B | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 187 | ალბასეტე — ლეიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | ხეტაფე — ლას პალმასი (14$^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 189 | ესტრემადურა — სალამანკა (15$^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 190 | უელვა — ტოლედო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 191 | სპორტინგი — მერიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 192 | ლევანტე — ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 193 | ვილიარეალი — ოსასუნა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 194 | ელჩე — კომპოსტელა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 195 | ეიბარი — კორდობა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 196 | ბადახოსი — ლოგრონიესი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### პორტუგალია. XIII ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 198 | ალვერკა — ფარენსე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 199 | ბელენენსეში — ბენფიკა | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 200 | გიმარაეში — სპორტინგი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | რიუ ავე — ჟილ ვისენტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 202 | კამპომაიორენსე — სალგეირუში | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 203 | ბრაგა — სეტუბალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 204 | ლეირია — მარიტიმუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 205 | ბოავიშტა — ამადორა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჰოლანდია. XV ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 206 | პსვ — როდა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | სიტარდი — დენ ბოსხი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 208 | მაასტრიხტი — ტვენტე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 209 | ვიტესი — ალკმაარი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 213 | სპარტა — ფეიენოორდი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 210 | ტილბურგი — უტრეხტი (16⁰⁰) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 211 | აიაქსი — ვალვაიკი (17³⁰) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 212 | ნაიმეგენი — კამბური (17³⁰) | 1,7 | 3,1 | 4,4 |

## ბელგია. XVI ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | შარლერუა — აალსტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 215 | მუსკრონი — ბეერსხოტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 216 | ბევერენი — ლოკერენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 217 | ლიერსი — სენტ ტრუიდენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 218 | ლომელი — ბრიუგე | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 219 | გეელი — ვესტერლო | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 220 | სტანდარდი — ანდერლეხტი (17³⁰) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 221 | გენტი — მეხელენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 222 | გენკი — ჰარელბეკე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

## საბერძნეთი. X ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 225 | ირაკლისი — ოლიმპიაკოსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 223 | პანილიაკოსი — კალამატა (17⁰⁰) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 224 | პანიონიოსი — აპოლონი (17⁰⁰) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 226 | პროდეფტიკი — კავალა (17⁰⁰) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 228 | პანაჰაიკი — ტრიკალა (17⁰⁰) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 229 | პანათინაიკოსი — არისი (17⁰⁰) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 230 | ქსანთი — აეკ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 231 | ოფი — პაოკ (17⁰⁰) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 6 დეკემბერი | | | |
| 227 | ეთნიკოსი — იონიკოსი (17⁰⁰) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

## ჩეხეთი. XVI ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 233 | ვიკტორია — სპარტა (13¹⁵) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 234 | დუკლა — იაბლონეცი (16³⁰) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 235 | ოპავა — ტეპლიცე (16³⁰) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 236 | ბლშანი — ბანიკი (16³⁰) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 237 | ლიბერეცი — ჰ. კრალოვე (16³⁰) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 238 | დრნოვიცე — ბუდეიოვიცე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 239 | სიგმა — ბრნო | 2,1 | 2,9 | 3,2 |

## თურქეთი. XI ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | ბეშიქთაში — ადანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 242 | ვანი — ტრაბზონი (14³⁰) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 243 | ერზურუმი — ანთალია (14³⁰) | 25 | 2,9 | 2,5 |
| 244 | გაზიანთეფი — ქოჯაელი (15³⁰) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 245 | სამსუნი — გიოზთეფე (15³⁰) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 246 | ალთაი — ისთანბული (16⁰⁰) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 247 | ფენერბაჰჩე — ბურსა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 248 | დენიზლი — ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

## შოტლანდია. XVII ტური

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 249 | აბერდინი — მოზერუელი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 250 | სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 251 | დანდი — კილმარნოკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 252 | სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 253 | ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

## შვეიცარია. XXI ტური

5 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 254 | არაუ — ლუგანო (17³⁰) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 255 | დელემონი — სენტ გალენი (17³⁰) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 256 | ლოზანა — ქსიმაქსი (17³⁰) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 257 | ლუცერნი — ივერდონი (17³⁰) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 258 | სერვეტი — გრასჰოპერი (17³⁰) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 259 | ციურიხი — ბაზელი (17³⁰) | 1,9 | 3,0 | 3,5 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი. XVII ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია. XII ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XIV ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| ბელგია. XVI ტური | 27 და ნაკლები | 1,9 | 29 და მეტი | 1,9 |
| საბერძნეთი. XII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |

## კალათბურთი. NBA

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 867 | ნიუ ჯერსი — ნიუ იორკი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 868 | ფილადელფია — ბოსტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 869 | ვაშინგტონი — საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 870 | ატლანტა — დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 | ჩიკაგო — მილუოკი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 872 | მინესოტა — დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 873 | ჰიუსტონი — ფინიქსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 874 | კლიპერსი — სიეტლი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 875 | გოლდენ სტეიტი — იუტა | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 876 | ნიუ იორკი — დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 877 | ტორონტო — სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 878 | მილუოკი — დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 879 | ფინიქსი — პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 880 | ლეიკერსი — ორლანდო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 881 | სიეტლი — შარლოტი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | 6 დეკემბერი | | | |
| 882 | ნიუ ჯერსი — საკრამენტო | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 883 | ფილადელფია — დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 884 | ჰიუსტონი — ვანკუვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 885 | იუტა — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 886 | კლიპერსი — მაიამი | 3,5 | 12,0 | 1,2 |

## ჰოკეი. NHL

4 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 892 | ბოსტონი — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 893 | ბუფალო — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 894 | ტორონტო — პისტბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 895 | მონრეალი — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 896 | ოტავა — დალასი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 897 | აილენდერსი — ატლანტა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 898 | ნიუ ჯერსი — კალგარი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 899 | ფლორიდა — ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 900 | სენტ ლუისი — სან ხოსე | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 901 | ნეშვილი — დეტროიტი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 902 | კოლორადო — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 903 | ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 904 | ედმონტონი — ვანკუვერი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 905 | ლოს ანჯელესი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | 5 დეკემბერი | | | |
| 906 | ფილადელფია — სენტ ლუისი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | 6 დეკემბერი | | | |
| 907 | ტორონტო — ბუფალო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 908 | რეინჯერსი — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 909 | ატლანტა — ნეშვილი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 910 | ჩიკაგო — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 911 | დალასი — ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 912 | კოლორადო — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 913 | სან ხოსე — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მიკა

## მაკლარენის მეექვსე

**რამდენიმე დღეში პარიზში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის რეზიდენციაში, ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონის მიკა ჰაკინენის პომპეზური ინაუგურაცია გაიმართება. იქვე საგაისო, 51-ე პირველობის კალენდარიც გაცხადდება და კიდევ ბევრი საინტერესო რამ. ძირითადად პილოტთა გუნდიდან გუნდში გადასვლასთან დაკავშირებულ კითხვებს გაეცემა პასუხი.**



### საიუბილეო გმირი

50-ე საიუბილეო სეზონის ტრიუმფატორი ფინელი მრბოლი საჩემპიონო ჯილდოსთან ერთად, ცხადია, უამრავ მილოცვა-ქათინაურსაც მიიღებს. ყველაფერი ეს მან მართლაც დაიმსახურა თავისი მაღალი ოსტატობითა და შედეგით. მით უფრო, რომ ეს ჰაკინენის ზედიზედ მეორე ტიტულია, რისი მიღწევაც „სამეფო რბოლებში" ურთულესი საქმეა და ამდენად, ძალიანაც ფასობს.

ამიტომაც ნუ გაიკვირვებთ, თუ ორიოდე კვირაში, როცა მსოფლიოს წამყვანი სააგენტოები წლის საუკეთესო სპორტსმენებს დაასახელებენ, მიკა უძლიერესთა ათეულში ერთ-ერთ მაღალ საფეხურზე აღმოჩნდება.

ასეთი გამოკითხვები ნახევარი საუკუნეა, რაც ეწყობა. პირველ რეფერენდუმში, 1947 წელს, რჩეულთა შორის რჩეულად, ფრანგი მოცურავე ალექს ჟანი აღიარეს. საერთოდ კი აშკარა უპირატესობა სპორტის დედოფლის მხარესაა — უმეტესად სწორედ მძლეოსნები ედგნენ სათავეში ამ უაღრესად საპატიო სიებს, მსოფლიოს რეკორდებითა და ოლიმპიური ოქროს მედლებით ზურგგამაგრებულნი. ძალიან იშვიათად არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებიც გარეულან მარაქაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ არც რეკორდები დაუმყარებიათ და არც ოქრო-ვერცხლით დაუმშვენებიათ მკერდი.

სეზონის ტრიუმფატორთა კონკურსებში ორჯერ ფორმულა 1-ის ჩემპიონებმა აჯობეს ყველას. 1973 წელს საუკეთესოდ ცნეს „მფრინავი შოტლანდიელი" ჯეკი სტიუარტი, რომელმაც მესამედ დაიდგა სამეფო გვირგვინი, ოთხი წლის შემდეგ კი ეს პატივი ერგო ლეგენდარულ ავსტრიელს, საშინელი ავარიის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარ ნიკი ლაუდას.

სულ მალე 1999 წლის რჩეულთა ვინაობასაც შევიტყობთ...

### დასაწყისი

**მიკა ჰაკინენი** 31 წლის წინ ჰელსინკში დაიბადა. მისი მშობლების შემოსავალი იოლი ცხოვრების საშუალებას იძლეოდა, თუმცა ჰარი ჰაკინენი თავისუფალ დროს ტაქსისტად მუშაობდა და ყოველ დამატებით კრონს შვილს ახმარდა. მიკა კი 6 წლიდან ავტორბოლებმა გაიტაცა და მშობლებსაც სხვა რა დარჩენოდათ, მის სურვილს დაემორჩილნენ. თავიდან მათ ეს ბავშვური ახირება ეგონათ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ მიკა სამუდამოდ იყო მოწამლული ძრავების გრუხუნითა და სიჩქარით.

მისი კარიერა, სხვა მრბოლების მსგავსად, დაიწყო კარტინგით, რომლის საჭესთანაც ყმაწვილობაშივე ხუთჯერ მოასწრო ფინეთის ჩემპიონობის მოპოვება. ეს ნამდვილი სენსაცია გახდა, რადგან მსგავსი შედეგისთვის მანამდე არავის მიეღწია. აი, მაშინ გადაწყდა მიკას მომავალი. ისე, მისი არჩევანი ერთი შეხედვით მოულოდნელი ჩანდა, რადგან ფინეთში წრიულ ავტორბოლებზე პოპულარული რალია და მსოფლიოს ჩემპიონებიც თავზე საყრელად თუ არა, საკმაოდ ჰყავთ.

გო-კარტის შემდეგ თანდათან იმატა ჰაკინენის მომდევნო მანქანების სიმძლავრემ და დონემ. კარტინგს მოჰყვა საწყისი „ფორმულები", ანუ ყველა ის საფეხური, რომელთა დაძლევაც სავალდებულოა უმაღლესი, პირველი ფორმულის პილოტის ლიცენზიის მისაღებად. ასეა, აუცილებელი მრავალწლიანი სარბოლო პრაქტიკისა და სათანადო კვალიფიკაციის გარეშე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ამ ზემძლავრი, ურთულესი მექანიზმების მძღოლის ნებართვას ჰაიჰარად არ არიგებს.

ქერათმიანი, ნიჭიერი ფინელი ჭაბუკი სპეციალისტებს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მართალია, მიკა ტექნიკაში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა, მაგრამ უკვე მაშინ დაიგდო „ფორმულა ფორდის" უსწრაფესი მრბოლის სახელი. აღიარებამაც არ დააყოვნა — ჰაკინენს „ლოტუსის" მენეჯერმა პიტერ კოლინზმა დაადგა თვალი და 1991 წელს შედგა 22 წლის პილოტის დებიუტი ფორმულის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან გუნდში. გენიალური კონსტრუქტორის კოლინ ჩეპმენის პირმშო, პირად-გუნდურ ჩათვლაში 13-გზის ჩემპიონი იმხანად უკვე სულს ღაფავდა — ერთ დროს უძლეველი „ლოტუსები" გრანდებს კონკურენციას ველარ უწევდნენ. მიკამ პირველი სეზონი მხოლოდ ორი ქულით დაასრულა, მომდევნოში კი შედარებით უკეთესად იასპარეზა, 11 ქულას მოუყარა თავი და დამწყები პილოტისთვის საპატიო, მერვე ადგილზეც აღმოჩნდა.

**მიკა ჰაკინენი**

**ფინეთი**

**დაიბადა** 1968 წლის 28 სექტემბერს, ჰელსინკში. მეუღლე ერიასთან ერთად ცხოვრობს მონაკოში.

**სიმაღლე** 179 სმ, წონა 70 კგ.

**გატაცება:** თხილამურები, ცურვა, ჩოგბურთი.

**მრბოლის კარიერა:**

1974-86 წ.წ. — კარტინგი; ფინეთის 5-გზის ჩემპიონი.

1987-90 წ.წ. — ფორმულა „ფორდი 1600", ფორმულა „ოპელ-ლოტუსი", „ფორმულა 3" (1990 წ. ჩემპიონი).

**დებიუტი ფორმულა 1-ში** — 1991 (აშშ-ს დიდი პრიზი).

**პირველი გამარჯვება** — 1997 (ევროპის დიდი პრიზი).

ჩაატარა 128 რბოლა, მოიგო 14, დააგროვა 294 ქულა, მოპოვებული აქვს 21 პოული.

| | გუნდი | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|
| 1991 | ლოტუსი | 2 | XV |
| 1992 | ლოტუსი | 11 | VIII |
| 1993 | მაკლარენი | 4 | XV |
| 1994 | მაკლარენი | 26 | IV |
| 1995 | მაკლარენი | 17 | VII |
| 1996 | მაკლარენი | 31 | V |
| 1997 | მაკლარენი | 27 | V |
| 1998 | მაკლარენი | 100 | I |
| 1999 | მაკლარენი | 76 | I |

### „მომავლის ჩემპიონი"

**სწორედ** ამ მეორე სეზონის შემდეგ ატყდა ერთი ამბავი. პრესის მიერ მომავლის ჩემპიონად მონათლულ ჰაკინენს ვინ არ იჩემებდა — მის გადაბირებას ცდილობდნენ „უილიამსი" და „მაკლარენი", ცხადია, „ლოტუსსაც" არ ეთმობოდა. სამთა ჭიდილში ბოლოს რონ დენისმა იმარჯვა და მიკაც „მაკლარენში" აღმოჩნდა, თუმც მხოლოდ მესამე, ანუ ტესტ-პილოტად. რა გასაკვირია, მაშინ ამ დიდ გუნდში ხომ თვით ლეგენდარული აირტონ სენა და ამერიკული ფორმულის ჩემპიონი მაიკლ ანდრეტი გამოდიოდნენ.

ასე რომ, ჰაკინენს მთელი წელი სათადარიგოთა სკამზე ყურყუტი თითქოს განაღდებული ჰქონდა. მაგრამ ბედმა გაუღიმა — ანდრეტი ვერაფრით მოერგო ევროპულ რბოლებს, მხოლოდ 7 ქულის მოგროვება შეძლო, რამდენიმე მანქანაც მიაფშვნა და ფინიშამდე სამი ეტაპით ადრე უკან, შტატებში გაბრუნდა.

აი, მაშინ კი აიწყვიტა მიკამ: საჭეს როგორც კი მიუჯდა, ისეთი სიჩქარე განავითარა, რომ პორტუგალიაში კვალიფიკაციაზე სენასაც კი აჯობა, ხოლო მომდევნო, იაპონურ ეტაპზე კარიერაში პირველად პოდიუმზეც შედგა ფეხი — „სუძუკაზე" მესამე იყო სენასა და ალენ პროსტის შემდეგ.

1994 წელს „მაკლარენიდან" ლეგენდარული ბრაზილიელის წასვლის მერე ჰაკინენი გუნდის პირველი პილოტი გახდა და ურიგოდაც არ დაჰქროდა, მაგრამ მის შედეგებს მაინც საშუალო ეთქმოდა.

1988-91 წლებში „ჰონდას" ფანტასტიკური ძრავით ზედიზედ ოთხჯერ პირად-გუნდური ჩემპიონატის მოგების შემდეგ „მაკლარენს" შავი დღეები დაუდგა, რომლებიც უსაშველოდ გაიწელა, მთელი 6 წელი.

ინგლისურ ბოლიდს „მერსედესის" გერმანული გულიც კი გადაუნერგეს, მაგრამ თავიდან ამანაც ვერ მოიტანა სასურველი შედეგი. მიკაც და „მაკლარენიც" მეოთხე ადგილს ვერ ასცდნენ.

სწორედ ამ უიღბლობის პერიოდში, 1995 წლის 10 ნოემბერს, ფინელ მრბოლს ისეთი საშინელი ავარია შეემთხვა, რომ მანქანის მართვას ვინლა ჩიოდა, შეიძლება სულაც ხეიბრად დარჩენილიყო: ავსტრალიის დიდი პრიზის წინა ვარჯიშზე, ადელაიდაში, ჰაკინენის მართვადაკარგული ბოლიდი ბეტონის დამცავ კედელს შეასკდა. საჭეზე მინარცხების შემდეგ შოკში ჩავარდნილ პილოტს პირი ვერაფრით გააღებინეს. უჰაეროდ, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ადამიანი მხოლოდ ორ-სამ წუთს ძლებს. მიკას ბედად, სულ ასიოდე მეტრში „სასწრაფო" იდგა. გამოცდილი მედიკოსები რამდენიმე წამში დაშავებულთან გაჩნდნენ და იქვე, ტრასაზე გაუკეთეს ტრაქეოტომია, შემდეგ კი ადელაიდის სამეფო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ჰაკინენი მეორე დღესვე მოვიდა გონს, მაგრამ გამოჯანმრთელებამდე მთელი თვე კლინიკაში გაატარა. ტრავმამ მას მძიმე კვალი დაატყო — საცოდავი სანახავი იყო, ძალიან გახდა, თავს სწორად ვერ იჭერდა და ლაპარაკიც უჭირდა, თან ცალი თვალით გაურბოდა, რეაბილიტაციას თითქმის სამი თვე დასჭირდა. მოკლედ, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ფინელი მრბოლი იმ ავსტრალიური კოშმარიდან საღსალამათი გამოვიდა და 1996 წლის სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ადელაიდის ჰოსპიტალში კოტრიალისას იპოვა მიკამ თავისი ბედი — ავარიის შემდეგ მას გვერდიდან არ მოშორებია მომხიბლავი თანამემამულე ერია, რომელიც წინა წელს გაიცნო ერთ-ერთ ბანკეტზე და მასთან ურთიერთობას ამ შემთხვევამდე დიდ მნიშვნელობას არც კი ანიჭებდა. ხუთი წლით უფროსი ერია ხუთ ენას ფლობს. იგი ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურისტულ ფირმაში მუშაობდა ნიცაში, მაგრამ ყველაფერი მიატოვა იმ კაცის გამო, რომელიც შეიძლებოდა მთელი ცხოვრება ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული დარჩენილიყო.

### მიკას კვერი ცხვაო...

**ასეთი** უმძიმესი ავარიის შემდეგ ბევრი საერთოდაც ხელს ჩაიქნევდა მრბოლობაზე, ღმერთს მადლობას შესწირავდა გადარჩენისთვის და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს. პატივმოყვარე მიკა — არასდიდებით. მას ხომ ჯერ ერთი დიდი პრიზიც კი არ ჰქონდა მოგებული. ბოლოს, როგორც იქნა, ის ნანატრი გამარჯვებაც მოვიდა 1997 წლის დასკვნით რბოლაში, ესპანურ „ხერესზე". იმ თავის უბედნიერეს დღეს ჰაკინენი სარეკორდოდ დიდხანს ელოდა მთელი 7 წელი და 96 ეტაპი. ფორმულის 26 ჩემპიონთაგან ამდენი ხანი მოუგებლად არავის ურბოლია.

მიკას მოკრძალებული შედეგების მიუხედავად, „მაკლარენის" შეფი რონ დენისი არ ჩქარობდა მის გაშვებას. საინტერესო ფაქტია: ერთ გუნდში ზედიზედ რვა სეზონი აქამდე არავინ გაჩერებულა. ესეც თავისებური რეკორდია. ერთობ გამოცდილი დენისი ახალი სუპერბოლიდის შექმნაზე მუშაობდა და მიკას ჩემპიონობის იმედიც ჰქონდა. „მაკლარენის" თითქმის 100-კაციანმა გუნდმა უზარმაზარი შრომა გასწია მანქანის პარამეტრების გასაუმჯობესებლად. ძრავისა და კორპუსის კონსტრუქციაში რამდენიმე რევოლუციური ცვლილების შეტანით მართლაც, პრაქტიკულად უნაკლო მონოპოსტი გამოვიდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

შარშან ჰაკინენისა და დევიდ კულჰარდის „ვერცხლისფერმა ისრებმა" თავიდანვე შოკში ჩააგდეს მეტოქეები — ექვსიდან ხუთი ეტაპი მოუგეს, მათ შორის სამი დუბლით (პირველ-მეორე ადგილები). სეზონის მიწურულს ფინიშამდე ორი რბოლით ადრე, მიხაელ შუმახერი, მართალია, წამოეწია ჰაკინენს, მაგრამ დასკვნითი ორი ეტაპი კვლავ ფინელი პილოტისა იყო და მან ჩემპიონატი მოიგო ისე, რომ ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა.

გაცილებით რთული, დრამატული და გამორჩეულად ჩახლართულსიუჟეტიანი გამოდგა წლევანდელი პირველობა. საკმარისია ითქვას, რომ თექვსმეტრბოლიან დისტანციაზე ექვსჯერ შეიცვალა ლიდერი. თავიდან ირვინ-შუმახერის „ფერარები" დაწინაურდნენ. ჰაკინენს კარგა ხანს მდევრის როლში მოუწია ყოფნა და მხოლოდ მეექვსე, კანადური ეტაპის მოგებით შეძლო სატურნირო ცხრილის სათავეში ჩადგომა.

თუმცა ბოლო რბოლის წინ ირვინმა ლიდერობა დაიბრუნა და ჩემპიონობის შანსიც გაუჩნდა. მიკას კი მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა, რათა დაემტკიცებინა, რომ წლევანდელ სეზონშიც სწორედ ისაა საუკეთესო. მართლაც, ფინელმა პილოტმა, როგორც ეს ამგვარ კრიტიკულ სიტუაციებში სჩვევია, გადამწყვეტი რბოლა ზუსტად, უშეცდომოდ წარმართა, თავიდანვე დაწინაურებულს ფინიშამდე აღარც დაუთმია პირველობა და დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის ტიტული. თავად ჰაკინენი „სუძუკაზე" ამ გამარჯვებას საკუთარ კარიერაში საუკეთესოდ თვლის.

ფორმულაში ჩემპიონობის მოპოვება, თანაც ზედიზედ ორჯერ, როგორც უკვე ვთქვით, მეტად რთული და სასახელო საქმეა. „სამეფო რბოლების" ნახევარსაუკუნიან ისტორიაში ორი ან მეტი ტიტულის დასაკუთრება მხოლოდ ცამეტმა პილოტმა შეძლო. ჰაკინენის პირველობის საკითხი მართალია, ორჯერვე მხოლოდ ბოლო რბოლაში გა-



ორი ორგზის ჩემპიონი:
მიკა და შუმი გაისადაც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს



მიკას გადარჩენაში მისი მეუღლის, ერიას ხელიც ერია

რკვა, მაგრამ მის მიღწევას ამით არაფერი დაჰკლებია, პირიქით. მიკამ დაამტკიცა, რომ მართლაც ღირსეული გვირგვინოსანია. ერთხელ ასე თუ ისე შეიძლება, ორგზის ჩემპიონები კი შემთხვევით არ ხდებიან.

ეტყობა სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ცნობილ ავსტრიელ პილოტ გერჰარდ ბერგერს, როცა ჰაკინენის შარშანდელი, პირველი ტრიუმფის შემდეგ განაცხადა: „მიკას უმთავრესი კოზირის — სიჩქარის გარდა აქვს სამაგალითო თვითკონტროლის გრძნობა და კიდევ ის, რომ არ მოეშვას არანაირ ვითარებაში, ანუ ყველაფერი, რაც ახასიათებს კარგ მრბოლს. მე შეგნებულად ვთქვი კარგი და არა გამოჩენილი, ან უდიდესი, რადგან მან ჯერ მხოლოდ ერთი ჩემპიონატი მოიგო".

ჰაკინენის კოლეგებიცა და ექსპერტებიც ერთხმად აღნიშნავენ მის უდიდეს ფსიქოლოგიურ წონასწორობას, რაც საშუალებას აძლევს ყოველთვის პრაქტიკულად უშეცდომოდ ირბოლოს. ერთი სიტყვით, მიკა უსწრაფესადაც დააქროლებს მანქანას და იმავდროულად, საჭესთან ფიქრობს კიდეც.

ბერგერისეულივე შეფასებით, არის ორი მიკა — ერთი, მრბოლი, მეორე კი ის, რომელსაც ხალხი ვერ ხედავს: იუმორის გრძნობით, თუმცა საკმაოდ მკაცრი პიროვნება.

## მიკას მონაგარი

ჰაკინენი „მაკლარენის" შემადგენლობაში მეექვსე ჩემპიონია. მანამდე ეს ტიტული მოიპოვეს ბრაზილიელებმა — ემერსონ ფიტიპალდიმ (1974) და აირტონ სენამ (88, 90, 91), ბრიტანელმა ჯეიმს ჰანტმა (76), ავსტრიელმა ნიკი ლაუდამ (84), ფრანგმა ალენ პროსტმა (85, 86, 89).

ამ სახელოვანი ინგლისური გუნდის 123 მოგებული დიდი პრიზი 13 მრბოლის ანგარიშზეა. მიკამ თავისი 14 გამარჯვებით მნიშვნელოვანი წილი შეიტანა საერთო საქმეში და მესამეა სენასა (35) და პროსტის (30) შემდეგ.

ფორმულის ისტორიაში ჰაკინენი 87-ე მრბოლი გახდა, ვისაც კი დიდი პრიზი მოუგია. ბოლო ორ ჩემპიონატში 13 გამარჯვებით მან პილოტთა ოსტატობის შესაფასებელ ამ უმთავრეს სიაში უზარმაზარი ნახტომი გააკეთა და სადღეისოდ უკვე მე-12 ადგილზეა. მიკას მომავალი სეზონის დასაწყისშივე შანსი აქვს ერთი საფეხურით მაღლა აიწიოს. აი, მერე კი კარგა ხანს მოუწევს ჯახირი ათეულში შესასვლელად.

| | | მოგ. | რბ. | % |
|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი | 51 | 199 | 25,6 |
| 2 | აირტონ სენა | 41 | 161 | 25,5 |
| 3 | მიხაელ შუმახერი | 35 | 128 | 27,3 |
| 4 | ნაიჯელ მენსელი | 31 | 187 | 16,6 |
| 5 | ჯეკი სტიუარტი | 27 | 99 | 27,3 |
| 6 | ჯიმ კლარკი | 25 | 72 | 34,7 |
| 7 | ნიკი ლაუდა | 25 | 171 | 14,6 |
| 8 | ხუან ფანხიო | 24 | 51 | 47,0 |
| 9 | ნელსონ პიკე | 23 | 204 | 11,3 |
| 10 | დეიმონ ჰილი | 22 | 115 | 19,1 |
| 11 | სტირლინგ მოსი | 16 | 66 | 24,2 |
| 12 | მიკა ჰაკინენი | 14 | 128 | 10,9 |

14 მოგების გარდა, ჰაკინენის აქტივშია 7 მეორე და 16 მესამე ადგილი, ანუ ჯამში 37 პოდიუმი. ამ მაჩვენებლითაც, რაც მრბოლის სტაბილურობაზე მეტყველებს, იგი ათეულს „უკაკუნებს". მიკა თითქმის ყოველ მესამე რბოლაში ადის პოდიუმზე, ლიდერების მიღწევები კი გაცილებით მაღალია.

| | სულ | I | II | III | რბ. | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროსტი | 106 | 51 | 35 | 20 | 199 | 53,3 |
| სენა | 80 | 41 | 23 | 16 | 161 | 49,7 |
| შუმახერი | 71 | 35 | 22 | 14 | 126 | 56,3 |
| პიკე | 60 | 23 | 20 | 17 | 204 | 29,4 |
| მენსელი | 58 | 31 | 16 | 11 | 187 | 31,0 |
| ლაუდა | 54 | 25 | 20 | 9 | 171 | 31,6 |
| ბერგერი | 46 | 10 | 16 | 20 | 210 | 21,9 |
| რუტმანი | 45 | 12 | 13 | 20 | 146 | 30,8 |
| სტიუარტი | 43 | 27 | 11 | 5 | 99 | 43,4 |
| დ. ჰილი | 42 | 22 | 15 | 5 | 115 | 36,5 |
| ჰაკინენი | 37 | 14 | 7 | 16 | 128 | 28,9 |

ჰაკინენი კიდევ ერთი პრესტიჟული სიის, საუკეთესოთა ათეულის ზღურბლთანაა დაგროვილი ქულების რაოდენობით. 294 ქულით იგი აქაც მე-11 ადგილზეა და გაისად პირველივე ეტაპზე შეუძლია 300-ქულიანთა კლუბში მოხვდეს. საშუალო შედეგიანობით (2,3 ქულა რბოლაში) მიკა ათეულის ლიდერებს გვარიანად ჩამორჩება, რეკორდსმენ ფანხიოს მაჩვენებელი (5,4) კი სულაც მიუწვდომელი ჩანს.

| | | ქულა | რბ. | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | პროსტი | 798,5 | 199 | 4,0 |
| 2 | სენა | 614 | 161 | 3,8 |
| 3 | შუმახერი | 570 | 128 | 4,4 |
| 4 | პიკე | 485,5 | 204 | 2,4 |
| 5 | მენსელი | 482 | 187 | 2,6 |
| 6 | ლაუდა | 420,5 | 171 | 2,5 |
| 7 | ბერგერი | 385 | 210 | 1,8 |
| 8 | სტიუარტი | 360 | 99 | 3,6 |
| 9 | დ. ჰილი | 360 | 115 | 3,1 |
| 10 | რუტმანი | 310 | 146 | 2,1 |
| 11 | ჰაკინენი | 294 | 128 | 2,3 |

ჰაკინენი თუ 3-4 წელი კიდევ ირბოლებს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საკუთარ მიღწევებს და, ალბათ, ყველა დროის საუკეთესოთა ხუთეულებშიც ამოჰყოფს თავს. საამისოდ მას ასაკ-ტალანტიც უწყობს ხელს და საათივით მომუშავე, „მერსედესის" უნაკლოძრავიანი „მაკლარენიც".

## გაისად

ჰაკინენის წლევანდელი, სრულიად დამსახურებული ტრიუმფის მიუხედავად, ბევრნი მაინც სხვა აზრზე დგანან: შუმახერს ავარიის გამო ექვსი რბოლა რომ არ გამოეტოვა, ფინელი ჩემპიონი ვერ გახდებოდაო.

ახლა ამაზე მსჯელობა, ცხადია, უნაყოფოა. ყველაფერს მომავალი გამოაჩენს — ორივე სუპერპილოტი საკუთარი ამბიციების დამტკიცებას გაისად, 51-ე ჩემპიონატში შეეცდება.

ორივენი ტოლები, ლამის ტყუპები არიან (მიკა სამი თვითაა უფროსი). ორივე ორგზის (თანაც ზედიზედ) ჩემპიონია, ორივეს რბოლათა თანაბარი რაოდენობა აქვს ჩატარებული — 128. არც სიმაღლესა და წონაშია დიდი სხვაობა. აი, მოგებულ ეტაპთა და კარიერაში დაგროვილი ქულების მხრივ კი შუმახერის უპირატესობა აშკარაა: მოგებების ანგარიშია 35:14, ქულებისა — 570:294.

თუმცა, მარტში, ახალი სეზონის სტარტზე, ამ მონაცემებს არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, რადგან ყველაფერი თავიდან, ნულიდან დაიწყება. ახალი ათასწლეულის პირველი ჩემპიონატი, დარწმუნებულნი ვართ, მიკა-შუმის კიდევ უფრო საინტერესო დაპირისპირებას გვიმზადებს. ხოლო იმ ტრივიალურ კითხვას, თუ მათგან რომელია უძლიერესი, ერთადერთი და მეტად მარტივი პასუხი აქვს: უძლიერესია ის, ვინც გაისად სამგზის ჩემპიონი გახდება.

**ირაკლი ნიკოლაძე**



## ფორმულა 1-ის ყველა ჩემპიონი

| | მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | მოგ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1950 | ჯუზეპე ფარინა | (იტალია) | ალფა რომეო | 3 | 30 |
| 1951 | ხუან მანუელ ფანხიო | (არგენტინა) | ალფა რომეო | 3 | 31 |
| 1952 | ალბერტო ასკარი | (იტალია) | ფერარი | 6 | 36 |
| 1953 | ალბერტო ასკარი | (იტალია) | ფერარი | 5 | 34.5 |
| 1954 | ხუან მანუელ ფანხიო | (არგენტინა) | მაზერატი-მერსედეს | 6 | 42 |
| 1955 | ხუან მანუელ ფანხიო | (არგენტინა) | მერსედესი | 4 | 40 |
| 1956 | ხუან მანუელ ფანხიო | (არგენტინა) | ფერარი-ლანჩა | 3 | 30 |
| 1957 | ხუან მანუელ ფანხიო | (არგენტინა) | მაზერატი | 4 | 40 |
| 1958 | მაიკ ჰოტორნი | (დიდი ბრიტანეთი) | ფერარი | 1 | 42 |
| 1959 | ჯეკ ბრებემი | (ავსტრალია) | კუპერ კლიმა | 2 | 31 |
| 1960 | ჯეკ ბრებემი | (ავსტრალია) | კუპერ კლიმა | 5 | 43 |
| 1961 | ფილ ჰილი | (აშშ) | ფერარი | 2 | 34 |
| 1962 | გრეჰემ ჰილი | (დიდი ბრიტანეთი) | BRM | 4 | 42 |
| 1963 | ჯიმ კლარკი | (დიდი ბრიტანეთი) | ლოტუს კლიმა | 7 | 54 |
| 1964 | ჯონ სარტისი | (დიდი ბრიტანეთი) | ფერარი | 2 | 40 |
| 1965 | ჯიმ კლარკი | (დიდი ბრიტანეთი) | ლოტუს კლიმა | 6 | 54 |
| 1966 | ჯეკ ბრებემი | (ავსტრალია) | ბრებემ რეპკო | 4 | 42 |
| 1967 | დენის ჰალმი | (ახალიზელანდია) | ბრებემ რეპკო | 2 | 51 |
| 1968 | გრეჰემ ჰილი | (დიდი ბრიტანეთი) | ლოტუს ფორდი | 3 | 48 |
| 1969 | ჯეკი სტიუარტი | (დიდი ბრიტანეთი) | ტირელ მატრა | 5 | 63 |
| 1970 | იოხენ რინდტი | (ავსტრია) | ლოტუს ფორდი | 5 | 45 |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | (დიდი ბრიტანეთი) | ტირელ ფორდი | 6 | 62 |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | (ბრაზილია) | ლოტუს ფორდი | 5 | 61 |
| 1973 | ჯეკი სტიუარტი | (დიდი ბრიტანეთი) | ტირელ ფორდი | 5 | 71 |
| 1974 | ემერსონ ფიტიპალდი | (ბრაზილია) | მაკლარენ ფორდი | 3 | 55 |
| 1975 | ნიკი ლაუდა | (ავსტრია) | ფერარი | 5 | 64.5 |
| 1976 | ჯეიმს ჰანტი | (დიდი ბრიტანეთი) | მაკლარენ ფორდი | 6 | 69 |
| 1977 | ნიკი ლაუდა | (ავსტრია) | ფერარი | 3 | 72 |
| 1978 | მარიო ანდრეტი | (აშშ) | ლოტუს ფორდი | 6 | 64 |
| 1979 | ჯოდი შექტერი | (სამხრეთ აფრიკა) | ფერარი | 3 | 51 |
| 1980 | ალან ჯოუნსი | (ავსტრალია) | უილიამს ფორდი | 5 | 67 |
| 1981 | ნელსონ პიკე | (ბრაზილია) | ბრებემ ფორდი | 3 | 50 |
| 1982 | კეკე როსბერგი | (ფინეთი) | უილიამს ფორდი | 1 | 44 |
| 1983 | ნელსონ პიკე | (ბრაზილია) | ბრებემ BMW | 3 | 59 |
| 1984 | ნიკი ლაუდა | (ავსტრია) | მაკლარენ პორშე | 5 | 72 |
| 1985 | ალენ პროსტი | (საფრანგეთი) | მაკლარენ პორშე | 5 | 73 |
| 1986 | ალენ პროსტი | (საფრანგეთი) | მაკლარენ პორშე | 4 | 72 |
| 1987 | ნელსონ პიკე | (ბრაზილია) | უილიამს ჰონდა | 3 | 73 |
| 1988 | აირტონ სენა | (ბრაზილია) | მაკლარენ ჰონდა | 8 | 90 |
| 1989 | ალენ პროსტი | (საფრანგეთი) | მაკლარენ ჰონდა | 4 | 76 |
| 1990 | აირტონ სენა | (ბრაზილია) | მაკლარენ ჰონდა | 6 | 78 |
| 1991 | აირტონ სენა | (ბრაზილია) | მაკლარენ ჰონდა | 7 | 96 |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | (დიდი ბრიტანეთი) | უილიამს რენო | 9 | 108 |
| 1993 | ალენ პროსტი | (საფრანგეთი) | უილიამს რენო | 7 | 99 |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | (გერმანია) | ბენეტონ ფორდია | 8 | 92 |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | (გერმანია) | ბენეტონ რენო | 9 | 102 |
| 1996 | დეიმონ ჰილი | (დიდი ბრიტანეთი) | უილიამს რენო | 8 | 97 |
| 1997 | ჟაკ ვილნევი | (კანადა) | უილიამს რენო | 7 | 81 |
| 1998 | მიკა ჰაკინენი | (ფინეთი) | მაკლარენ მერსედესი | 8 | 100 |
| 1999 | მიკა ჰაკინენი | (ფინეთი) | მაკლარენ მერსედესი | 5 | 76 |






# მაიკლ გერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ორმოცდამეცხრე

# პარასკევის გმირი

ეს იყო 1947 წლის იანვარში. ნიუ იორკში საშინელი დიდთოვლობის დღეები იდგა. ქარბუქი თოვლს აზეთქებდა სახლებს, ქუჩებში კი თეთრი მთები იდგა. მანქანები თითქმის არ მოძრაობდნენ, ხალხი ძლივს დალოლავდა ქუჩებში, ბავშვები სკოლაში არ დადიოდნენ.

ნიუ იორკის აეროპორტი დაკეტილი იყო. მხოლოდ ხანდახან, დროის რაღაც მონაკვეთში თუ გაილებოდა ხოლმე. ეს მაშინ, როცა გათოშილი მუშები ერთი საათით მაინც გაწმენდნენ ასაფრენ-დასაფრენ ზოლებს. დისპეტჩერები მძიმე დღეში იყვნენ. მოსაცდელი დარბაზები გაჭედილი იყო, გასაფრენად მზადმყოფი ხალხი საათობით იდგა და რეისს ელოდა.

8 იანვარს თითქოს გამოიდარა და ნიუ ჯერსისთან კავშირის შემდეგ, დისპეტჩერებმა იქეთ გასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავს აფრენის ნება მისცეს. მგზავრი სულ 80 იყო, ლოდინისგან დატანჯული, ამიტომ, ცუდი ამინდის მიუხედავად ყველა დათანხმდა თვითმფრინავში ასვლას.

ცუდი ამინდის პირობაზე ხომალდი კარგად მიფრინავდა. სტიუარდესამ გამოაცხადა, ოც წუთში ნიუ ჯერსიში დავეშვებითო და ეს იყო: თვითმფრინავი აყირავდა და მმართველებს აღარ დაემორჩილა — ცხვირით გაქანდა მიწისკენ. მერეღა გაირკვა, რომ მაგნიტური ქარბუქის ტალღაში მოყოლილა.

თვითმფრინავი ტყეში ჩავარდა — ხეები ჩალეწა და ასე დაენარცხა მიწას.

ეს მოხდა პატარა ქალაქ მელვილის ახლოს. კატასტროფის ადგილასაც პირველები იქაურები გაჩნდნენ. მელვილის საავადმყოფოში ტევა აღარ იყო, პოლიცია და ეროვნული გვარდია სამაშველო საქმეში ჩართულიყო.

მელვილური გაზეთის კატასტროფათა რეპორტიორი ამ დროს საავადმყოფოს დირექტორის კაბინეტში იჯდა და საყოველთაო შფოთისა და გარბი-გამორბის მიუხედავად, მშვიდად ათვალიერებდა ჩამოვარდნილი თვითმფრინავის მგზავრთა სიას.

რეპორტიორმა სწრაფად აიღო ყურმილი, რედაქციაში დარეკა და სპორტული განყოფილების უფროსი ჯონ ტიბულდი მოითხოვა.

„ჯონ, აქ სიაში ერთი კაცია. უილიამ გელერმო პაპალეო, ჰართფორდიდან. ხომ არ მეშლება? განა ეს ვილი პეპი არ არის?“

„ეგაა“, თქვა ჯონმა, „დაიღუპა?“

„ჰო“.

უილი პეპი, ორმოციანი წლების სახელგანთქმული ჩემპიონი, ბუმბულის წონის უდავო მეფე დაღუპულიყო...

მეორე დილით „მელვილ პოსტმა“ შავ ჩარჩოში ჩასვა მისი სახელი და გვარი და ორმოცდათოთხმეტ დაღუპულს შორის პირველი ჩაწერა.

მაგრამ უილი პეპი გადარჩა. მეტიც, ის დაშავებულიც არ ყოფილა. რეპორტიორები აჩქარდნენ.

ამ ამბიდან ოცი წლის შემდეგ უილი პეპმა თქვა, რომ არსებობს ბევრად რთული მომენტები ცხოვრებაში, ვიდრე წამები იმ კატასტროფისა. ის თავის საკრივო კარიერას გულისხმობდა. „ცხოვრება ბევრად რთულია, ვიდრე სიკვდილი“, — ამბობდა პეპი.

მისი საკრივო თავგადასავალი დრამატული იყო.

იშვა იტალიელი ემიგრანტის მეთხუთმეტე შვილად და დაერქვა პაპალეო (უილიამი ამერიკულ ამბავში დაარქვეს). ათი წლის ასაკიდან მუშაობდა და კვირაში ორ დოლარს შოულობდა. ცხადია, შოკოლადს ვერ ყიდულობდა. 14 წლისა მოხვდა კრივის დარბაზში, მჩატე, გალეული და დაბალი. სულ მალე მავანმა ლუ ვისკუზიმ დაადგა თვალი, მენეჯერმა კაცმა, რომლის უფროსობითაც შეაბიჯა სამოყვარულო რინგზე. ვისკუზისავე პატრონობით გილერმო პაპალეო პროფესიონალი გახდა და აქვე დაუპატარავდა სახელი და გვარი — ვილი პეპად იქცა.

პროფესიული დებიუტი 1940 წლის 3 ივლისს ჰქონდა ჰართფორდში და ქულებით მოიგო. ეფექტური არაფერი ყოფილა, ოღონდ კი გაზეთებში მაინც აღნიშნეს, ასეთი ტექნიკის მოკრივე ძნელი საპოვნელიაო. მომდევნო ორ წელიწადში უილიმ ორმოცდახუთი ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო. ამის შემდეგ შეიქნა „ბუმბულის“ წონის ჩემპიონობის პრეტენდენტი და შეხვდა კიდეც იმდროინდელ ჩემპიონ შარკი რაიტს „მედისონ სკვერ გარდენში“.

თხუთმეტრაუნდიანი ბრძოლა პეპის გამარჯვებით დასრულდა — 1942 წლის 20 ნოემბერს ის მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდა. ამ დღიდან მომდევნო წლის ივნისამდე პეპმა 14-ჯერ (!) დაიცვა ტიტული. ივნისში კი ჯარში გაიწვიეს. მეორე მსოფლიო ომის ამბავში, უილი პეპი საზღვაო ფეხოსანი შეიქნა, თუმცა, ფრონტზე ეგრეც ვერ მოხვდა.

ომის შემდეგ პეპი რინგს დაუბრუნდა და ძველებურად უგებდა ყველას...

მერე კი კატასტროფა და გაზეთებში გამოქვეყნებული ნეკროლოგები. მთელი საკრივო სამყარო მარჩიელობდა — შესძლებს კი ჩემპიონი რინგზე დაბრუნებას [illegible] ტრავმის შემდეგ? ფიზიკურ ტრავმას, ცხადია, მოაშუშებს, მაგრამ ფსიქოლოგიური ძნელი გადასატანი იქნება. ძალიან ბევრი მენეჯერი მოწადინებული იყო შეხმიანებოდა უილის ბანაკს და მასთან თავისი მოკრივის შერკინება გაეჩარხა. ხუმრობა ხომ არ არის? მსოფლიოს ჩემპიონი ასეთ უბედურებაში მოჰყვა და რინგზე რჩება. ცხადია, ძალიან გაუჭირდება და ამის გამოყენება შეიძლება.



პეპ-სედლერის მეოთხე ბრძოლა — მედისონ სკვერ გარდენის რინგი დიდი ხორცსაკეპი გამოდგა



ასე ვარჯიშობდა უილი ავიაკატასტროფის შემდეგ



ბევრს უძლებდა უილი და ბევრს იგებდა



სედლერის დარტყმის შემდეგ პეპი აღარასოდეს იქნება ჩემპიონი

მაგრამ იმავე 1947 წელს პეპმა ცივი წყალი გადაასხა მისი უსუსურობის მომლოდინეებს. მან ზაფხულში შვიდი ბრძოლა გამართა და შვიდივე მოიგო. 22 აგვისტოს კი ნოკაუტით დასცა ჯეკ ლესლი — მეტად ძლიერი პრეტენდენტი და ამით მის „ფსიქოლოგიურ გართულებებზე“ ლაპარაკი დაასრულა.

შემდეგი წელიწადიც სულ მოგებებისა იყო, სია პეპის მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგეებისა აქ არ დაეტევა. მაგრამ თავის წილ ბრძოლებს იგებდა „ბუმბულის“ წონის ახალი ვარსკვლავი სანდი სედლერიც, რომლის შეხვედრაც უილი პეპთან გარდაუვალი იყო. პეპს არავისი ეშინოდა, არც არავის უფრთხოდა, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ სწორედ ეს სანდი სედლერი იქცეოდა მისი კარიერის მთავარ მსხვერპლად.

29 ოქტომბერი იყო ეს დღე. ადგილი იყო „მედისონ სკვერ გარდენი“. პეპის ექვსწლიანი ჩემპიონობა მეოთხე რაუნდში დასრულდა. პატარა ზანგმა ჩემპიონი დააგდო და ქამარი მოირგო.

პეპმა, იმ წუთამდე დაუმარცხებელმა არ მიიღო ეს წაგება. მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ სედლერმა უნამუსობით სძლია. მსაჯის მიერ ნათქვამი „ბრეიქის“ შემდეგ დაარტყა.

უილის ამ ნათქვამს დიდი ხმაური მოჰყვა. მედიის აზრი ორად გაიყო, თუმც კი მსაჯმა სედლერის მხარე დაიჭირა.

აბა, საკუთარ თავს ხომ არ გაამტყუნებდა?

თუმც კი, ამ ლაპარაკებს არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან მატჩ-რევანში მაინც უნდა შემდგარიყო.

1949 წლის 11 თებერვალს პეპი და სედლერი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და უილიმ ქულებით გაიმარჯვა. მან ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა, მაგრამ ცხადი იყო, რომ სედლერის მკვლელ მუშტებს ველარსად წაუვიდოდა. 1950 წლის სექტემბერში, იმავ „მედისონ სკვერ გარდენში“ სედლერმა კვლავ დააჩოქა პეპი და წასართმევი წაართვა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა — კიდევ ერთი წლის შემდეგ უილი პეპი გავიდა თავის უკანასკნელ საჩემპიონო ბრძოლაზე და მეცხრე რაუნდში განერთხო „მედისონის“ ფიცარნაგს. სედლერმა საბოლოოდ მოკლა მასში ჩემპიონობის დაბრუნების სურვილი.

ამ უმშრალეს მონათხრობში ოთხი დიდი ბრძოლის შესახებ, ცხადია, ვერ აღიწერება ის ოსტატობა, განცდები და წამები, რომლებმაც პეპ-სედლერის დაპირისპირება კრივის კლასიკად აქციეს.

მეისტორიეთა მონათხრობით, კრივის წარსულში იშვიათია ამგვარი სერია — ბრძოლა ორი ბრწყინვალე მოკრივისა, რომელთა დაპირისპირებაც გლადიატორთა უხეშ, მძიმე, სისხლიან ომში გადაიზარდა. პეპ-სედლერის შეხვედრები თავისი საკრივო არსით, ოსტატობით და თავზეხელაღებულობით გვერდით უდგას კრივის სხვა ლეგენდარულ სერიებს; ტონი ზეილ-როკი გრაციანოს, შუგარ რეი რობინსონ-ჯეიკ ლა მოდას და მუჰამედ ალი-ჯო ფრეზერის მატჩებისგან რომ შედგება.

და აი, რა ხდება. საუკუნის მიწურულს, საუკუნის ოც საუკეთესო მოკრივეს შორის, კრივის მოყვარე ხალხმა სედლერი კი არ დაასახელა, არამედ პეპი. გამოკითხვათა შემდეგ გაირკვა, რომ პეპი მეთორმეტე ადგილზე გავიდა სიაში, რომელსაც მუჰამედ ალი ხსნის და ვიდ გავილანი ასრულებს. პეპის საკრივო მონაგარი 260 (!) გამარჯვებაა. განცდილი 11 მარცხიდან მან სამი სედლერთან წააგო, რვა კი შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც ოცდაათს გადასცდა. ეს იყო კაცი, რომელმაც პირველი ბრძოლა 15 წლისამ გამართა, უკანასკნელი კი ორმოცდაოთხისამ.

რინგიდან კი წავიდა 1966 წელს, რიჩმონდის რინგზე წაგებული ბრძოლის შემდეგ.

უილი პეპი საკრივო ინსტრუქტორი შეიქმნა და მალევე აღწერა თავისი თავგადასავალი წიგნში „პარასკევ ღამის გმირები“ (იმხანად ბრძოლები პარასკევობით იმართებოდა ხოლმე). ეს არის საუცხოო, იუმორითა და სიკეთით გაჯერებული წიგნი მებრძოლისა, რომელიც ყოველთვის იმეორებდა, დამიჯერეთ, „სიცოცხლე ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე სიკვდილი, ისევე როგორც, მოგებაა წაგებაზე ძნელი“.

# ხელშეუხებელნი და სხვანი

ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც ნორვეგია და დანია საზიაროდ მასპინძლობენ, ხუთშაბათ საღამოს მესამე ტურის მატჩები გაიმართა. რამდენიმე გუნდმა მორიგი გამარჯვების შემდეგ უკვე მერვედფინალში მონაწილეობა დაიბევა. სხვებს კი მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ ელით.

A ჯგუფში უდავოდ საუკეთესო ნორვეგიაა. ვიკინგები თავიანთ გზაზე ყველას და ყველაფერს ანადგურებენ. მათი შეჩერებელი ჯგუფში კი არა, მთლიანად ჩემპიონატზე ძნელად მოიძებნება. ასე რომ, უკვე ორწაგებიანი ავსტრალია ტურნირის ერთ-ერთ მასპინძელთან თავიდანვე განწირული იყო დიდი ანგარიშით მარცხისთვის. მწვანე კონტინენტელებმა მართლაც ვერაფერი გააწყვეს სკანდინავიელებთან და 27 ბურთის სხვაობით დამარცხდნენ — 11:38. გაცილებით დაძაბული იყო ჯგუფის დანარჩენი ორი შეხვედრა, რომლებშიც შედარებით თანაბარძალოვანი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბელარუსმაც და პოლონეთმაც ორბურთიანი უპირატესობით შეძლეს მოწინააღმდეგეების დამარცხება. ამ ტურის შემდეგ A ჯგუფის პირველი ოთხეული ფაქტობრივად გაირკვა. ნორვეგიას და პოლონეთს აუტსაიდერები უკვე ველარ დაეწევიან, ჰოლანდიას შეიძლება ქულებით გაუთანაბრდნენ, მაგრამ პირად შეხვედრაში მოგებების გამო ტიტების ქვეყანა მაინც წინ დარჩება. ხოლო ბელარუსი, რომელიც მშვენივრად თამაშობს, ძნელი წარმოსადგენია, ორივე მატჩში დამარცხდეს, განსაკუთრებით მაჩანჩალა და უსუსტეს ავსტრალიასთან. გასარკვევი დარჩა, ვინ რომელ ადგილს დაიკავებს და ვის უფრო სუსტი მეტოქე ეყოლება მერვედფინალში.

B ჯგუფში ძალიან დაძაბულად წარიმართა საფრანგეთ-რუმინეთის დაპირისპირება. ანგარიში ფრანგებმა გახსნეს და საკმაო ხანიც ლიდერობდნენ, მაგრამ ტაიმი მაინც რუმინელთა გამარჯვებით დასრულდა. შესვენების შემდეგ კი ინიციატივას ისევ ფრანგები დაეუფლენ, თუმცა წინ გასვლა მხოლოდ საფინალო სირენამდე თხუთმეტი წუთით ადრე შეძლეს (15:14). მერე ანგარიში რამდენჯერმე თანაბარი იყო, მაგრამ 21:20-ზე რუმინელებმა ბურთი დაკარგეს და შეხვედრის დასრულებამდე 15 წამით ადრე ბოლო გოლიც გაუშვეს. შედეგის მიუხედავად, შემდეგ ეტაპზე ორივე გუნდი გავიდა. ისევე როგორც კოტ დივუარის მძლეველი ავსტრია. მეოთხე ბედნიერის ვინაობა კი, სავარაუდოდ, უკრაინისა და კოტ დივუარის მატჩში გაირკვევა. თუმცა კუბელთა იოლად გამნადგურებელი სლავები, ალბათ, მოახერხებენ აფრიკელთა დამარცხებას და მერვედფინალშიც გავლენ.

C ჯგუფში დანია ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ნორვეგია A-ში. ამჯერად თანამასპინძლების მსხვერპლი საკმაოდ სუსტი არგენტინის ნაკრები გახდა. სამხრეთამერიკელები 5:42 დამარცხდნენ. აფრო-აზიური დაპირისპირება „მშვიდობიანად" დასრულდა და ორივე გუნდი ინარჩუნებს ჯგუფიდან გასვლის შანსებს. ევროპელთაგან კი გერმანიამ იძალა და ექსიუგოსლაველები საკმაოდ იოლად დაამარცხა. თეორიულად თავი ქუდში ჯერჯერობით მხოლოდ დანიას და გერმანიას აქვთ. სასწაული უნდა მოხდეს, მაკედონიამაც რომ ვერ მიაღწიოს საწადელს. აი, მეოთხე მერვედფინალისტის ვინაობა ჯერ ძნელი გამოსაცნობია. ისე, უკეთესი შანსი ნამდვილად ანგოლას აქვს.

ბრაზილიამ, რაკი ჯგუფს ფავორიტებს არ ხვდებოდა, პირველი გამარჯვება მოიპოვა. დანარჩენი ორი მატჩიც დიდი ბრძოლის გარეშე ჩათავდა, კორეამ და უნგრეთმა იოლად დაჯაბნეს რუსეთი და ჩინეთი. D ჯგუფის მოწინავე სამეულს უკვე განალეღებული აქვს ტურნირის შემდეგ ეტაპზე თამაში, მეოთხეადგილოსანი კი, ალბათ, ბრაზილია-ჩინეთის მატჩში გაირკვა.

ბაგი გურული



REUTERS ჟამარიდან

კატერინა ციტკოვა და მისი ჩეხი თანაგუნდელები ბელარუსებმაც გაანაწყენეს

A ჯგუფი. ჰამარი. ნორვეგია. მესამე ტური

ბელარუსი 24:22 ჩეხეთი

ნორვეგია 38:11 ავსტრალია

პოლონეთი 22:20 ჰოლანდია

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 97:45 | 9 |
| 2. პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 80:68 | 7 |
| 3. ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 71:59 | 6 |
| 4. ბელარუსი | 1 | 1 | 1 | 66:80 | 4 |
| 5. ჩეხეთი | 0 | 0 | 3 | 64:79 | 0 |
| 6. ავსტრალია | 0 | 0 | 3 | 46:93 | 0 |

B ჯგუფი. ტრონჰეიმი. ნორვეგია. მესამე ტური

ავსტრია 32:24 კოტ დივუარი

უკრაინა 41:19 კუბა

საფრანგეთი 22:20 რუმინეთი

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრია | 3 | 0 | 0 | 95:76 | 9 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 0 | 0 | 71:55 | 9 |
| 3. რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 90:56 | 6 |
| 4. უკრაინა | 1 | 0 | 2 | 82:63 | 3 |
| 5. კოტ დივუარი | 0 | 0 | 3 | 58:96 | 0 |
| 6. კუბა | 0 | 0 | 3 | 65:115 | 0 |

C ჯგუფი. კოლდინგი. დანია. მესამე ტური

ანგოლა 22:22 იაპონია

გერმანია 23:18 მაკედონია

დანია 42:5 არგენტინა

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 3 | 0 | 0 | 101:32 | 9 |
| 2. გერმანია | 2 | 1 | 0 | 77:47 | 7 |
| 3. მაკედონია | 2 | 0 | 1 | 78:58 | 6 |
| 4. ანგოლა | 0 | 2 | 1 | 54:73 | 2 |
| 5. იაპონია | 0 | 1 | 2 | 62:77 | 1 |
| 6. არგენტინა | 0 | 0 | 3 | 24:109 | 0 |

D ჯგუფი. ლილეჰამერი. ნორვეგია. მესამე ტური

კორეა 30:24 რუსეთი

უნგრეთი 34:25 ჩინეთი

ბრაზილია 30:20 კონგო

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 96:54 | 9 |
| 2. კორეა | 3 | 0 | 0 | 86:63 | 9 |
| 3. რუსეთი | 2 | 0 | 1 | 104:71 | 6 |
| 4. ბრაზილია | 1 | 0 | 2 | 62:70 | 3 |
| 5. ჩინეთი | 0 | 0 | 3 | 65:101 | 0 |
| 6. კონგო | 0 | 0 | 3 | 57:111 | 0 |



# ტარჯონმა ვალები აკრიფა



REUTERS ჟამარიდან

ბოსტონელმა დონ სუინმ (32) ვაშინგტონელი ფორვარდი ანდრეი ნიკოლიშინი კარს არ გააკარა

2 დეკემბერი

**ბუფალო — ფილადელფია 2:4 (0:1 1:2 1:1)**
0:1 ლინდროსი 0'24 (12); 0:2 განი 24'01 (6); 1:2 გროშეკი 32'32 (7); 1:3 ჰალი 35'10 (4); 2:3 პრიმო 45'49 (4); 2:4 ლეკლერი 59'50 (12)

**ვაშინგტონი — ბოსტონი 2:2 (2:2 0:0 0:0 0:0)**
1:0 ზედნიკი 4'56 (5); 2:0 ზედნიკი 11'25 (6); 2:1 ტორნტონი 12'11 (5); 2:2 კარტერი 16'49 (8)

**აილენდერსი — კალგარი 0:5 (0:0 0:4 0:1)**
0:1 სტილმანი 22'42 (10); 0:2 უილმი 22'54 (4); 0:3 ალბელინი 26'47 (4); 0:4 მორისი 29'24 (3); 0:5 იგინლა 42'20 (4)

**კაროლინა — ტორონტო 2:2 (0:0 1:1 1:1 0:0)**
0:1 ხრისტიჩი 28'43 (7); 1:1 რობერტსი 39'45 (4); 2:1 ონეილი 46'14 (9); 2:2 ველკი 58'37 (1)

**პიტსბურგი — სან ხოსე 2:5 (1:1 1:2 0:2)**
0:1 ნოლანი 0'37 (17); 1:1 კოვალიოვი 14'36 (9); 1:2 გრენატო 24'01 (1); 1:3 სტიუარტი 33'59 (4); 2:3 კოვალიოვი 38'58 (10); 2:4 შტერნი 50'28 (2); 2:5 დამფუსი 59'30 (9)

**სენტ ლუისი — ნეშვილი 3:1 (1:1 0:0 2:0)**
1:0 ტარჯონი 5'34 (11); 1:1 ვალიჩევიჩი 6'30 (8); 2:1 ტარჯონი 42'06 (12); 3:1 ტარჯონი 59'27 (13)

**ფინიქსი — ტამპა 3:1 (0:0 1:0 2:1)**
1:0 დრეიკი 24'37 (5); 2:0 რენიკი 50'49 (15); 3:0 ტკაჩუკი 54'23 (12); 3:1 სიმპსონი 58'22 (1)

**ვანკუვერი — ედმონტონი 3:2 (1:1 1:1 0:0 1:0)**
1:0 დრაკენი 10'48 (1); 1:1 სმიტი 17'28 (9); 2:1 კესელსი 34'31 (7); 2:2 კილგერი 38'11 (3); 3:2 ბერტუცი 61'51 (4)

„ძალიან ძნელია, როცა თამაშს პრესლოჟიდან უყურებ. ერთი სული გაქვს, ბრძოლაში ჩაება" — თქვა სენტლუისელმა პიერ ტარჯონმა, რომელსაც ზურგის ტკივილის გამო ოთხი მატჩის გამოტოვება მოუხდა და ახლა ისეთი მოწყურებული ეკვეთა მეტოქეს, რომ თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. თუმც „ბლუზმენთა" გამთამაშებელი პარტნიორებსაც უნდა უმადლოდეს. მათ დაბრუნებულ ლიდერს, რომელიც არასდროს ძუნწობს და ყოველთვის ამარაგებს თანაგუნდელებს პასებით, ერთგვარად ვალი დაუბრუნეს. განსაკუთრებით ნიშანდობლივი მესამე გოლი გახლდათ. ცარიელ კართან აღმოჩენილმა მაიკ ისტვუდმა გოლის გატანას ტარჯონის ასისტენტობა ამჯობინა და ფორვარდს კარიერაში მე-14 ჰეთ თრიქის გაკეთებაში დაეხმარა. აღსანიშნავია, რომ ერთ თამაშში სამი გოლი პიერმა ბოლოს 1998 წლის 10 ნოემბერს გაიტანა.

კვლავ ჩინებულად ასპარეზობს ფინიქსი და მისი ლიდერი ჯერემი რენიკი. დაუდგრომელმა ჯერემიმ თავისი საპლეიმეიკერო მოვალეობაც ჩინებულად შეასრულა (2 პასი) და მორიგი გოლიც გაიტანა. თანაც მის მიერ გატანილი ბულიტი ტამპასთან შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. ბოლო რვა მატჩში, რომელიც ფინიქსმა მოიგო და საკლუბო რეკორდის გამეორებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა, ფორვარდმა 7 გოლი და 10 პასი მიითვალა. აი, ნოემბრის ყოჩს, პიტსბურგელ იარომირ იაგრს სან ხოსესთან თამაში როგორღაც ვერ გამოუვიდა. გარდა იმისა, რომ ჩეხმა ორი აშკარა მომენტი გააფუჭა, შეხვედრა ნაყოფიერების უცუდესი კოეფიციენტითაც („-3") დაასრულა. ცხადია, „პინგვინებმაც" წააგეს, ხოლო ჩემპიონატის ორი საუკეთესო ბომბარდირის — იაგრისა და სანხოსელი ნოლანის (1 გოლი) დუელში მოულოდნელად „ზვიგენთა" მცველი ბრაიან მარჩმენტი ჩაერია. მანამდე მხოლოდ უხეშობით გამორჩეულმა ჰოკეისტმა (ალბათ გახსოვთ, რა ტრავმები მიაყენა მან მაიკ მოდანოსა და ჯო ნუინდაიკს) კარიერაში მეორედ მიითვალა სამი ქულა და მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

როგორც იქნა, დამაჯერებლად მოიგო კალგარიმ. მეორე პერიოდში „ალებმა" უდიდესი უპირატესობა (დარტყმებით 21-7 აჯობეს მეტოქეს) ოთხ უპასუხო გოლად აქციეს.

მრავალრიცხოვანი ჯარიმები ძვირად დაუჯდა ბუფალოს. ჯერ იყო და, 24-ე წუთზე განმა მასპინძლები რიგით მეექვსე (!) უმცირესობაში დასაჯა, შემდეგ კი დიდხანს კაცნაკლულად მოთამაშე ხმლები ისე დაილალნენ, რომ გადამწყვეტი შაიბა რიცხვმრავლობაში გაუშვეს. ამით ბუფალოს საშინაო შვიდმატჩიანი მოგებების სერია შეუწყდა.

ვანკუვერმა უკვე შეგვაჩვია, რომ გუნდში კარგი ახალბედები იზრდებიან. შარშან ეს ბილ მუკალტი გახლდათ, წლეულს მაყურებელს უკვე მიეცა პეტერ შეფერის და სტივ კარიას ღირსებების შეფასების საშუალება, ხოლო ამჯერად ლიგაში გატანილი პირველი გოლით ფარმკლუბიდან გამოძახებულმა ჰაროლდ დრაკენმა გამოიჩინა თავი.

სამველ ლარიბიანი

## ჩიკაგოში წმენდა დაიწყო

ჩემპიონატის დაწყებიდან ორი თვის თავზე სეზონში პირველი მთავარი მწვრთნელის მოხსნის მოწმენი გავხდით და ეს რეინჯერსელი ჯონ მაკლერი სულაც არ გახლავთ, მიუხედავად იმისა, რომ ამას უკვე დიდი ხანია, ველოდით. პირველი მსხვერპლნი ჩიკაგოს მთავარი მწვრთნელი ლორნი მოლეკენი და გენერალური მენეჯერი ბობი მიურეი გახდნენ, ხოლო მათ მოვალეობებს ამიერიდან კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ბობ პულფორდი შეასრულებს. ეს ერთობ მოულოდნელია, რადგან 63 წლის პულფორდმა უკვე ორი წელია დაასრულა მენეჯერული მოღვაწეობა, ხოლო მწვრთნელად 1987 წლის შემდეგ არ უმუშავია.

„ბატონმა ვირცმა (კლუბის პრეზიდენტმა) იგრძნო, რომ რადიკალური ზომების გამოყენება გვმართებს და საგანგებოდ მთხოვა ამ მოვალეობის შესრულება — ასე განმარტა ეს გადაწყვეტილება პულფორდმა პრესკონფერენციაზე და დასძინა — უნდა ვეცადოთ, გემს სწორი მიმართულებით გავუძღვეთ".

ჩიკაგომ რომ მართლაც გადაუხვია გზას, ამაზე კლუბის რეგრესიც მეტყველებს. 1992 წელს ფინალში გასვლის შემდეგ „ქორები" სულ უფრო ქვემოთ და ქვემოთ ეშვებოდნენ და ბოლო ორი სეზონია, პლეი ოფშიც ვერ მოხვდნენ. მართალია, გასული სეზონის მიწურულს მაშინ დროებით მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა მოლეკენმა საგრძნობლად გამოაცოცხლა ჩიკაგო, მაგრამ წლეულს, როცა იგი ამ თანამდებობაზე დანიშნეს, საქმე ძველებურად წავიდა. თუმც როგორც პულფორდის ნათქვამიდან ჩანს, შესაძლოა, მოლეკენი მაინც დარჩეს გუნდში. ყოველ შემთხვევაში, პულფორდმა ორივე მოვალეობის შესრულება დროებით იკისრა და გუნდის მესვეურნი ჯერჯერობით მხოლოდ გენერალური მენეჯერის პოსტზე ეძებენ კანდიდატურებს.

ბევრი რამ ჯერ გაურკვეველია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სულ მალე ჩიკაგოში შემადგენლობის სერიოზული გადახალისება დაიწყება.

# შოუ ამბავი



განთქმულმა ამერიკულმა სპორტულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეიტედმა“ დიდი შოუ ამბავი გამართა ნიუ იორკში. ღონისძიება XX საუკუნის განთქმულ სპორტსმენთა ოცდამეერთე საუკუნეში გადაბიჯებას მიეძღვნა. სტუმრიანობა დიდი იყო: პელე ჩასულა თავისი ცოლითა, კრის ევერტსა და მარტინა ნავრატილოვას მკლავჭიდი გაუმართავთ (ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მოიგებდა) და ათასი სხვა. ყველაზე დიდი ტაში კი ბოლო დროს მომჯობინებულ მუჰამედ ალის რგებია. ეკუთვნის კიდეც, ამერიკაში იყო, ბრაზილიაში კი არა...

REUTERS ნიუ იორკიდან





## საფრანგეთი

I დივიზიონი

XVIII ტური

**ნანსი 0:2 სედანი**

0:1, 0:2 კუინტი (46, 83)

**მარსელი 2:0 ლე ავრი**

1:0 მორისი (55), 2:0 დიუგარი (56)

**ნანტი 0:1 სენტ ეტიენი**

0:1 ალოიზიო (35)

**სტრასბური 2:0 ბასტია**

1:0 ლუინდულა (17), 2:0 მარსილია (28)

**ბორდო 2:0 მონპელიე**

1:0 ალიკარტე (60), 2:0 ვილტორდი (78)

**ლიონი 1:3 ტრუა**

0:1 ბუტალი (20), 1:1 დელმოტი (37), 1:2, 1:3 ს. ჯუკიჩი (69, 80)

II დივიზიონი

XXI ტური

**გენგამი 2:2 ლავალი**

## ინგლისი

I დივიზიონი

XXII ტური

**ვულვერჰემპტონი 4:1 სიტი**

II დივიზიონი

XX ტური

**კოლჩესტერი 1:0 ჩესტერფილდი**

## გერმანია

XIV ტური

**ჰამბურგი 1:0 აინტრახტი**

1:0 იებოა (77)

**დუისბურგი 2:2 ჰანზა**

1:0 ბაიერლე (22), 1:1 ბაუმგარტი (37), 1:2 არვიდსონი (54), 2:2 ბაიერლე (66)

II ბუნდესლიგა

XIV ტური

**ჰანოვერი 1:1 ობერჰაუზენი**

**ოფენბახი 1:1 მიონხენგლადბახი**

**ქემნიცი 5:0 ფიურტი**

## იტალია

სერია B. XIV ტური

**ჩეზენა 2:2 ბრეშა**

## თურქეთი

**გენჩლერბირ. 1:1 გალათასარაი**

## ჩეხეთი

**სლავია 2:0 ბოჰემიანსი**

## დევისის თასი. ფინალი. საფრანგეთი — ავსტრალია

მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 6:4



REUTERS სეულიდან

# პარკის თავგადასავალი

მარჯვნიდან მეორე ჯეელი სამხრეთკორეელი ბეისბოლისტი პარკ ჩანოჰო გახლავთ. არცთუ უბრალო ბეისბოლისტია, პიჩერად არის „ლოს ანჯელეს დოჯერსის“ გუნდში. მაგრამ რახან კორეის მოქალაქეა, იქ სავალდებულო ოთხკვირიან ჯარში გაუწვევიათ. სამშობლოში ჯარმოხდილ პარკს, ყველაზე ცნობილ ბეისბოლისტს ქვეყანაში, სეულის ერთი სასტუმროს პატრონები შესჩენიან, ერთი დღით უმენეჯერე ჩვენს დაწესებულებას, ამით ფასდაუდებელ რეკლამას გაგვიწევო. პარკიც დათანხმებულა და უუფროსია.




REUTERS კიტოდან

# კორიდა კიტოში

ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ტრადიციული ხესუს დელ გრან პოდერის კორიდის დღეები გაიმართა. ყოველი წლის დეკემბერში კიტოში ესპანელი, მექსიკელი და კოლუმბიელი ტორეროები ჩადიან და ხალხს თავის ოსტატობას უჩვენებენ. აგე, როგორ გაუხელებია ხარი ესპანელ გილერმო ალბანს, მისი თანამემამულე პაბლო ერმოსო დე მენდოსა კი ბანდერილიას დარი ციგნობით ართობს ხალხს.



REUTERS კიტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli